

K 29949  
2

ଶବ୍ଦଶବ୍ଦା VI



ქველი ქართული მხატვრობული მეტალობა

ვახტანგ VI  
თხზულებათა კრებული



899.962.1-1

ტკული ქართული მხატვრული მწერლობა

ვახტანგ VI

ლექსესი და პოემები

K 2949  
2

აღ. ჟარაშვილი

ლელაქციით ჭე შენიშვნებით



200 ფოთი 8 8 2 1 0 53 9



## ၃၁ၬ၈၁၆၄ VI

1675—1737

ვახტანგ მევექსე ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეა. ის იყო ქვეყნის განათლებული ხელმძღვანელი, თავამოდებული მამულიშვილი, გულუხვი მეცენატი, სწავლული მწიგნობარი, გრძნობიერი პოეტი, ჰუმანისტი პიროვნება. ვახტანგი სათავეში ედგა ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ ცეოვნებას, არამედ ის უშუალოდ წარმართავდა ქვეყნის მთელ ინტელექტუალურ საქმიონობას, ვახტანგის ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით დამუშავდა ქართული ისტორია, ქართული სამართლი, ქართული ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდებულება. ვახტანგის წყალობით საქართველოში პირველად ამუშავდა სასტამბო დანართა. ვახტანგის სტამბოლის სტამბაში დაიბეჭდა ბერი წიგნი როგორც სასულიერო, ისე საერო-სამოქალაქო ხასიათისა. კერძოდ იქ დაიბეჭდა „ვეფხის-ტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკულ-დამუშავებული ტექსტი, ე. წ. ვახტანგისული რედაქტია რუსთველის მოემისა, რომელსაც თან ამავე ტექსტის ურევლი კომერტარიული მიზნით მიზნილია, შესრულებული თვითონ ვახტანგის მიერ.

როგორც ჩანს, ვახტანგი ჯერ კადე ბატონშვილის პერიოდში, ე. ა. 1703 წლამდე, ექვედუნაყოფიერ მუშობას. 1703 წელს ის დაინიშნა ქართლის გამებლად მეუის მოადგილის („ჯანიშინის“) წოლებით. სულ რაღაც ათიადე წელი დაპყო ვახტანგმა ქვეყნის სათავეში, მაგრამ ეს ათიადე წელი უნაყოფიერები პერიოდი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. ცხივრების ყოველ სფეროს დაეტყო ენტეგიული გამოგაბლიუს ხელი განსაკუთრით უზრდებას აქცევდა ვახტანგი კულტურის დარგს. მან შემოირიძა ქართლის მთელი მოახროვნე საზოგადოება, ყველას. ნიგისა და მოწოდების შესასერის საქმეს ანდობდა; გააძლა დაძაბულ შემოქმედებითი მუშაობა. ვახტანგის გვერდზე უდგა და ნურგა უმაგრებდა. მისი განათლებული აღმზრდელი სულაბ-საბა რობელიანი (1658—1725).

ირანის შაჰი ქვეთა და უნდობლენთ უზრუნველყო ქართლის ჯანიშნის განაპარებელ საქმიონობას. 1712 წელს ვახტანგი გაიწევა ისპაპანში, მოთხოვეს მშობლიური სჯულის დაგდება და სამაგიერო მას აღუთესეს ქართლის ტახტზე დამტკიცება. ვახტანგმა იურა. შედეგად „გაათახსირეს“ და ქიდამაში გადაასახლეს. ვახტანგს საარსეთში ახლადა სულაბ-საბა ირბელიანი, რომელიც ფარული დავალებით გაიგზავნა ევროპაში. აქედან სახარბიერო გამოვიდა. სულაბ-საბა ხელცარიელი დაბრუნდა უკან. შეჭირვებაში მყოფი ვახტანგი ბოლმარალებს იმსუბუქებდა ლოტერატურული საქმიანიბით. ის წერს: „სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შედეგის გამოვლენა.. თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგზობთ. ჩემი კირი ქვას პერნებოდა, დაწებოდა; ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის აღაგს“ აასებდა“—ო. ქირმანის პატიმრობაში თარგმან ვახტანგმა ქართულ წაზუ მსოფლიო მწერლობის მშენებელი ძგლი „ქილილა და დაბანა“. აგრეთვე ქირმანის პერიოდს ეკუთვნის ვახტანგის რამდენიმე ლირიკული შედევრი.

პატიმარ მეფეს სამშობლოდან ცუდი ამბები მისდიოდა. ამოძრავდნენ ყოველი ჯურის შინაგამცემი. უნაყოფო ჩანდა სულხან-საბას დიპლომატიური მოღვაწეობაც. ვახტანგმა ჯეროვნად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, მან ხელი აიღო ჯიქური პოლიტიკის წარმოებაზე, გარეგნულად მიიღო შაჰის მოთხოვნები. 1716 წელს ვახტანგმა ოფიციალურად უარჲყო ქრისტიანული სჯული და აღიარა მა-შმადიანობა.

სამაგიეროდ მას უბოძეს „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა“- ჩანს, ერანის შაჰი საბოლოოდ მანც არ ენდობოდა გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეს. სამიოდე წელი ის კვლავ სპარსეთში დაიტოვეს. მხოლოდ 1719 წელს დაბრუნდა ვახტანგი თავის სამშობლოში, დაბრუნდა და ახალი ენერგიით შეუდგა უწინდელ განმაახლებელ საქმიანობას. მაგრამ სულ მალე რაღიალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური კონიუნქტურა. როგორც ცნობილია, შვეციის წინა. აღმდევ წარმოებული ომის წარმატებით დამთავრებასა და ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობის შემდეგ პეტრე პირველმა გადაწყვიტა აღმოსავლეთისკენაც „გაეჭრა ფანჯარა“ და ხელთ ეგდო კასპიის ზღვის მიდამოები. ამ განწრახვის განსახორციელებლად პეტრეს ესაჭიროებოდა ხელსაყრელი მოკავშირე. ვახტანგის უკეთეს მოკავშირეს ის ვერ ისურვებდა. პეტრე ადრევე სინჯავდა ნიადაგს. ორივე ქვეყნის, რუსეთისა და საქართველოს, ინტერესები მოითხოვდა სარსეთის ძლიერების შემუშავებას. 1721 წელს დაწყებული მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. თანახმად შეთანხმებისა, პეტრესა და ვახტანგის ლაშქარი უნდა შეერთებულიყო ქალაქ შამახისათან.

რუსეთის ჯარი ძლევამოსილად მოიწევდა სამხრეთისკენ, ვახტანგიც მომზადებული ელოდა თავის მოკავშირეს. მოკავშირეთა შორის არსებული მანძილი დავიწოდებული პეტრემ იერიშით აიღო დარუბანდის (დებენტის) ციხე-სიმაგრე-როცა საბოლოო გამარჯვება უმცველი ჩანდა, საუცხოოდ დაწყებული საქმე სწორედ მაშინ ჩამოადგა. დარუბანდიდან პეტრემ პირი იბრუნა. ლაშქრობა მოხსნა და ჩრდილოეთისკენ გაეშურა. განმარტოებული ვახტანგი პირისპირ შერჩა გამოინარებულ მტერს.

ქართლის „განდგომილი“ მეფე სპარსეთმა სამაგალითოდ დასაჯა. ვახტანგს ქართლის ტახტი ჩამოართვეს და ის კახეთის ბატონს გადასცეს, ქართლი და კახეთი გათიშეს, ძმათა შორის შულლი ჩამოაგდეს, თბილის მიუსიეს ლეკების დაქირავებული ჯარები. განსაცდელში ჩაგარდნილმა ვახტანგმა სახითაო ნაბიჯი გადადგა, შემწეობა თხოვა ლშალეთს. ოსმალეთმაც არ დააყოვნა, ის თავის სასარგებლოდ ჩაერია ქართლის საქმეებში, ჩვენი ქვეყანა აიგსო სარასკირების ყაჩაღური რაზმებით. დრო იხელოეს კავკასიის მთიელმა ტომებმაც. „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, დლილვი, დიდო, ქისრი“ ყველა დათარეშობდა ქართლის მიწაწყალხე, არბევდა, აოხრებდა, აწიოებდა ჩვენს ქვეყანას. გურამიშვილის სიტყვით „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“.

სავალალო გახდა ვახტანგის ბედი: სპარსეთი გადაიმტერა, ოსმალეთმა ვერა-გულად უმტყუენა, მთა განუდგა, „შინათ აიშალნენ“. სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა, ვახტანგმა მიმართა თავის მოკავშირეს, ასტრახანის გუბერნატორ ვოლინსკისაგან ითხოვა რუსეთში გახიზნვის ნებართვა. ნებართვა მიიღო. სხვათა შორის, ვოლინსკის ვახტანგისათვის ნება დაურთავს პეტრეს დაუკითხავად. ეს

რომ პეტრეს გაუგია, გაშმაგებულა: „Монарх (Петр Первый.—А. Б.) негодовал за сие позволение, приметив, что хотя царь (Вахтанг—А. Б.) и в бедствие, но гордости не оставляет“.\*

ვახტანგი დიდალი ამალით გადავიდა რუსეთში 1724 წელს. ვახტანგის ამალაში შედიოდნენ საქართველოს ყველა კუთხის მოწინავე საზოგადოებრიობის ჭარ-მომადგენლები—პოლიტიკური მოღვაწენი, მწიგნობრები, მეცნიერები, სჯულის უფალნი, და ა. შ. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დახმარებით მალე კვლავ დაიბრუნებდა თავის ქვეყანას. ეს იმედი მას გაუცრუვდა. ვახტანგს ერთ-ხანს კარგად ეცყრობოდნენ, მაგრამ როდესაც აღმოსავლეთის საკითხი მოიხსნა პოლიტიკურმა წონამაც იყლო. ვახტანგს მოთხოვეს, რათა ხელი აეღო საქართველოში დაბრუნების ცდაზე, თავისი მალით ჩარიცხულიყო რუსეთის ქვეშევრდომთა რიგში და რუსეთშივე დამკვიდრებულიყო საბოლოოდ. ვახტანგს შეურაცხყოფილად უგრძნია თავი, გამწარებით უთქვამს:

მთხოვენ და მიგსცემ ვერავის, მე ვერ ვიტვირთავ ამასა:  
მე ჭაუბლინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამასა?

(დავითიანი)

პოლიტიკურ ჩიხში მომწყედეულსა და უღონოქმნილ ქართლის ადრინდელ მბრძანებელს განუცხადებია: „სჯობს უჭმელობით სიკვდილი საყვედურითა ჭამასაო“. პროტესტის ნიშანად დაუტოვებია მოსკოვი და, როგორც კერძო პირი, გადასახლებულა ასტრახანში. საგულისხმიეროა, რომ დიდებული ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი (1703—1792) არ იზიარებდა ვახტანგის პოლიტიკურ ხაზს; მან დაუსოფავად ამზილა მეფის ზოგიერთი ნაბიჯი, მაგრამ ამავე დროს სწორედ გურამიშვილმა დაგვიხატა ვახტანგის არაჩვეულებრივად მიმზიდველი და სიმპატიური სახე. გურამიშვილის აზრით, ვახტანგის ყოველი მოქმედება ჩაგონებული იყო ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულის მოტივით. „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა“ პატრიოტი და პუმანიური მეფეო. ყველა ძლიერსა და გავლენიანს ის თურმე თვალცრებულიანად ავედრებდა ქართლის ქვეყნის შველას: „ამასა გთხოვ, შემიწყნარო, ბრძანო ჩემის ქვეყნის შველა“—ო. ვახტანგი მართლაც თავგამოდებულად და გულშრუფელად ეცადა თავისი ქვეყნის შველას. სამშობლო ქვეყნის უზომო სიყვარული მან გრძნობიერად გამოხატა თავის ლირიკულ ლექსებში და სამარეშიც თან ჩაიტანა. ვახტანგი გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წლის 26 მარტს (ძველი სტილით). მეუხარე ლექსით გამოიტირა გურამიშვილმა თავისი მწყალობელი პატრონი:

ვაი, რა ბოძი ჭაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო.

\* \*

• ვახტანგი იყო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მწერალი-მწიგნობარი, მთარგმელი, რედაქტორი, კომენტატორი, პოეტი. შედარებით კარგად არის შესწავ-

\* П. Бутков, Материалы по новой истории Кавказа, СПБ, 1869, I, 63.

ლილი ის მუშაობა, რაც ვახტანგმა გასწია „ვეფხის-ტყაოსანზე“.\* ასევე ცნობილია ვახტანგის დიდი ღვაწლი „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების ჩამოყალიბების საქმეში.\*\* ვახტანგს სპარსულიდან უთარგმნია და შემდეგ გაულექსავს დიდაქტიკურ-ალმძრდელობითი ხასიათის ნაწარმოები „ამირ-ნასარიანი“. ზნეთსწავლულების რიგისაა „სიბრძნე მაღალობელიც“, რომელიც ვახტანგს ლექსად შეუწყვია ერასტი თურქისტანიშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი პროზული „აპოვთეგმატას“ მიხედვით. ვახტანგის ბრძანებით უთარგმნიათ იგავ-არაკთა განთქმული კრებული „ბაზთიანა-ნამე“, სამიჯნურო მოთხოვის „ბარამ-გულანდამიანი“ \*\*\* და სხვა. ვახტანგის მითითებით არის შეთხეული ქართული მწერლობის ზოგიერთი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი, მათ შორის მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკ“, ანუ „სწავლა ღექსთა თემისა“ \*\*\*\*

შედარებით უფრო ნაკლებად არის ცნობილი ვახტანგი როგორც პოეტი. საკმარისია თუ აღვნიშნავთ, რომ მისი ლექსების კრებული შინამდებარე გამოცემით ქვეყნდება პირველად.\*\*\*\*\*

ვახტანგის ლირიკული ლექსების უმეტესობა დაწერილია უცხოეთში (ისპანში, ქირმანში, მოსკოვში) დევნულობისა და გარდახვეწილობის დროს, როდესაც მგოსანი დიდ სულიერ მღელვარებას განიცდიდა, შეპრობილი იყო მძაფრი კაეშნით და მას სანეტაროდ ესახებოდა „პირველისა მის დიდებულობისა არ ქონა ნალვლიანობისა“. პატივიგურალი, დამცირებული და დაბარცხებული მეფე საშინელი სიმწარით იტანდა აუგვანი ბედის უკუღმართობას, ხოლო პოეტის გრძნობიერ გულში დაგროვილი ბოლმა-ნალველი თავის უშუალო გულწრფელ გამოხატულებას პპოულობდა ელეგიურ ლექსებში:

დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხედა მისთვის წამლად,  
ნალველს ვხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვაწვევ მისად კალმად.

„აღმერთა კაეშანი“-ო, ამბობს ვახტანგი სხვაგან და გულისმომკვლელად მოსთქვამს თავის მიუსაფრობას, უცხოეთში დაკარგულობის სივაგლახეს:

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მრნაძები,  
დაგვარგულვარ უცხოს თემსა...

\* იხ. ვახტანგის ული „ვეფხის-ტყაოსანი“, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბილისი, 1937.

\*\* ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის: ისტორიიდან, I, 1945, გვ. 235—372.

\*\*\* ეს ნაწარმოები მე-18 საუკუნეშივე ითარგმნა რუსულ ენაზე: „Похождение новомодной красавицы Гулапданы и храброго принца Барама“. Переведено с грузинского языка Московского университета информатором Семеном Игнатьевым, СПБ 1773.

\*\*\*\* გამოცემულია ორჯერ, პირველად ალ. ხაჩანაშვილის მიერ („მოამბე“, 1900, XII, გვ. 50—68), მეორედ გ. ლეონიძის მიერ (თბილისი, 1920).

\*\*\*\*\* ვახტანგის ლირიკული ლექსების ნაწილი წვენ დაგვეჭდეთ „ანთოლოგიის“ მეორე ტომში (თბილისი, 1928).

ისპაპანის სულისშემჩუთავ გარემოში მომწყვდეულ პოეტ-მამულიშვილს არ შორდებოდა არც თუ ისე შორეული წარსულის ნაღვლიანი მოგონებანი. ვახტანგი მშვავედ განიცდიდა უწინდელობისა და აწინდელობის მძაფრ კონტრასტულ ვითარებას:

პირებელ მალხინა სოფელმან შამბიანთ არე-მარებსა,  
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასაზარებსა,  
სხვას რას შექცევას, რას შეებას, არ კაცთა დასაზარებსა.  
აწ დამსვა მარტო, გასჭრიტეთ, ქუჩუქას სახლსა-სარებსა.

სხვაგან პოეტი უშუალოდ მიმართავს თავის საკუთარ თავს:

ჰე, თაო, პირველ შეებულო, აწ უკას ჭირსა ვარდია,  
საკვრელსა ძნელავ სახსნელსა, მთარებლსა მოღრმისა ვარდია;  
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქნენ, სამყოფთგან გარე ვარდია,  
ღაწვი შემქმნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდ ვარდია.

უცხოობის ურგით შეცყრობილი პატრიოტი პოეტი დიდი სიყვარულით იგონებდა მშობლიური ქვეყნის ძეირფას გარემოს, ქართლის მიმზიბლავ მიღამოებს იქ გატარებული ჭაბუკური სიხარულისა და განცხრობის დღეებს. ვახტანგმა ერთმა პირველთაგანმა უმდერა შთაგონებული ლექსებით საქართველოს დედაქალაქ თბილის, ამწვანებულ და აყვავებულ მაისის თბილის:

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,  
მწვანედ ლელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა,  
თუ არ უშმაკო, ვინცა ქნას, მასზედა რითმე ესხასა

ერთი მოგონება იწვევდა მეორეს. პოეტის წარმოდგენაში იქნოდა ერთიმეორებულ უფრო საყვარელი, უფრო მიზიდველი სახეები: თრიალეთის მთები, შამბიანი, კოჯორი, ლილოს ტაბა, ზაფრანადა, ჭირია მსუქანი ორაგულებითა და კალახახებით, სომხითში ნადირობა შემოდგომაზე, ზამთარს ყარაია... შემდგომ ისევ თბილისი, ისევ შეება, ისევ სიხარული.

გარეშე მტერმა, ერანის მტარგალმა შაპმა მოულო ბოლო ვახტანგის გატაცებულ შემოქმედებითს საქმიანობას საქართველოში. ირანის შაპმა მოსწყვიტა გრძნობიერი მამულიშვილი მშობლიურ მიწას და სამყოფულად მიუჩინა ქუჩუქას აბეზარი ჭერი. საშინელი მუქარის ქვეშ ვახტანგს მოთხოვეს სინიდისის შებლალვა, სჯულის დაგდება, სამშობლოს ღალატი. ის მტკაცედ იგრიებდა მტერების მოჯარულ იერიშებს, მას უფრო გულს უკლავდა თვისტომთა, ნათესავთა, ოდინდელ ტოლ მუკობაროა და ამბანაგო ვერაგული განდგომა, შავი უმაღლერობა და შური. ვახტანგი ჩივის:

ყმაზე წამ იტა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,  
ამხანაგებთან სიკეთო, სხვათაგან შესაშურები,  
ძმათა და თვისთა მოყვსობა, რა ჩემგან მოსასურები!  
განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მონაწურები.

შეიმე განსაცდელის უამს პატივაურით მეფეს ყველა განდგომია, ერი და ბერი, თითქოს ყველას უკისრია ოდინდელი პატრონის უსინიდისოდ ჩაწინდეს:

ერთი ომერთი აშ ირწმუნეს, ბერთა რჯული შეურაცხვეს,  
არას კერპსა არ-უქნია ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს...

\* \*

შეიმე სულიერი დეპრესიის ვითარებაში მყოფ პოეტი წარმტაც გულისხმორ  
სატრონოდ ეხატებოდა თავისი სამშობლო მხარე (ამით ვახტანგი აკაკის წინამორ-  
ბედია). მხურვალე გრძნობით ეტრფიალებოდა ის სათაყანებელ საგამს, მაგრამ—  
იაგლახ—ალერსიანი პასუხის ნაცვლად იქიდან ღებულობდა გესლიან ისარს. „კიპ-  
ლუკო ზედა ხარ ხელმწიფე, ტრიუალთ ცეცხლს უდებ მალამით“-ო, მიმართავი  
ვახტანგი სამშობლოს და ნაღვლიანი სიტყვებით ურთავს:

მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით-ო.

პოეტის ფაქიზი, სანდომიანი სატრონო თურმე ზელო ჩაუგდიათ სწვადასხვა  
ჯულის მედროვეებს, მზაკერებს, გამცემლებს და უპატრიონოდ დარჩენილს უბი-  
რებდნენ სულისა და ხორცის ავაზაკურად შეგრინებას. ვახტანგი გრძნობდა თავის  
უძლურებას დახმარების აღმოსაჩენად, რაც მას გულს უკლავდა და უსასოობის  
რწმენას უდივივებდა. ბოლოსდაბოლოს ვახტანგი იძულებული გახდა ტაქტიკური  
მანევრი ეხმარა, ახალ გზას დასდგომოდა, მაკრავ, როდესაც იქიდანაც არა გამო-  
სულა რა, მაშინ შეუთხავს უმწვავესი სასოწარკვეთილებით აღზეპდილი შემდე-  
გი შესანიშნავი ლექსი:

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი; და,  
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი, და...  
ვიარე ყოვლი ქვეყანა სივრცე და სიერცე, განი, და,  
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავკარე ძმა და დანი, და...  
ხორცის მრავალი დავკალე, სულს მიეცე იქი რჯანი, და.  
გაი-ვად, მაჯვეს უბრალო, არ მომცეს მე აჯანი, და.

ეს ლექსი ვახტანგის პოეზიაში თავისებური გედის სიმღერაა. სამაგალითო  
სიტყვიერი ოსტატობით, გასაოცარი პოეტური ძალით, სრულიად ახლებური მუ-  
სიკალური კილოთი გადმოიცა აქ ვახტანგს ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი პოე-  
ტი-პატრიოტის უსაზღვრო ტრაგიკული განცდა.

ვახტანგი სოფლის მომდურავი პოეტია. პოეტს სოფლისაგან წილად რგებია-  
უკაცავან მოუგონარი მწირობა, სიგლახაკე, შიმშილი, სიშიშვლე დასალონარი. „  
ის ისე შეერთა სოფლის გამწირაობას, რომ აღარც კი უკვირს და ამიტომაც თით-  
ქოს აღარც კი ჭმუნავს, თავს ირონიულად ანუკეშებს:

სოფლის სიმუხლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო.

ან შენ ამისოფის რათ სწუხარ, უცხოდ გჩანს, ვახტანგ მეფეო.

სოფლის გაუტანლობა განსაკუთრებული სიძლიერით აქვს ვაპტანგის გადმო-  
ცემული ელეგიურ ლექსში „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო  
მეგონა რა მე, სოფლისა რამე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!

სხვათა შორის, ეჭვი არაა, ვაპტანგის ამ ლექსით არის შთაგონებული და-  
ვით გურამიშვილის „გოდება“:

გული ღონდება, ვიწყო გოდება, ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელი  
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება, ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელი!

საერთოა ორივე დამოწმებული ლექსის შეტრი, რიტრი, რეფრენი, პრეგოვე  
შინაარსობლივი მსარე, განწყობა, კილო.

ვაპტანგი მძულვარებით ამხელს სოფლის დაუდგრომელ ბუნებას, მის მზაცვა  
რულ ქცევას. სოფელი პოეტს აგონებს უზნეო მეძავ დედაკაცს:

ეს სოფელია დიაცი სიძვისა მიმაყოლელი,  
თავსა კეკლუკად გაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი,  
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან არი მწოლელი.

მკაცრი განაჩენით ასკვნის ვაპტანგი: „სოფელი ჩვენი მესისხლე ზღაპარი  
არის, ყბედია.“ დასასრულ შესაბრალისად დასტენს, „ვჩივი, თუმცა არვინ მის-  
მენს, რა ვქნა, თავი მებრალება“. შესაბრალისადვე იძახის სხვაგანც „დამწვა  
სოფლისა საცოტრმა“-ო. ადამიანის სიცოცხლე, ვაპტანგის აზრით, „რუსთ ზაფხუ-  
ლისებრ მოკლეა“. თანაც ეს მოკლე სიცოცხლე ერთი გაბმული და დაუსრულე-  
ბელი ტაჯვაა. თავისებური ჰუმორით ურთავს ერთგან პოეტი:

სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია;  
მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბორა ლექსობანია-ო.

ვაპტანგი არ ზოგავს არც თავის საკუთარ თაეს და ზოგჯერ სინანულით აღ-  
ნიშნავს:

რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,  
რაც მე შეესვი შესასმელი, ეს ხელსა ვრცა ესო?  
ვარდი მედგა ბალსა ჩემსა, არ-თუ სამე ნარი ესო,  
მე აღმოვთხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?

უსასოობის გრძნობას გამოხატავს აფორისტული ხასათის მქონე შემდეგი  
ლექსი ვაპტანგისა:

თუ თივა ცეცხლით გაზარდო, ცხვარს მისცე საჭმლად მგელია,  
დათვი მოედანს აბურთო, ვიტი ქნა, კაი მზმელია,  
ტვირთი პეპელას აპკიდო, ჭრელი ფრთით გამფრენელია,  
ადგისრულდების მაშინა, რაცა გაჭეს საწადელია.  
ამისდა მიუხედავად, მთლიანად აღებული ვაპტანგის პოეზია მაინც არ ხასი-  
ათდება პესიმისტური მსიფლმხედველობით. ვაპტანგის პოეზიას უსათუოდ ამჩ-

ნევია სევდა-ნაღველის ძლიერი ნირი, ზოგჯერ პოტი აღწევს უსასოობის გან-ზოგადოებულად წარმოსადგენ მიჯნასაც კი, მაგრამ ეს მიჯნა მას საბოლოოდ არ გადაულასავს. ვახტანგი ლებულობს წუთისოფელს და აღაშიანებს უქადაგებს ამქეენიური სასარგებლო მოღვაწეობის აუცილებელ საჭიროებას. ამ მხრით (და არა მარტო ამ მხრით) შესანიშნავია ვასტანგის ბრძნული შეგონება:

კაცმან უნდა ოვის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,  
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,  
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,  
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის შეგონების ამ ბრძნულ მოტივამდე არ მი-სულა მისი არცერთი წინამორბედი პოტი (თეიმურაზი, არჩილი...), თუმცა ქრისტიანულ - სარწმუნოებრივი შეგნება მათ უკანასებდა სოფლის წყვის შენელებასა და გარევაულ სასღოვრებში ამქეენიურობის მიღების აუცილებლო-ბას. ვახტანგის მსგავსად მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამონახა სოფლის-თვის ზრუნვის საჭიროების ღრმა ფილოსოფიური საფუძველი:

მაგრამ რადგანაც კაცი გვევინ - შვილი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმის მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

თუ მართებულად იყო გამოთქმული ზოგადი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „აღორძინების (პერიოდის) მწერალთა შემოქმედებაში ვპოვებთ (ნიკოლოზ) ბა-რათაშვილის პოეზიის ფესვებს“<sup>\*</sup>-ო, ჩვენ კონკრეტულად შევვიძლია დავადგი-ნოთ, რომ სწორედ ვახტანგის დამოქმედული შეგონება უნდა გამსდარიყო ნი-კოლოზ ბარათაშვილის ნააზრის იდეურ წყაროდ, „ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს წუთისოფლის პრობლემისა და ადამიანის დანიშნულების ერთგვარ სიბრ-ტყეს დასმასა და შემსგავსებული თვალსაზრისით გადაწყვეტას. ვახტანგისა და ნ. ბარათაშვილის ბრძნული აფორისტული შეგონებანი ერთიმეორეს ემსურება-არა მარტო იდეური ნათესაობით, არამედ მხატვრული წარმოსახვის მთელი კომპლექსით—ლექსის საერთო შინაგანი ტონუსით, მელოდიკით, თითქმის ერთობ-ლივი სიტყვიერი ინვენტარითაც კი. მგონი არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ნე-ბით აუ უნდალიერ აქ კონკრეტულად მედავნდება სხვადასხვა დროის ორი შე-სანიშნავი ქართველი პოეტის დიდი იდეურ-ინტელექტუალური და პოეტურ-მხატვრული ნათესაობის უტყუარი ფაქტი“<sup>\*\*</sup>.

\* გ. ნადირაძე, „პოეტი და ადამიანი“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), თბილისი, 1938. გვ. 98.

\*\* ალ. ბარამიძე, „ნიკოლოზ ბარადაშვილი და ძველი ქართული პოეზია“ (ლი-ტერატერული ძიგბანი), III, თბილისი. 1947, გვ. 65.

ოქმა არ უნდა, ოეიმურახისა და არჩილის მსგავსად სოფლის წყევის სიმწვა-ვეს ზოგჯერ ვახტანგიც ანელებს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით („მოთმენის მეტი ჭამალი არა აქვს დასაკრულებას“<sup>-ო</sup>).

ვახტანგს საკმაო უწერია სატრფიალო მოტივებზედაც. ის ღია, ნათელი სა-ზებით ალწერს და ამკობს ქალის სხეულის მოხდენილობას, გარეგნულ სილა-მაზეს. ამ მხრით პოეტი არ ერიდება ზოგიერთ საჩოთირო ფიგურალობასაც კი:

ლაწვი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩებია გასალალად,  
თვალ-მელანი, წარბი სათი, თმა სუმბული, კბილი სრალად,  
ყელი ვერცხლი, ძუძუები ბროლისაგან განათალად,  
ტანი ალვად, ხელ-მკლავები შოლტებია დასაკრძალად.

პოეტი თავდავიწყებით ემუდარება თავის უებრო სატრფოს:

შაქრისაგან უტკბილესი შენი ეშყი მასვი-ო.

პოეტის მიერ სათაყვანებლად დასასული სატრფო-ასული აბსოლუტური უმან-კოებისა, სიფაქიზისა და სიწმინდის სიმბოლოა. მას დაჰყოლია გაზაფხულის ყვა-ვილების სინორჩე და არომატი:

ქალწულებისა ვარდი ხარ, სიწმინდის ბალსა რგულია ,  
ფერად გაქვს უმანკოება, უბიწოება სულ ია,  
რტოდ გამოილე მოკვდავთა ივ უკვდავება სრულია,  
ფოთლად გასხია წყალობა, განკურნე ჩემი წყლულია!

როგორც დაკვირვება ცხადჲყოფს, ვახტანგის მგზნებარე ტრფიალების საფანი როდი ყოფილ ჩელური ქალი. პოეტის მხურვალე სამიჯნურო პიმჩი მიძღვნი-ლია ირეალური, მისტიკური არსებისადმი, ღვთაებისადმი, ღვთისმშობლისადმი და წვინდანებისადმი. ვახტანგის სატრფიალო ლექსების ჯდულს („სატრფიალო-ნი“) სათაურშივე შემოუნახავს საგანგებო შენიშვნა: „აქა იწყებიან ტრფიალისა-გან სატრფოსათვის შაირობა... და მიკახველთა უხმეს გულისხმიერება, თუ ეს-დამე ტრფიალებს მეფე“-ო. მეორე ხელნაწერის კომენტარია სავსებით ხდის ფარ-დას ამ საიდუმლოებას: „აქა შაირობა ნი ფრიად პატიოსანი უფლი-სა და ყოველთა წმინდათა მიმართ. მისგანვე, მეფის ვახტანგისაგან სულ იერად ნათ ქვა მნი ი“. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს დამოწმებული კომენ-ტარია, ის სწორად გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. შიგადაშიგ თვი-თონ ავტორიც ცხადად აშიშვლებს სატრფიალო ლექსების გარკვეულ ტენდენ-ციას, მიჯნურული სევდით შეპყრობილ პოეტს თავისი ღვთაებრივი სატრფო თანაგრძნობის სანაცვლოდ თურმე შემდეგ პირობას უდებდა:

თუ დაიმარხავ ჩემისა წავლისა სიტყვა-თქმულებსა,  
დღებსა შემოგიმატებს, ზე ალგიტრინებს სულებსა,  
სოფელსა შემოიძინებ, გარდაურჩები წყლულებსა.

იქვე დაკონკრეტებულია სწავლის სახეები, ესაა—ათი მცნება, შვიდი საიდუმ-ლო, შვიდი სასიკვდინე ცოდვა, ცხრა ნეტარება და ა. შ. ვახტანგს საგანგებოდ აქვს გხაზული სულიერი სწავლის ახრი და მნიშვნელობა. ის ცხარედ აპაექტებს ერთმანეთთან სულსა და ხორცს, ხოლო დასასრულს სინანულით დასძენს:

რატომ დაგვეგრ საწუთოსა, ვიცოდიმცა მისი ზნენი.

გონებანი ვაგემოვნენ, სული შევქენ გაუმნენი.

ვახტანგის პოეზიაში კეკლუცი ასულის შნო და ლაზათი სიმბოლიურად ასა-  
ხიერებს დეთაებრივ სიწმინდესა და სინატიფეს. სატრაფოსადმი გატაცებული  
ლტოლვის წადილი კი აღნიშნავს სულის ლტოლვას დეთაებისადმი. შესაძლებე-  
ლია, ვახტანგს ამ შემთხვევაში ქრისტიანული ალეგორიზმის ნიადაგზეწერადმოქონ-  
დეს სპარსული პოეზიას მუსლიმანურ-სუფისტური მისტიკა, ორორც ცნობი-  
ლია, ვახტანგმა ალეგორიული სარჩულით სცადა განემარტა და აეხსნა „ვეფხის-  
ტყაოსნის“ მიჯნურობაც. ვახტანგის სამიჯნურო პრინციპები დაედვა საფუძვ-  
ლად მამუკა ბარათაშვილის პოეტიკას („ჭაშნიკის“). ხოლო ვახტანგისა და მამუკას  
წყალობით გარკვეული ხასიათი მიეცა დაგით გურამიშვილის სამიჯნურო მისტიკას.  
ამისდამიუხედავად, ვახტანგი არორაზოვნად ჩივის მკითხველი საზოგადოების  
გულგრილობაზე თავისი სატრაფიალო ლექსებისადმი:

თუ მეთქვა აშიკ-შაშიყთა წადილისებრივ მკობანი,  
ეგება ჩემი ლექსისაც არავის ეთქვა გმობანი-ო.

ვახტანგის სამიჯნურო კოდექსის ცალკეული მხარეები აშკარად გვაგონებს  
რუსთველს, მაგალითებრ:

უსამს მიჯნურს, თავის წინა იჯდეს, იყოს მისი მგონი,  
შეემსჭვალოს სული, გული, სხვა არ ჰქონდეს გასაგონი,  
დღედალამე მას ამკობდეს, ნუმცა-უნდა გასაგონი.  
მან ამითი შეიწყალოს, მოლებეს, ექმნას ხევწნის მგონი.  
თუ მიჯნური კაცში დავა, ან სწადიან კარგის ნახვა,  
გაუგრილებს გულსა მისსა, აღარ ძალუც სულთქმა, ახვა...\*

\* \*

ჩვენ აქ არ ვეხებით ვახტანგის დიდაქტიკას, რამდენადაც პოეტის დიდაქტი-  
ური მოძღვრება წარმოდგენილია უმთავრესად ნათარგმნ ძეგლებში. ვიტყვი მხო-  
ლოდ, რომ ვახტანგი ამ მხრითაც სანიმუშო განდა ქართული მწერლობისათვის.  
ვახტანგს ეკუთვნის მრავალი საგულისხმიურო აფორიზმი. მაგალითებრ:

1. თუ ენას კლიტე არა აქვს, ჭირია ულწინებელი.
2. სიმღიდრის შერსა დიალ სჯობს სიღარიბისა კილები.
3. ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნების.
4. ნუ ჰქონებ მრისხანებასა იყოს დიდების ნიშანი.

---

\* მშევნიერია უშუალო და მგზნებარე სატრაფიალო განწყობილების გამომხატ-  
ველი სტრაფი „მაჯამისა“ (IX, 58), მაგრამ, როგორც აღნიშნული გვაქვს (იხ: აქვე წერილი „ტექსტისათვის“, გვ. 172), საცეკვა, რომ ის ეკუთვნოდეს ვახტანგს  
აი ეს სტრაფიც:

ორივ ერთად ვთამაშობდით, შენ ქურციკი, მე ავაზი,  
მე ულვაში სუმბულითა, შენთან თმითა მუშქ-ავაზი,  
შენ ვარდი და მე ბულბული, შენ კაკაბი, მე გავაზი.  
შეგეყრები, პირს გაკოცებ, მომეწყინა მე თავაზი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ვახტანგის ღვაწლი, ქართული ვერსიფიკაციის დაწევა. მართალია, პირტი ერთგან მოკრძალებულად ითხოვს:

გემულარები, ნუ მიჩხრეკ ლექსისა სიგძე-განებსა, ჭ

ნურცა რუსთველსა მაღარებ, ნურცალა ლექსთა სხვანებსა-ო.

მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ დავარღვიოთ ეს ანდერძი და ცოტათი შეინც უნდა გავუჩრდიკოთ მას ლექსთა „სიგძე განები“. უპირველესად ყოვლისა ვახტანგ-მა დაამკიდრა ქართულ პაეზიაში ელეგიური ლექსის უანრი. ვახტანგის გხას გაჰყვა დავით გურამიშვილი. ჩვენ ზევით უკვე ვაჩვენთ ამისი მაგალითი. ელე-გიისათვის ვახტანგს გამოუყენებია 20 მარცვლოვანი ლექსი ჩახრუხაულის ტიპისა: ტიპისათ ვამბობთ იმიტომ, რომ ვახტანგს არსებითად შეუცვლია ჩახრუხაული ლექსის კილოც და კონსტრუქციაც. ჩახრუხაული ჩვეულებრივად იხმარებოდა სა-ხოტბო სახეიმო ლექსებისათვის. ვახტანგს კი ოცმარცვლოვანი ლექსით გადმო-უყია მძაფრი პესიმისტური განწყობილებანი. კონსტრუქციის მხრივ ვახტანგს დაურღვევია ჩახრუხაული ტაქპის მეორე ნახევრის სქემა. ვახტანგის ოცმარც-ლოვანი ლექსის მეორე ნახევრატაქპი იძლევა. რეფრენს, რომელიც ლექსს ბო-ლომდე გასდევს ყოველ ტაქში:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე: ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო.

ჩახრუხაულის კლასიკური ფორმიდან ვახტანგს შენარჩუნებული აქვს მარცვალ-თა რაოდენობა და პირველნახევარ ტაქპთა შინაგანი რითმა. ვახტანგის სქემათ შემდეგ სარგებლობდა გურამიშვილი:

ვახტანგა შეუთხავს რელიგიური შინაარსის ერთი შესანიშნავი ელეგია, რომ-ლის პირველი სტროფი ასე იკითხება:

შურით აღიერენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,  
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ უამისა,  
უსჯულო მისი მოწაფე მიცემს პპირავს აპისა,  
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა.

ეს ელეგია რუსთველური შაირის სტროფის გადახალისების მაუწყებელია. აქაც ვახტანგი რეფრენის ხერხს მიჰმართავს, ოლონდ რეფრენად გამოყენებულია სტროფის ბოლო ტაქპი. ვახტანგის ელეგია დასდებია საფუძვლად დავით გუ-რამიშვილის ანალოგიური შინაარსის ლექსს („მოთქმა ზმითა თავ-ბოლო ერთი“):

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად შიგიჩნიესო,  
ბოლოტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,  
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდად მიგიჩნიესო.  
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იქსო

სხვათა შორის, „ლეტისმშობლის ტირილში“ დავითს განმეორებული აქვს ვახტანგის სპეციფიკური გამოთქმაც: „გაი, რა მწარედ ი წ ო დ ა ნ ა წ ლ ე ვ ნ ი მ ა რ ი ა მ ი ს ა“ (შდრ. ჩემი ი წ ვ ი ა ნ ნ ა წ ლ ე ვ ნ ი -ო). რუსთველური შიირის სრულიად ახალი, სახეცვლილი ფორმაა „რანი და მოვაკანი“ და „ლექს-ამბავი“. შაირისაგან შეუზარჩუნებია ვახტანგს მარტოდენ ტაეპის თექვსმეტმარტვლიანობა; ახალია რიტმი, სტროფიკა, საერთო კონსტრუქცია, განწყობა. მარტვალთა რაოდენობის თვალსაზრისით თითქოს შაირს უახლოვდება ლექსის ის სახე, რომელიც „ჭაშნიკს“ შემოუნახავს და რომელსაც ქართული პოეზიის თეორეტიკოსი უწოდებს „ვახტანგურს“. ეს პატარა ლექსი სულ ხუთი ტაეპისაგან შედგება. მოგვაქვს მთლიანად:

ორი მისი თვალი—ორი ჯერანი, ბოლოს მზერელი,  
კეკლუციობის ძალით კაცის მწყენელი, გულზე მწყერელი,  
ჰნახეთ, მოყვასნო, საყვარელი, ჩემი თვალის მკერცლი,  
იმას უცხოთ ჰყავს ის ტურფა დაუჯერელი,  
არა, არა, ის არ არის, მე საყვარელს ვიცნობ მისი მზერელი.

რა თქმა უნდა, ეს ლექსი არ არის ვახტანგისა, მაგრამ ვახტანგურია, ჟ. ი. ვახტანგის მეტრის კალობაზეა შეთხშული. სამწუზაროდ, თვითონ ვახტანგის ორიგინალი ჯერ არსად ჩანს. არც ის ვიცით, თუ ვინაა „ვახტანგურის“ ავტორი, ჩვენ საყარაულო ავტორად თვითონ მამუკას მივიჩნევდით. მაგრამ ამ გზობის გვაინტერესებს „გვახტანგურის“ მეტრი: ლექსის პირველი სამი ტაეპი 16-მარტვლივანია, მეოთხე ცამეტმარტვლოვანი, ხოლო მეხუთე ცხრამეტმარტვლოვანი. რიტმული ჰარმონია დარღვეულია, არც თუ რაიმე კანონზომიერება ჩანს. შესაძლებელია აქ ადგილი ჰქონდეს გაუგებრობას და მეოთხე ტაეპის დანაკლისი სამი მარტვალი მეტუთესთან იყოს მიტანილი. მაინცდამანც ლექსის საერთო განწყობილანაც იგრძნობა ვახტანგის აწ უკვე საკმაოდ ნაცნობი სტილი.

ჟრთი სიაჟყით, ვახტანგი უცილოდ გვეყვლინება, როგორც ქართული ლექსის არეფორმატორი, ქართული პოეტური კულტურის შესანიშნავი წარმომადგენელი. ვახტანგმა გაამდიდრა ქართული ლექსი როგორც ფორმით, ისე შინაარსით. შემთხვევითი როდია, რომ „ჭაშნიკისათვის“ სანიმუშო გამხდარა ვახტანგიც. ვახტანგიც უნდა მიეკუთვნოს ქართული ლექსის დარგში ნოვატორების სახელმისამართადას (სულხან-საბა არბელიანს, მამუკა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს).

რუსთველი ჩვეულებისამებრ ვახტანგზედაც დიდ გავლენას ახდენს. რუსთველის გავლენასთან ერთად აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გავლენა თემურაზისა („მაჯამას“ ხაზით) და არჩილისა (დიდაჭტიკის ხაზით). თემურაზის „მაჯამის“ ერთგვარ შთამგონებელ ძალაზე ვახტანგი პირდაპირ მიუთითებს:

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყო მ ა ჯ ა მ-ა,  
ცრემლთა ნაკადმა ააგსო, ნახეთ, გაცნობოთ მაჯამა,  
დამწვა სოფლისა საცოტურმან, ველარა სცემოს მაჯამა.

თავის მხრით ვახტანგსაც საკმაოდ მოუხდენია გავლენა როგორც თავისი თაობის, ისე შემდგომი თაობის ქართველ პოეტებზე. ამაზე ნაწილობ-

რიგად უკვე ვიღლაპარაკეთ. აქ მინდა გაკვრით შევეხო მზოლოდ ჭახტანგისა და გურამიშვილის დიდაქტიკათა ურთიერთობის საკითხს. გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრება დიდადაა დაგალებული ვახტანგის პოეზიით. ვრცელი დიდაქტიკური თხზულება „სიბრძნე მაღალობელი“ ვახტანგს ყრმათათვის განუკუთვნებია:

არმალნად ესე დაგაცვი ყრმათათვის მოსართმეველად-ო.

ხოლო გურამიშვილი თავის მხრით ურთავს:

ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექნას დასახეველად. \*

სანიმუშმოდ მოვიტანთ რამდენიმე პარალელურ ადგილს;

1. მღვდელს აღუარე ნაქნარი, სწავლანი შეიერთია.

(ვახტანგი)

რაც გეცოდოს, შეინანე, მღრდელს აღიარეო.

(დავითი)

2. სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა.

(ვახტანგი)

სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკილდების.

(დავითი)

3. სიყრჩითგანვე ყოვლთვის სწავლა სიბერეში გამოგადგეს.

(ვახტანგი)

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი.

(დავითი)

4. სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას სწავლითა გამდიდრებანი,

არც ქურდი რასმე მოგაპარავს, არც გზირისაგან ვნებანი,

ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა მისი მოღება, კლებანი,

უმჯობესია ყოვლისა სამუდმოდ მისი ხლებანი.

(ვახტანგი)

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,

აქეს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების,

არც ცხადით, ძალით წაერთის, არც მაღვით მოიპარების.

(დავითი)

5. მოწაფის მეტის ცემისთვის გმობისა ვინმე მთქმელია? \*\*

მწვრთნელთა მოსწავლის ცემაზე ვინ დაუზრახოს ბრალები!

(ვახტანგი)

ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კიგილი,

შენ გემეტების რაღ არა ქე წვრთნაზე გასაწყებლადა?

(დავითი)

\* დავითიანი, ალ. ბარაშიძესა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი 1931, გვ. 3, 27—28.

\*\* თუმცა სხვაგან სხვაგარი და საუცხოო პედაგოგიური აზრია გამოთქმული: სჯობს დანაწევებით, გასინჯვით, რისხვითა რასმე სწავლასა, შეაძლებს და დასწევების მისა ბედსა და დავლასა.

დავით გურამიშვილს უსარგებლია. ვახტანგის მაჯამითაც. მოგვაქვს ერთი სა- ნიმუშო მაგალითი:

6. უნაყოფობა ბევრით სჯობს ბოროტის შვილის ყოლასა.

(ვახტანგი)

სჯობს ყოლა უწერთის ძაღლისა უწერთნელის შვილის ყოლასა.  
(დავითი)

7. ჭირთ მყოფნი ლხინსა შესრულნი მას აღარ მოიჩვენებენ:

(ვახტანგი)

ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლის ვნებასა.  
(დავითი)

ვახტანგს ერთგან შენიშნული აქვს აფორისტულად:

არა მართებს გონიერსა, რომ ექებდეს თვითან პურსა.

ნალვლით და მოკრძალებით უპასუხებს ამას გურამიშვილი:

ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არეის მოექნებისა.

ამას ვიკმარებთ (თორებ ასეთი პარალელები შორს წაგვიყვანდა). ვგონებ,  
უკველია ვახტანგის შთამაგონებელი გავლენა გურამიშვილზე.

ყოველივე აღნიშნული ცხადჲყოფს, რომ ვახტანგს თავისი საკუთარი და სა-  
პატიო ადგილი უნდა მიეკუთხნოს როგორც ქართული კულტურის ისტორიაში  
საზოგადოდ, ისე ქართული პოეტური კულტურის ისტორიაში კერძოდ.

\* \*

ვახტანგის გარდაცვალების 210 წლისთავს უძლენის რედაქცია და გამომცემ-  
ლობა წინამდებარე წიგნს.

ალ. ბარამიძე

---

როჭოს ლაპი მომავალთა შექმნან ბევრი სა გა ლ ი ა,

გნოლი წითლის დევნებითა ქვე მიწაზე სა გა ლ ი ა,

კალმახისა გასაწყვეტლად დაუნაყონ სა გა ლ ი ა.

ვა, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად სა გა ლ ი ა?

(ვახტანგი)

შექმნა უშროო, უნაყოფო, ვით ხმელი წისა გა ლ ი ა.

დუღს დამასეა სამჭედურად ლახვრად სევდის სა გა ლ ი ა.

მდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწვავს ვით თევზთა სა გა ლ ი ა.

ისე მიჩანს სრა სამყოფლად, ვითა მფრინველსა გა ლ ი ა.

(დავითი)

ლიცეუმი და კოცეპტი

## შ ე ბ რ ნ ე პ ა

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოიგარეოს,  
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარეოს,  
მოყვარეო და ამხანაგოა თავის რიგით რამე არგოს,  
და სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა საშე დარეოს.

\* \* \*

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,  
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი, და...  
ვიარე ყოვლი ქვეყანა სიგძე და სივრცე, განი, და,  
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და ღანი, და...  
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და,  
გაი-ვად, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

## 310. სიკვდილო

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!  
შეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი...  
მოვჰყევ სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაძ...  
განვცხერ, ვიშვებდი, ვერ გავიშვებდი, ვარ...  
მატკბო, მაგემა არად სარგემა, ვაი...  
შენ ვერ გიცნობდი, თუცა მიხმობდი, ვაი...  
მოხველ ანასდად, მტრად, და არ ჩემ დად, ვაი...  
მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც ღაფლად, ვაი...  
მოვშორდი ცოლსა, შვილს, თანამყოლსა, ვაი...  
მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი...  
შეგობარს, სულთა, საყვარელთ ტკბილთა, ვაი...  
მომკალ, მომკვეთე სოფლ[ი]ს მოკეთე, ვაი...  
სხვაგან გამგზავნე, დამხვდენ მე მავნე, ვაი...  
მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწნიხეს, ვაი...  
რად ენდევ სოფელს, ანასდის მყოფელს? ვაი...  
თუ იქ იხარე, აქ კი იხარე, ვაი...  
დამხვდნენ მტარვალნი, მწარედ მტანჯველნი, ვაბ...  
ულხენი მიმყვა, მითხრეს ეს სიტყვა, ვაი... .

პარ. სა მცხად იცოდა ნაწლევნი მარიამისა.

შურით აღიგსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მაჟის მამისა,  
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ უამისა,  
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,  
და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,  
მღვდელთ-მოძღვრის [პალატს] მივიდენ გასატანჯველად, ვა,  
მისა,  
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდენ წამ-და-წამისა,  
და ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

## სასვლად ჩემთა სიკეთეთა

- 1 მე შევამკევ ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ გვარი, აბრამს უხმე საყვარელად, ძედ აღგითქვი თემთა მზღვარი, განვამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი, ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი.
- 2 შევაძრწუნე მევეიპტენი, რისხვით მივეც დანამწვარი, აღვაშფოთე სასწაულით, მოუვლინე მკალი, მყვარი, განვიყვანე ხელთა მათგან უჭირველად განაგვარი, ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი.
- 3 ლამე უძლვი ნათლის სვეტით, დღე ღრუბლ[ი]თ ვჰყავ იგ მოარი, ზღვა განუპე, განვიყვანე, მწყურვალთ მივეც კლდისგან ღვარი, არ განუცდათ სამოსელი, მანანით ვქმენ გამაძლარი; ნაცვლად...
- 4 შევიყვანე აღთქმის თემსა, დაუმკეიდრე მთა და ბარი, სულ აღვხოცე მტერნი მათნი და დავალევ მათი ზარი, მეფენი და წინამთქმელნი მივეც მათი გამაზარი, ნაცვლად...
- 5 ხორცი ვისხენ ქალწულთაგან, ვიქმენ მათი შენამყვარი, ბრმათა თვალი აღუხილე, მკელობელი მათი ვარი, სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინე მათი მკვდარი, ნაცვლად...

## ლექს-ამბავი

საწუთროს ბალი რა ჰქონდა, სცან, ალექსანდრეს, მეფეო,  
იდგა ყვავილი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო,  
მის ფშვას აღევსო ქვეყანა სხვადასხვა რიგთა, მეფეო,  
შვება ვარდისა მრავალტრად გაშლილი შიგან, მეფეო,  
სხვანი ლხინისა შროშანნი ჰგიან ფერადნი, მეფეო,  
ზამბახის მსგავსად განეღო სიუსვის პირი, მეფეო,  
სიმდიდრის იასამანსა სუნით აღევსო, მეფეო,  
ჯარ-მრავლობისა ყაყაჩო, ლალა, ხაშხაში, მეფეო,  
მიხაკის სუნის ფერისებრ შინაყმა ბევრი, მეფეო,  
მღვიძრობის თვალის ნარგიზის სიხშირე იყო, მეფეო,  
სიფერადენი ზარდახშინის ინის ყვავილებრ, მეფეო,  
სვე-სვიანობის სასახლე, შიგ იდგა ცამდის, მეფეო,  
დოვლათის შადრევანები მაღლა ისროდნენ, მეფეო,  
თავ-მაღლობისა ალვანი ღრუბლადმდე იდგნენ, მეფეო,  
სიხარულისა არღავანს მრავლად ჰპოვნებდი, მეფეო,  
მტერთ გულის ფერსა სუმბულსა სიმრავლე ჰქონდა, მეფეო,  
კარგთ გულ ფერისა შაბუნი იდგა მრავალი, მეფეო,  
გოვარის თასთა ამბარ-ბუ შიგ გაშლილ იყო; მეფეო,  
ეს ასე შეჰქმნა სოფელმან, ახლა რომ ჭიტყვი, მეფეო,  
ანასდად ცამან მოჰლოუბლა, ნეფხვრა, გამოსჩნდა, მეფეო,  
დააზრო, ზოგი გაახმო, დასცვივდა სრულად, მეფეო,  
სახლო წვიმა-სეტყვით მიეცა ნოტიო დიდი, მეფეო,  
გრიგალმან ქარმან იქროლა, შეჰქმუსრა სრულად, მეფეო,  
შადრევანები ნამსხვრევით აღიერსო, დასქდა, მეფეო,  
ალვა ძირითურთ აღმოჰვნებრა ქარის სიმძაფრემ, მეფეო,  
სჩანს უნაყოფეოს მინდორად აწ ახლა იგი, მეფეო,  
სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო!  
აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უცხოდ მჩანს, ვახტანგ მეფეო!

\* \* \*

ნავთსაყუდელსა მენავე რა მივლენ, განისვენებენ,  
მოყვასთა თვისთა სამყოფთა ნახვა სწალს, მით ისვენებენ.  
ჭირთ მყოფნი ლხინსა შესრულნი მას აღარ მოიჩვენებენ.  
და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩვენებენ.

## კ ა ე შ ა ნ ი

- 1 დავემონე კაეშანსა, სევდა მომზვდა მისთვის წამლად,  
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;  
ლხინის ბალის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად,  
და ველი, სამე გამომიჩნდეს გამომყვანი დასამალმად.
- 2 სწავლა გავს წყალსა წმიდასა რუულად მომლინარესა,  
რა მიხვდეს კარგსა სათესსა დროსა, უაშსა და არესა,  
აღმოაცენებს ნაყოფსა ასწილად შესაწყნარესა.  
და მორწყული ქვიშა ანასდად გაიდენს, გაიტარესა.
- 3 მიავაეს ჩეენი სიცოცხლე რუსთა წალკოტის წესებსა,  
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჭია სჭამს ბევრ ათასებსა,  
სისრულეშია სიცივე დაურის და დააკვნესებსა.  
და დანამწიფარისა ყინული ფოლადებრ დააკვესებსა.
- 4 მიხედე, უამმა რა მიყო ცრუმა და ანასდეულმა,  
დასწყნარდი, ბოლო მოუღე სიჩქარით ანასდეულმა,  
სიგლისპისაგან სიმჯვახე ამწიფე ანასდეულმა,  
და აწ სვიანობა მოიღე, სიავის ო ნას დეულმა.
- 5 რაღგან სჩქარობ, დაგსწყნარდები, მოგითმენ და მოგიჭირებებ,  
რაცა მოგყავს მოსავალი, არა რაღმე გავიკვირებ,  
დამადლებით დაგიმადლებ, რას[ა]ც რასმე მომიძვირებ.  
და სხვა ადგილი მოსახმარი მიმაჩნია, მივაშურებ.
- 6 ყრმათა ატყუებ უგბილთა, ვაჟთა სილალით დარევ და,  
შუაკაცს გამოუცდელსა ხელსა სიჯამნით დარევ და,  
მიკვირს, ბერ-კაცსა რალა სწადს, ისიც იმათვე დარევდა!  
და ქვე დავრჩებით და გაცვდება, თუ იქლა ჩენთვის დარევდა.
- 7 ცუდ უბადობით ვაშრონებ დღესა, დროსა და უამებსა,  
რუსთა ზაფხულებრ გაივლით მოსოფლიოსა წამებსა,  
რა გამყვეს, ანუ რა დამრჩეს, ვით რამე დამიამებსა?  
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რისამე გვამებსა.

- 8 რა არის ზრუნვა კაცისა, ღროთასა ვხედავ ქცევასა,  
მიწყივ ბორბლისა ბრუნვასა, სხვადასხვა-რიგა. ზევასა,  
ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ჟაშისა რევასა,  
და მჩეს შეხვდეს დია ხუთ კუთხად, მოგცემსცა მტერზედ ძლევასა.
- 9 წყალმან არა ქნას სისველე, რითლა ეწოდოს წყალია?  
ცეცხლმან არ დასწევას ნივთები, საღ გამოჩნდება ალია?  
აგრევ სოფელმან ცქაფობა, მითხარ, რა მოსაკრძალია?  
და ბუნების საქმეს იქმონენ უცვლელად, დაუმალია.
- 10 სიბრძნით აღაგო ყოველი, საქმით ა განასრულითა,  
წესიერებით შეამკო, საზომი განა სრულითა,  
აჩვინ დააგდო წყალობის კარითა განასრულითა,  
და უსხეულონი მსაქსურად ზოგნი ყო, განა სრულითა!

## სალგუნაღ გულისა

- 1 მრწამს, შისის სარჯლით აშემული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,  
მას ჟევედრები, რომელმან არარა ცოდვა იცოდა;  
მას შემწედ ვხადი, მის წინა ვინ სულის წმინდით იცოდა,  
და შემინდოს ყოვლი რეგვნობით, რაც ჩემგან რამე იცოდა.
- 2 გამსაჯა მიწყივ სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,  
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯა-მა,  
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, ა ჯამა,  
და მწევე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.
- 3 დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,  
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები.  
ვინ დამბადე, შემიწყალე ყველასაგან მონაძები!  
და შემომძარცვე, რაც მაცვია, ჭირი, ჭმუნვა, საძაძები.
- 4 დამეკლიტა ლხინთა ბანი, მორჩომილა განა კარი,  
ცხრა მწვერვალი სახმილისა გულშიგან მაქვს განაყარი;  
დამილტვია უბე, კალთა, წინც ბევრი მაქვს განაყარი.  
და რა ბრალია, შენი მჭვრეტი ექმნას სულსა განაყარი.
- 5 ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყოს «მაჯამა»,  
ცრემლთა ნაკადმან აავსო, ნახეთ გაცნობოს მაჯამა,  
დამწევა სოფლისა საცოტრმა, ველარა სცემოს მაჯამა.  
და უკეთ არ მწამდე ამისგან, მკითხოს მეჩიტმა, მაჯამა.
- 6 მომინდა საწყალთ ტრფიალთა ცეცხლი მოუდვა, ალები,  
ვადინო დაუწყვეტელად თვალთა ცრემლისა წყალები,  
საყვარელისა შორ-ყოფნით გავხადო შესაწყალები;  
და სოფლის მიმყოლთა ყოველთა სცნან, როგორა სჭირს ძალები.
- 7 კეპლუცთ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ,  
მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით..

- სხვას ვისმცა ეძლოს კურნება, ცუდად შვრებიან მალამით,  
და მიჯნურნო, მოდით, მიტირეთ, ცრემლი მავასხეთ, მალამით.
- 8 გიშრისა შშვილდმა, მელნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,  
ბროლმა და ლალმა გარევით ლამის დღეთ სიგძე მიწამა,  
ცრემლი მდის მიწყივ თვალთაგან, ვეჭვ, გულმა შენმაც მიწამა,  
და რად არ გეწყალვის მიჯნური, შეშჭამოს უდროდ მიწამა.
- 9 მხნეო, შენს გარდამკიდესა მჭირს ასე ძნელი ჭირები,  
ფარვანებრ ვიწვი, ბულბულებრ ეკალთა შინა ვირები,  
უსჯულოს ვისმე, გლახისებრ მაქვს ესე განაჭირები;  
და იმ სოფელს ვერას ვიკეთებ, აქა მაქვს ლხინი ძვირები.
- 10 ვარდს ყინვა ფერსა ვერ ართმევს, იგი მას მისსა წილებსა,  
სახმილი 'მძაფრად მგზებარი არ აღნობს ისრე ცვილებსა,  
ქასრი ვერ გასთლის რკინასა, შენ რომ სთლი კაცთა გულებსა,  
და ბასრი მკვეთელი შიშველს ტანს რით დასდებს ამა წყლულებსა?
- 11 ცეცხლს უგავს ლაწვი, ცეცხლისგან უფრო მწვავს, უფრო მედება,  
რა ვნახე მიწყივ საჭიროდ, ფეხი მახესა მედება;  
მიმტაცა სული დღესიქით, რას მარგებს გულის რე დება?  
და მიტირონ ძმათა საწყალი, ან და თუ ვინმე მედება.
- 12 რა მოვილო, ეს არ ვიცი, შენთვის მსგავსი იგავები,  
გაგიძვია, დიალ, მიღმარ სიგონჯე და იგ ავები,  
ტრფიალთ შენთა სალალობოდ იწმინდები, იგავები,  
და ჭირსა ძნელსა გაუქსნელსა ამ საქმითა იგ ავები.
- 13 ციხეს ზიხარ მეტად მაგარს, არვის ძალუძს შოვნა ძალად,  
ნებით კარსა არვის უდებ სამოთხეში შესავალად;  
ისარს ისვრი წამწმისაგან, ცეცხლს გარ უდებ ტრფიალს ალად,  
და ვერ გაუძლებს ვერცა ერთსა, გული იყოს ბასრად, სალად.
- 14 ლექსა მივყევ სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი, განახელი,  
დამიწუხა თვალნი სხივმან, ვეღარა ვქენ განახელი;  
გიშრის თხზულმა ტოილომა გული შეკრა, განა ხელი!  
და შეყრასა ჰგავს მზის და მთვარის, თუცა თავი გან ახელი.
- 15 რა ვარდმა პირი ვაშალოს, ვალიმდეს, ვაიცინოსა,  
მაშინლა მისმან მჭერეტელმან ნეტარ რათ მოიწყინოსა!

მწვანეზე წითლად ნაშალსა ზედ ცვარი გაეყინოსა,  
და მინახავ მაშიგ მავალსა, შენ იგი მოგეყივნოსა.

16 ყვავილსა მრავლად შეყრილსა მათსა სამყოფსა, კანებსა,  
მწვანეს ხავერდად ნაშალსა, შიგ რუსა მომდინარებსა,  
ალვის-ხე მაშიგ მდგომელი აშვენებს ბალთა არებსა,  
და კეკლუცაა შიგან მყოფელი, გავხარ მის შესაღარებსა.

17 მზესა შუქსა რომ წაუხვამ, ხომ არა ხარ, რომ ვთქვა ღამე,  
ვარსკვლავების მიფარებლად მზესა ჯობხარ კინაღამე,  
მთვარის უფრო ბნელს ანათებ, მას რას ვაქნევ იყოს სამე.  
და ჰე, ზოპილო, მისი შედრა, თუ შეგეძლოს, შეიწამე!

18 ჩრდილოს ვარსკვლავი მის ადგილს ზის, არა, არ აკლდებისა;  
ყოვლი მნათობი მთიებნი გარშემო მას ევლებისა;  
მის გარემოსა მიწურვა ვერვისგან შეიძლებისა,  
და მას ბაძავ, ღაწვნი მიჯნურთა რა ეკრთოს, დაიკლებისა.

19 მაისში კარგად მოსული ქარით ლელევდეს ყანაო,  
წყლის პირსა მდგომსა სათიბსა ნიავი სძრევდეს ანაო,  
მიგიგავ ღაძვრა წარბისა, ვით შექმნა აგრე მანაო.  
და ხამს, რა ვერ გპვრეტდეს მიჯნური, გულსა დაიცეს დანაო!

20 სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი რაც მქონდეს, დამელოს,  
ან მაგალითი პლატონის, ან პითალორის დამელოს,  
ვჯდე გულის მზრახად სამუდმოდ, თავი ქვე საღმე დამელოს,  
და საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამელოს.

21 მას პირი უგავს ბროლსა და შიგ ლალი გამჭვირვალობსა,  
ბაგე—ვარდისა ფურცელსა, კბილი მარგალიტს ძალობსა;  
ტანი—ალვასა მრხეველსა, მჭვრეტელი მწვე საბრალობსა;  
და მე გაუხდივარ ქარვად და ტან-ლერწამ რომ უწყალობსა:

22 თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ზანგუბრელს, სულო, და,  
შენმა ბაგისა ციმციმმა ფერი ყაყაჩოს სულ ოდა,  
ალმასის პირის სადარით ხამს მზისა სხივი სულ ოდა,  
და საბრალოს შენთა ტრფიალთა, სიცოცხლევ, გული სუ ლოდა.

23 ენახათ მისი სიტურფე, გული სხვაგვარად ქცეოდა,  
ეტყოდა თავსა, არ ვიცით, აწ რა ნუგეში ქცეო და,

ხამს, ამ ჭირისთვის თუ გვეძლოს, შეგიპყრათ სეეო, ქცეო, და-  
და მართ მისწუროდათ მათ სული, გასცლოდა, გაცაქცოდა.

- 24 ლაშვ-წითელი და თმა-გრუზი, კბილ-თეთრი, თვალი შავია,  
შვილთა მნათობთა გარსკვლავთა არ ძალუცს მისი დავია,  
სუფთა, წყნარი და სათუთი, კექლუცთა მოსართავია,  
და უკვდავებისა ბაგები ვარდ-შაქრით შენაზავია.
- 25 თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახო სული და გულო,  
ყვავილისებრივ გაშალოს მისგანვე გული დაგული,  
გაბლოს კარი ლხინისა, ჭირისა კარი დაგული,  
და გაშალოს ვარდის კუკური, ჩემშია მისი დარგული.
- 26 რა მზე ვარდაჯდეს ვერძნედა, აქრმა შექმნას თბობანი,  
ამწვანდეს ტყე და მინდორი, მფრინველთ დაიწყონ ხმობანი,  
აყვავდეს ყოვლი ქვეყანა, ტრფიალთა შექმნან ღნობანი;  
და ქართლსა ვაჰუროდეს, ისპაანს კაცს მიხდომოდეს ნობანი.
- 27 რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა?  
მწვანედ ლელევდეს ვარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,  
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა?  
და მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა.
- 28 ბულბულისა რაღა გითხრა მრავალფერად მაზედ ხმობა,  
ვლახ, მისისა მიჯნურისა მუსიკურად შესხმა, მკობა,  
თავს დაბრუნვა, ზედ დაბნედა, რა მობრიუნდეს, ჭიკჭიკობა,  
და ტრფიალთაგან საანდაზოდ მათგან მაზედ არაკობა.
- 29 ჭიკჭიკობდეს ვარდს ბულბული, ზედ წე იდგეს ჩრდილის ფენით,  
მის ქვე იჯდეს მოყმე ვინშე, მხიარული ხმობდეს ენით,  
თვით გვერდთ უჯდეს მისი ჯუფთი, მინა თასზე მონადენით,  
და რა ბრალია, საწუთროო, იგი შექნა ცრემლთა დენით!
30. ცაცხვი დგას ტურფად ნაზარდი, შტო მსხვილი, შუა ვაკესა,  
ყვავილი ვერად-ვერადი გარ უდგას მისა ბაკესა,  
მუნ ვარაიღათად მსხლომელთა ლხინი რათ გაინაკესა?  
და სმენ უცხოფერსა ლვინოსა, კულები არაქრაკესა..
- 31 გაზაფხულზე დიდგორს ჩირთი არა ჰქონდეს განაშალი,  
მუნ მიყიდენ სანაღიროდ, ვაჟკაც იწყონ: „კარ, გაშალი“-

- ჯერგა მაღლა მოიძახდეს, ნადირთ მისცენ რბენას ძალი,  
 და აქ დასცენ და იქ ისროდენ, გააწითლონ სისხლით წყალი.
- 32 ლილოს ტბაზე წერობას, ნეტარ, რამცა შეედარა!  
 შავარდნისა ნადირობით ვისმუა თავი შეეზარა!  
 ჩირგვის მწყერს და ლალლას ხოცულნ, სეფეით გორად დაეყარა,  
 და მუნ მწვანეზედ კარგად დასხდენ, ლხინსა ხელი წაეყარა.
- 33 ზარს ჩასაგდებსა ქორებსა აშურებდიან სატევად,  
 მოეიდენ, შექნან ნადიმი, სახლსა ზარობდენ სატევად,  
 რა ბრალი არის, ეს უამი კაცსა შეჭქნოდეს სატევად!  
 და სისხლისა ცრემლსა გაეწნას, გუგა საბრალოდ სატევად!
- 34 რა ივნისში წყლებმა შტონი გაამრავლოს გარდადენით,  
 მის წყვეტისა შექცევისთვის მოარობდენ გარდადენით;  
 ბელტსა ჰყრიდენ, იძახოდენ: „ძელი ძელსა გარდადენით!“  
 და თევზსა ჰყრიდენ ნაპირზედა, არ ეტევის, გარდადენით.
- 35 კოუორიც ითქმის ერთ რათმე, თუ ჰავაშ არ იაოსა,  
 ყვითლად ყვაოდეს ბაია, ნარგიზი ვერ ედაოსა;  
 მუნ ბულბულისა ზახილმა კაცს სევდა მოაქაროსა,  
 და ხოხბის და კაჯბის ლაპობით, ვეჭვ, თავი შეგაზაროსა.
- 36 შუას ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამც ედარაო,  
 ჯერ მწყერაობით შექცევა, თუ ცამცა მოიდარაო,  
 მერმე ქციისა დასაგვლა, ორაგულს ჰყრიდენ გარაო,  
 და ჯერით, ზიდვით და აკიდვით ყოვლთ თავი შეაზარაო.
- 37 წყალსა ნაწყვეტსა მწვანეზედ მჭერეტელნი მზერდენ ას ერით,  
 იქერდენ მაშიგ კალმახსა: „დაჭერ“—იძახდენ—„ასერით!“  
 კვლავ მოდიოდეს მინდორად არჩვი, ირემი ა სერით.  
 და მისმან მნახვემან ეს მითხრას, ეს ისე ვაჭო ასე რით?
- 38 მაშინ შამბიანს მთა—ვაკე მრავალფრად აყვავდებოდეს,  
 ბროლისა მსგავსნი წყარონი ციმციმით მოსდინებოდეს,  
 სამოთხის მსგავსის ჰაერით გულს ჭირი მოლხინებოდეს,  
 და ცუდი ცდა არის, გაყრილსა სხვით გული დაედებოდეს.
- 39 რა მიმართონ მისა მზღვარსა, მხიარულთა დაიბარგონ,  
 მას ლამესა რაც მართებდესთ, იარალი მოივარგონ,

- დილას ჯელგა შემოხვიონ, თავის მქონელსა კარგად არგონ,  
 და სწყვეტდენ, ჰეოცენ, სისხლის მათით სევდა სულა დაიკარგონ.
- 40 ჯერგის მფთხალსა მონარბოლსა ხარსა შამბი ედებოდეს;  
 დამაშერალსა წყაროთათვის გულსა ცეცხლი ედებოდეს,  
 ჩამოვიდენ, კარგად დასხდენ, წინა რქანი ედებოდეს,  
 და უგზავნიდენ დანიშნულთა თვისსა, გინდა ედებოდეს.
- 41 როჭოს ლაპი მომავალთა შექნან ბევრი საგალია,  
 გნოლი წითლის დევნებითა ქვე მიწაზე საგალია,  
 კალმახისა გასაწყვეტლად დაუნაყონ საგალია,  
 და ვაჲ, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდათ სა გალია!
- 42 ამას უკან მხიარულნი გაემართნენ შავნაბადით,  
 ფარავანზე შექცეულნი თევზსა სწვევდენ მუნა ბადით,  
 არჩესა ხოცენ, სხვას ნადირსა, თუ რამ ჰქონდეს მთას ნაბადით.  
 და მნახთ არ აქონ, ვით იქნების, თუ ქვეყნად არს იგ ნაბადით.
- 43 ნუ გიკვირს, რომ ტბის-ყურისა ქება ვერ ვთქვათ ახლა სრული,  
 გაიხსნების უცხოთ რათმე მუნ შექცეული მწარედ გული;  
 ხენი ზრდილნი ტურფად რათმე ნაპირს უგავს შემორგული,  
 და სხვა კალმახი მის კალმახთან დიაღ არი დაკარგული.
- 44 ხევ-ღრმა რისათვის დავაგდოთ, ან ფილტვიანის არები,  
 მინდვრად მოსული მანძილო რქა-მაღლად ზრდილი ხარები,  
 ქვლავ ნიამორი უცხონი, დომბისა შესადარები.  
 და გაამოს ერჯევანმაცა, თუ დაგხვდეს კაი დარები.
- 45 რა გათავდეს ეს შექცევა, კვლავ მოვიდენ ისევ ტფილის[ს],  
 აბანოსა განისვენონ, ქებაც ითქმის მცირე ძილის;  
 სანუკარი მრავალფერი სიმრავლეა უცხო ხილის,  
 და იშვებდენ და იხარებდენ, ვის რა ჰქონდეს, თავის წილის.
- 46 თუ გაკითხვა სოფელს ჰქონდეს, კაცი. ძაძოს იქ რათ წეროს,  
 მუნებური შექცევანი ვინ აღრაცხოს, ან ვინ წეროს?  
 აიყვანონ გავაზები, მხარ-ბარკალსა სწყვეტდენ წეროს,  
 და შავარდნითა შექცევასა, ვაჲ, სოფელო, მიმაწევ როს?
- 47 შემოდგომაზე სომხითმა, ვეპ[ვ], თავი მოგაწონოსა,  
 ახალს გამოსულს ქორებსა ფრთა კარგად დაესწოროსა,

- ხოსობი მაღლა ფრინევდეს, კაკაბი დაუღონოსა,  
 და ტაბლით ნამაღლი იხევები კამარით ქვეშ ეგოროსა.
- 48 ძოვნია არძს საქები, ვაჟკაცთა გამჭიმავია,  
 ფიცხლად დახლტოდეს ყურდგელი, სროლაზე ჰქონდეს დავია,  
 იქცევდენ ბევრგან მწევარნი, ზოგისა დამჭირავია;  
 და ბერნიც ამგზავსოს ყმაწვილსა, ეს, მითხარ, როგორ ავია!
- 49 ხუნანაშდი დღივ და დღივე მიწყივ ჰქონდეს ესე ყოფა:  
 დებედას და ქციაზედა გულს არ უყონ ლახვარს ყოფა,  
 ოყარს გავაზს ადევნებდენ, ისა ჰყვაო კარგა ყოფა.  
 და აწ ტფილისივ მოიგონონ, კვლავ არ უყონ იმას ყოფა:
- 50 ცოტას ხანსა მოისვენონ ყარაისთვის განახელთა,  
 დროთ მისწერონ ყოვლთა წიგნი ამ საქმეზედ მათ მხმობელთა,,  
 მოკრფეს ჯარი სატურფალი, „ვახი“ ჰქონდეს მუნ ბჟვრეტელთა.  
 და გაემართნენ მხიარულნი, მიგრაგნიდენ მთა და ველთა.
- 51 ლოჭინს შეექცენ კაკაბსა, სად ჩადის მცირე წყალია,  
 საჯოგის ქალას მივიღნენ, ცეცხლს ჰქონდეს მაღლად ალია,  
 მეორეს დღესა ხოსობსა დამართონ დიდი ძალია,  
 და ტყე მოირეკონ, ნადირთა გაავლონ ერთპირ ხალია.
- 52 ნაგებით დაგვეხვდეს ყორული, ტახი ლომებრივ მბრძოლია,  
 ირემი, შველი სახუნდარს ფირცხლად რამ შემომსვლელია;  
 მაშინ ხამს თვალის სიმარჯვე, ხელი ფიცხობის მქნელია,  
 და შიართვან მეფეს მოკლულნი, კვლავ მიპყონ ლხინსა ხელია.
- 53 ჯელგა ნახონ, გარდასთვალონ, სულ მოსულა, ანუ არა,  
 გარდამკვრელი გააჩინონ, გააყენონ შათვან გარა,  
 მათ ასწერონ, ვითა ხამდეს, ვინ ვისთანა დაეკარა.  
 და შუაღამეს გაემართნენ, რად ვისმემცა დაწზარა;
- 54 შემოარტყან მინდორს ჯელგა ცხენ-ფიცხელი, მუხლად მალი,  
 დაეკარნენ, ნელა მიპყვნენ, მათგან იყვნენ დაუმალი;  
 მუნ ქურციყი შიშისაგან შექნილიყოს მწვე საწყალი,  
 და ლიკლიკასა მონარბენსა ზოგმან მოპკრის ვერცა თვალი.
- 55 რა გითხრა მაშინ მუნ მყოფთა კეკლულად მოვანებანი,  
 ბედაურთ ცხენთა სიმსუქნე, ან უცხო რიგით მკობანი,

- იარაღთ ტურფად გაწყობა, არა ოუ ცუდად დებანი,  
 და მტერთა საჭიროდ სანახნი მოყვასთა იმედებანი.
56. ცხენი ჰყვანან ბედაურნი, კაცი ლომთა შესაღარი,  
 მათ ქარქაშნი გაუწყვია მტერთა მათთა შესაზარი;  
 მწვე ხმარობენ სადავესა, არც მყლავი აქვსთ მოუქმარი,  
 და თრთოლა მოსღის მოსვლისათვის, დგას ჯერნისა ბევრგან ჯარი.
57. რა მოსვლა შექნას ნადირშა, გაუხდეს მათის თავითა,  
 მათრასი მის ღროს იხმაროს; მშვილდა დაზიდონ დავითა,  
 წინ გარდამხტალს და მართალს მხარს გაეწყვენენ კარგ-სა დავითა,  
 და ზოგი იქ დასცენ, ზოგს დაჭრილს მისდევდენ მისად ავითა.
58. მათთა ცხენთა სირჩილითა მიწა თრთოდეს, ვითა წყალი,  
 ცას ლრუბელად მტვერი ჰქონდეს, სისხლი ველზე განაშალი,  
 ზედ ეყაროს მუნ მოკლული მათგან სულა შეუწყალი.  
 და სხვა მისებრივ თუ გენახოს, მე გამკიცხე, ან მომქალი.
59. რა აშალეს, კარი მოღის დაფანტული, დანაწყვეტი,  
 მხცოვანი და ბერიყაცი მუნ შექმნილა განარეტი,  
 ერთმანერთსა ვინც წაუსწრებს, რბევა არი მეტის-მეტი,  
 და ჩოხოსანთაც აუღაა მათიდ სამტროდ ხელთა კეტი.
60. რა გაათან, ზოგს ჰქონდეს მოწყენა მიუთხრობელი,  
 თავსა მართლობდენ მიზეზით, გამოჩენდეს მათიც მთხრობელი,  
 ზოგი თქარ-თქარით იხარებს; მათი გულისა მდებელი,  
 და ზოგნი ცილობენ: „მე მოვკალ, შენ ძალისა ხარ მქებელი“.
61. მოღიოდეს აწ მოკლული, ბატონს წინა იდგეს ხორა,  
 ზოგს უბოძოს, შინ გაგზავნონ, სხვა რა იყოს მისი სწორა?  
 მოკვლისათვის ცილებაა, ვინ კარგათ ჰქონა, ან ვინ შორა.  
 და ამ ლალობით ლხინად სხეტან, ამის უკეთ იამო რა?
62. არ გაძლენ სისხლთა მათთაგან, არ შეიცოდეს მკვდარია,  
 მაღლიანს ჯელგა მოასხეს, შექნეს ზეიმი, ზარია;  
 ფრანგთ ოშე ამსგავსეს, რაც მათგან მუნ თოვეი განაყარია.  
 და პყრია მოკლული მრავალი კაცთაგან მოუქმარია.
63. მათ მიშართეს აღრინტალსა, კიდევ ჰქარეს მასცა ხელი,  
 ქორს და ძალლსა ადევნებდენ, ხერხსა ციდილობს შისებრ შელი;

- იქაც შეხვდენ ნაფოთხალს ჯერანს, რა გაფანჩებით იყვნენ მსელელი,  
 და ცარიელად გამოსულთა დევნა უყვეს დიალ ძნელი.
- 64 ამას უკან სულისათვის უდაბნონი მოილოცე;  
 წმინდას დავითს თაყვანი-ეც, ერთი მაღლი გაროცე,  
 ბერთუბანო ჩიჩიტურით, ცოდვი ჩემი ამიხოცე!  
 და ნათლისმცემლით წამებული, დოდოვ, მტერი დამიხოცე!
- 65 შიუნდობი საწუთროო, მოყვესისთვისც ხარ მიწყივ ქრული,  
 ჩალხისებრივ ბოლოს თავსა, თავს ბოლოს ჰყო მოარული;  
 თვით ეს ყოფა კაცსა ჰქონდეს და შეპქნდეს დაკარგული,  
 და ორგორ გისძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ  
 გული?!
- 66 პირველ მალხინა სოფელშა შანბიანთ არე-მარებსა,  
 ყარაიას და სომხითში, ღიდგორის გასახარებსა,  
 სხევას რას შექცევას, რას შევბას, არ კაცთა დაბაზარებსა,  
 და აწ დამსვა მარტო, გასჭრიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა!
- 67 რას ვარგა კარგი საჭმელი მარილზე მოუწონია?  
 ვისამცა მძივი აღმასად ყირათით მოუწონია?  
 აწ ვხედავ კარგსა ნასეტყვაუ, ავია, მოუწონია,  
 და შალგსაც ყვავილი დაარქევს, მას თავი მოუწონია.
- 68 აწ გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუწონარი,  
 სიყრმითვან ჩემი მწირობა კაცთავან მოუგონარი,  
 რა სიგლახაკე, შიმშილი, სიშიშვლე დასალონარი.  
 და მამაძებნინეს წერაქვი, აწ გამიჩნდების ონარი.
- 69 მზეს ღრუბელი მოეფაროს, დააბინდებს, დაცაპფარავს,  
 ვარდი მზის შუქს რა ვერ ნახავს, ფერს წაართმევს,  
 დაცაპქარავს,  
 აწ მეც შევხვდი ამგვარ დღესა, შესაწუხარს; შესაზარავს,  
 და ვერ ვეწიო საწადელსა, ვიც, სოფელი დღესა მპარავს.
- 70 ვიყავ მოყვესისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი,  
 ცმათ პატივისა მღებელი, მიმცემი, მიწყივ მხარავი,  
 სამლოცვ ვიცოდი, საეროც, მექმენ აწ ზურგი მხარ-ავი,  
 დაუნაშავლად შემექნენ უწყალოდ ძელისა მხარავი.

- 71 შეკრბენ ჩემზედა თეისტომნი, საყოლთაც მომიძულესა,  
ვინც მხევალთაგან შიშობდენ, მანც ჩემზე კბილი იღესა;  
გამომიმეტეს საკვდავად, რაც მქონდა, განიწილესა.  
და ვის ვიზედობდი, მათ უფრო გამკიცხეს, გაცამკილესა.
- 72 ორბს ვინმე სტყორცა ისარი, ეცა, ქვე იქმნა მდებარე,  
განკვირდა: „ჰაერთ სიმაღლე რა მომწვდა გულსა მგებარე?“  
გასინჯა, იცნა მისივ ფრთა ისარსა ზედა მწებარე,  
და თქვა: „ჩემთაგანვე მომედვა ცეცხლი უშრეტი, მგზებარე.“
- 73 ვათ უგბილთ და უმეცარითა რათ მომიდვეს ცეცხლის ალი;  
რა ვაწყინე ასე ძნელი, რა მიადგათ ვისგან ძალი?  
უველა ფიცით მპირდებოდენ, არვინ მყენლა შემომწყრალი.  
და ეს არ ვიცი, რა შევცოდე, შემქნეს ასე შეუწყალი!
- 74 თავი დავაბი ჭირსა და ვზივარ უხსნელსა კარებსა,  
წაბ-და-წაბ ვისმენ ამბავსა სამსალის უფრო მწარებსა;  
ავს მექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესაზარებსა.  
და მაინც მოველი ლითისაგან დროს რასმე გასახარებსა.
- 75 არ ისმინდეს მოციქულთა, თორმეტი ხმობს, გინა ათი.  
ვისცა ძმა სძულს, სიყვარული ღვთისა მწამდეს მათგან რათი?  
მოყვარე ვართ, ოჯულით ძმანი, ერთხელ ვიყავ მეფეც მათი,  
და არცა ერთსა არ მიხედეს, გამიკეთეს უცხო ხლათი.
- 76 არ ვიშიშვი, რადგან რომე თაყვანსა ესცემ ღვთისა კრავსა,  
უსამართლოდ მტერთა ჩემთა საკვრელითა ისი კრავსა;  
კიდევ ეტყვის წმიდას მერკვირს, ივლიანებრ მასცა კრავსა,  
და აყარყუმებს ტყავსა ჩემსა, აწ ბოხოხსა რომე კრავსა.
- 77 ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,  
ამხანაგთხედა სიკეთე, სხევთაგან შესაშურები,  
ძმათა და თვისთა მოყვრობა, რა ჩემგან მოსასურები.  
და განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები.
- 78 მტილი ყვავილით აღვსილი მც ნებით ჩემით ვინარე,  
ჭირნი ეგზომნი ურიცხვი ჩემქენ, არ ვიცი, ვინ არე.  
სულ გამიტერდენ მოყვასინი, აწ, მითხართ, კარგი ვინ არ ე?  
და ძნელსა დავები, თუ შენვე არ მიხსნი, შექენ ვინ არე.

- 79 ცრუმან სოფელმან სიმუხთლით, მწვე შიკვირს, ჩემთვს აგო რა !  
მან კაეშანი უხსნელი შეყრით შეჭყარა, აგორა.  
ვერ მომიძვრია, არ ვიცი, გულსა ასეთი აგო რა.  
და დღე ჩემი წინათ წარსრული ყრმათ ჩიკორისებრ აგორა.
- 80 რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,  
რაც მე შეგვი შესასმელი, ესე ზელსა ვისცა ესო?  
ვარდი მედგა ბალსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,  
და მე აღმოვფხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?
- 81 საწუთოსა ცხენსა ვიჯექ, ლურსმანი ვქენ მონაწევი,  
მრავლად იდგა ბალსა შისსა ხილი მწიფე, მონაწევი,  
რაცა მწარდა, მას ვიზმევდი ხელით მქონდა მონაწევი.  
და ახლა ვქნილვარ მტერთ სახრალად იქით-აქეთ მონაწევი.
- 82 აღმემართა კაეშანი, ეს არ ვიცი, როს იხაროს,  
ვინც ა ღვთისა მიუნდობლად, რამც იკეთოს, რამც იხაროს?  
ესეგვარმან თავი თვისი იპირუტყოს, ხამს იხაროს.  
და კაცი ცრუ და უგუნური მომერიდე, ნუ ი ხარ ოს!
- 83 განმითრინდა სვისა ქორი, არ თუ არი განახადად,  
ბედი, სვე და სპა და ჯარი ყველა მექმნა განახადად;  
ცრემლი მიმდის უფრ მისგან, რა სელი ქნან განახადად,  
და მწვე მიჯობდა სხვაგან მევლო, განა დვალად განა ხადად!
- 84 ჰე, თაო, პირველ შეებულო, აწ უცხო ჭირსა ვარდია,  
საკვრელსა ქნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოლრმოსა ვარდია;  
მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, სამყოფთვან გარე ვარდია.  
და ლაწვი შემქნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.
- 85 ვერ მივეც, რაცა მეშართა, ხარკი სოფლისა მე ცადა,  
მავიდა ქარი ხორშაკი, ანაზდად სამე მეცა და,  
ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხვებთანა მეცა და,  
რა მწვე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვარიგად მეცადა!
- 86 ის მოსაფალი პირველი დასეტყვა, ასე მება რა,  
ზე-აღმართული სვე-ბედი ანაზდად ვნახე მეხარა,  
სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა,  
და არ გიკვირსთ, სოფლის სიმუხთლე, დემად შემქნია მე ხარა?

- 87 მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყვეტილო,  
სოფლის ნასთა მსხვილად სოულთა უცხოდ რათმე  
დაწყვეტილო,  
რუო, ხარბად მომდინარო, მლაშისამებრ დაწყვეტილო,  
და სახელოვან ბიძა-ძმათა, მამით უწყლად დაწყვეტილო!
- 88 მეფეს არჩილსა სძრახევდენ, სხვას თემს რომ იყო მვლელია,  
იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექნა დამანელია;  
მეც მასევ გძრახენ, აქ მოველ, მაშ, რა ვქნათ, რა საქნელია?  
და მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჭკუა ჰქონია მთელია.
- 89 იაღონისა მოწყენა ხამს ვარდასაც დაეზაროსა,  
დაჭრნეს სამოთხის ყვავილინ, რალათი ვაეზაროსა?  
მათოვის ყაფაჩო-ზამბახმან ქვე თავი დაიხაროსა,  
და ნარგიზმან, ია, სუმბულმან სატირლად მათქენ აროსა.
- 90 თუცა უთქვამთ, დარამ არი ეტლი, სვენი და ბედია,  
მაგრამ ამათი მიყოლა ბრძენთაგან გაუბედია.  
იგია ყოელის მშყრობელი, ყოველთა ზედა მხედია.  
და სოფელი — ჩვენი მესისჩლე — ზღაპარი არის, ყბედია.
- 91 სოფლის ხლათის დაფაცვრითა ჭირს დავები გაუგებსა,  
უცხო რამ სჭირს, ზოგს ლხინს მისცემს, ზოგს ლახვარსა  
გაუგებსა;  
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა,  
.და ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ჭორედად გაუგებსა.
- 92 მე სანთელი მრავლად მნთები მეყია შინა მექრალება,  
არ დავარდი, მეცა მომხვდა სხვის დამწვრისამებრ ალება.  
ვჩივი, თუცა არვინ მისმენს, რა გქნა, თავი მებრალება.  
და ვერრა ვირგე, მომეწყინა ესოდენი მე ბრალება.
- 93 ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხვეს,  
არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს.  
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკელელთა ბერნა დაყვეს,  
და ჩემს ცოლშვილთა ტცვედ ეძებდენ, საქონელი იავარცევს..
- 94 თუცა ვიყავ ამათს რჯულზე, მაშ, ესენი რას მტერობდენ?  
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?

უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ.

და მილთონთა ვსჩან მეფედ შათაღ, თვის ტოშსა სწალს, რომ  
მაქრობდენ.

95 მაწვიეს თანამხლებელთა: „საქმის არა ხარ მქონელი,  
ლექსი თქვი, ნუთუ ჯავრია! არ იყო განამყოლელი.“  
მეც დაუჯერე, თქვენც ნახავთ, რისაც საქმის ვარ მდომელი.  
და ამითი გავლე ცოტას ხანს სოფელი დაუდგრომელი.

96 კაცს ვისმე სახლი-სამყოფი, ზღუდე უყვარდეს ამბარით,  
იგ ტყვიას როდის იქონებს, ამას უსუნებ ამბარით.  
ვზარდო ფერადი ყვავილი, მოვიღო მთით და ამ ბარით,  
და მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ: „ამან მისთანა ამბა რით“.

97 მაგრამ ვნახე, რომ ურევდენ ყვავილებში ამ რეანსა,  
შევრი ვინმე მას უბნობდა: ყველაზედა ამრეანსა.  
მისა მსგავსად ეგებ ვინმე იყითხევდეს ამრე ან სა,  
და არ სურნელით სულ უკლებსა, მცირედ რამე ამბრეანსა.

98 ლექსები რამ ვთქვი საბრალო მტერთაცა შესაწყალია,  
ვინც წაიკითხავთ, ამაზე ცრემლით აგევსოს თვალია,  
ხარბად ადინეო, სოფლისკან ირის რამ დასავალია.  
და ნუ შიენდობით უნდოსა, ბოლოს არ გიყოსთ ძალია!

99 კაცს შევხვდი ბრძენსა, ეს წიგნი მაზადაც უგემებია.  
ვარქვი: ამ ზღვაში ჩავარღნილს რა ხილი უგემებია?  
„რადგან გწადს სიტყბო—მან მითხრა—ჯერ ნახე უგემებია,  
და ქვენარის თაფლი უეკლოდ არავის უგემებია.“

100 რა ვქნა, რასათვის გავეწყევ კაცსა უზრდელსა, ვირასა?  
ვინც გაიგონებს, მევე მგმობს: „ემოყვსა კაცსა ვი რასა.“  
გავრიდო აწვე, ის მიჯობს, გამიხდებოდეს ვირ ასა.  
და ვგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, გასაკვირასა.

101 კაცს სოფლის ზრუნვა ესე სჭრს, აროდეს გაახარებსა,  
თავმომწონს სულსა გვამშია დასდრეეს და გაახარებსა,  
გონია სიბრძნე ისწავლოს და უფრო გაახარებსა,  
და განგებით ნაცვეთს კაბებსა ამით ვერ გაახარებსა.

- 102 მწვე სჯობს უენო ენიანს ამ საქმის მიწყივ მქონესა,  
უკაცურს სახლსა მჯდომელსა, ვერა-რის ვერ ვამგონესა,  
რა მართებს, საქმის შემძლებსა, ჭკუაჩე თაემომწონესა,  
და ჭაში მჯდომელსა ხელ-შეკვრით მტერთ ასე დამამონესა.
- 103 მაინცა ვწერ, თუცა სევდით ვარცა მწარედ შეგვარლული,  
ხახ მოვილხენ სოფლისაგან, ხან ჯაფრით მაქვს თვალთა  
ლული.  
ეს მიკვირს, თუ როგორა სძლებს, არ ეყრების გვამსა სული?  
და ბადლი მასვე, ვინცა მომცა ასე შემძლე ჭირთა გული!
- 104 უცხო რამ სჭირს ცრუ სოფელსა, ვისაც სვენი მიადგების,  
ანწლიც მისის წალკოტისა. რა მიწათა ღაეგების,  
ყოვლს ყვავილთა უკეთა სჩანთ, მას აქებდენ, არ ეგების.  
და რა გაბრუნდა, ვარლი მისცე, მოყვასთ ღახვრად ღაეგების.
- 105 ვინც მთხრებლსა სთხრის, ამას ცდილობს, თვით იქნების  
ჩიგარღნილი,  
ვით მორჩება გაუსვრელად, ვინც აკეთოს მიწყივ მილი?  
არ დახუჭო, ეს იცოდე, არ მოვიგა თვალთა ძილი.  
და რაც ვინმე ქნას, მისა მსგავსად გაიტანოს მისი წილი.

## ს ა მ რ ფ ი ა ლ რ ნ ი

1. ლექსი ტკბილი, გვარიანი, სწავლით უნდა გამახარი, სამ-ოთხ რივად გასასინჯი, სიბრძნეზედა მოუხარი, რუსოველს სამად გაუავია მისი გზა და მისი მხარი, და იდვას რამე მოკლე სიტყვით სალხინო თუ სამწუხარი.
2. ვტირ, სატროვე, მეტროე საბრალოდ, მოლბობით შემიწყალო და გავიჭრე ველად, გაჭრილი სოფელსა გავეძალო და, სოფლის დიდებას რას ვაჭნევ, რადგან შენ მომეკრძალო და? და ნება გასრულო სასრული, რაც ბრძანოს მისმა სძალო და.
3. სატროს ტრფიალმან შეუმქევ, მო, მცირე უნდო ქებანი, ენა უხმარი უგბილად, უსწავლი გამოვებანი. ეგებ დამივსოს, რომე მჭირს მძაფრთა სახმილთა გზებანი, და მივხვდე მას ჩემსა წადილსა, რაც მივის დანაკლებანი.
4. ჩემსა სატროსა უაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითა, ვის გამო ვარდსა სუნი სდის და ფშვა შროშანთა სულითა, ნაზად აშვენებს კეკლუცად ტრფიალთა დამაწყლულითა, და ფერს მისცემს ყოვლთა ღაულაჟად თვალითა დაულულითა.
5. სძალი შემქულა კეკლუცად სიწმინდით, უმანქობითა, შეშვენის მისა ასოთა სამსგავსო იყოს მკობითა, მან მიათხოვოს ერთ კაცსა უფრჩქვნელად მოსამკიბითა, და ცდა გაუცუდდეს, არ ითხოვს მსმელ-მრუშსა არაქობითა.
6. სძალს უვის წყნარი, სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა, მისი ტრფიალი შევქნილვარ გულ-ლახვარ განაგმირითა, გამოუცდელად არ მაძლევს ოქრო-ხელ-დანამჭირითა, და თუ მამაცი ვარ, მეც [მ]მართებს, სოფელი დავთმო ძირითა.
7. ეზომ ტურფა სასძლოსთანთ მომღომია ვიხარებდე, საქორწინე არ მაცვია, რომ შემიშვან, ვიხარებდე.

- მიჯობს, რომე დავგლახაჟდე, სოფლის საქმით ვიხარებდე, და ნუთუ მაშინ ღირსად ვიქმნა, ღიას კარსა ვიხარებდე.
- 8 კაცსა მართებს, სატრიალოს დაეძებდეს ტურფად კარგსა, არ შეუდრევს შეჭირვებას, არ მიხედოს სხვისა ნარესა, ცეცხლიც მისთვის ბანბად უჩნდეს მეფობისა შენადარესა, და დასთმოს წუთი საშეებელი, მისით გვანდეს განაბარესა.
- 9 სხალია უნდა ჩემი მისელა, მაწვევს მეტად დანახშირად, ვერ მიგსულვარ უხამსობით, თავი მიჩანს მოღუბჭირად; მწიკვლითა ვარ შემოსილი, უღირსალი, ჩემად ჭირად.
- და უნათლოა ლამპრის ზეთი, მისგანა ვარ განამწირად.
- 10 რა შეიტყო ესე ჩემგან, მორიდებით მეკრძალების, ებრძანა, თუ: „ეგე საქმე კაცთაო დანაჯლების, ვეძებ კაცსა კაცთა წესსა, საღირსალსა ჩემის ხლების, და პირუტყულთა მიბაძვათა ჩემგან ვითა გაეძლების?“
- 11 ვინ პოა მეფე მდიდარი ქვეყნად ამისი მქნელია, შროშანთა ფეროვნებითა კაბა ემოსოს. ვრცელია? თვით სოლომონცა ვერ უძლო, ნახეთ, ამბავი ძველია! და იგი თივანი ჩემს წინა თორნესა ჩასაგზენია.
- 12 ოქრო და ვეცხლი რა არის, სპეკალნი, მარგალიტებით? ზიწაა სხვადასხვა ფერი, კვლავე მიწათა იღებით. ყოვლი სოფლისა. დიდება ვაცვლება, ვინცა მიხვდებით. და მეტრობალეთა შეშვენის გაჩერგან განაეკიდებით.
- 13 მრავალ-რიგია ყაყაჩო სიტურფის ფერადობითა, სუნი არ უდის საამო, გამხდარი განაგდობითა, სუნის სიკეთით ჩამუჯალი არ ნახვად მის თდნობითა. და მას პატივსცემენ, მასზედ ა საყნოსლის იმედობითა.
- 14 ანწლი ხელად შემოიგდო, ავ-სუნს მიგცემს, გაგიმწარებს, შაშპრა მოგვებდეს მოსაკრეფად, საყნოსელსა გაგიხარებს, რა სოლინჯი პურსა შერთო, ჭამას ვინდა დაიზარებს? და ორთა იყავ მობაძავი, გაუვლელი ერთის არებს.
- 15 ფუფუნი სორცოა, შვენება სურნელოა მრავალ-ფერია; გონიერთაგან ესე რამ არად-არ შესამზერია.

მატლს ხედავ რაში ფუფუნებს, რა კარგად დაუჭერია,  
და მასცე მიაგაეს მიმდევი, ბრძენთ ასრე დაუწერია.

- 16 მივგავარ ვარდსა ტურფასა ეკლისა მონახშიროსა,  
ბულბული ჩემთვის ტრფიალი მის გამო მონამჭიროსა;  
და დასთმოს ყოველი, სოფლისა შევებისა განაპიროსა,  
და მაშინდა ჩემი შეყრისა ხლება არ დაეძეიროსა.

17 „ნუ მოზარეობ—ებრძანა—თუ ჩემკენ გინდა რებანი,  
დანაცემულთა ყოველთა მივეცი ალდგინებანი,  
უხევბით მისდის მრავალთა, ვისაც რისა აქვს კლებანი;  
და გული შემსჭვალოს ჩემზედა, ინდომოს ჩემი ნებანი.“

18 მეტრფე სატრფოს მაძებარი პირველ მართებს მო ნათელსა,  
ბნელმა კაცი დააბნელოს, ჭირით ბაძე, მონათ ელსა;  
შემყრელს მართებს დაიცადოს, მაშინ პოვებ მონათქლსა,  
და დაუცდელად ეს, იცოდვ ეშმაკისა, მო ნაოელ სა.

19 რა მესმა ესე იშისგან, მოძევდა გულისა ამება,  
მის კარს მივმართე მაშინვე, ვისთვისცა მქონდა წამება;  
დიდად იამა, რა მნახა ჩემი ამგვარი წამება:  
„რაცა იცოდვ, მიამბე—მიბრძანა—დაუხანება.“

20 მე მოვახსენე ყოველი, რაც გულსა მქონდა დებანი,  
დაურიდლად და უშიშრად მას მივეც ჩემი ნებანი,  
ან დამარჩინე, ან მომკალ, მაქვს ამის იშედებანი.  
და გნუკავ, მაჩვენო სატრფოსა ცხოველი ბრწყინვალებანი.

21 ვით გაქო, ქების მაარსო, მჭვრეტელთა სალხინებელო,  
ბრძენო, მშვიდო და მდაბალო, კეთილთა წესთა მდებელო,  
ბოროტის გამოუცდელო, არცა თვალისა მგებელო,  
და შენ საყვარელო ყოველთა, ყოველთა არა მხლებელო.

22 ვარდს გადარო, არ იქნება, სურით, ფერით  
შენგან ვარდობს,  
თვალ-უძილოს ნარგისთაებრ შენი უფრო განავარდობს,  
მზესა მიაქვს შენგან სხივი, მეფეთ ზედა შენით ბედობს,  
და ნეტარძ შენთა შემჭვრეტელთა, ვაგლახ ვინცა რასმე  
ყბედობს.

- 23 პულბულს ვარდი შეეწამა, შენვე გაქებს ენა-მრავლად,  
ცის ფრინველნი ჭიქჭიკობენ დღე-და-ლამე შეუქრავლად,  
ხმელთა წყალთა მოძრავები, რაც არიან ჩაშიგ მავლად,  
და უკრთებიან სხივსა შენსა, კაცთა თვალი განაკრძალად.
- 24 მდელო ყოველ-წლივ მცენარობს სიმწვანით რამე, გაქოსა,  
ფურცელი ხესა მოესხმის, იგივე დაგვანახოსა,  
შავდების ღამე სიბრელედ, შენ ნათლად გამოგსახოსა,  
და საანჯმნოდ გასაკუირალშა შენივე ქება ზრახოსა.
- 25 კეკლუცია ტურფა რამე, უკაზებავი მოიბალით,  
ვარდსა ახალ გაფურჩქვნილსა სჯობს საჭერეტლად მო ი  
ბალით,  
გულმა ჩემმა სიყვარული შისი უცხოთ მოიბალით,  
და სიძულილი საგულისო მოიგლიჯე, მოიბალით.
- 26 მამწონს მისი სანდომობა ქებისათვის დალალულად,  
თვალი სხივმა დამიწუხა, კნინღა მექმნა დალა-ლულად.  
ასრე გავხე, ჩემი მნახი იტყოდიან დალალულად.  
და არ მიწამლებ, მამხდომია გული ჩემი დალ-ალულად.
- 27 ამით უთხარ წამწამითა შესამსგავსი შესხმანია,  
ამით ფერით წამწამითა ესვის გულში შესხმანია,  
ამით შექნა წამ წამითა თვალ-მარგალიტთ შესხმანია.  
და ამით მოკრჩეთ, წამ წამითა მაღლი წყლულებრ შესხმანია.
- 28 მოვიუბნე შენი ქება არცა ერთი საკადრისი,  
შენ სხვათ აძლევ შესაქებსა, ლირისი არი ვინცა რისი,  
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმალლესის რასმე თქმისი,  
და შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი.
- 29 მისთა ტრაფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,  
სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა,  
მისისა მიახლებითა ეშყსა სურვილი კარითა,  
და ეგება რომე გელირსოს შესვლა სამოხხის კარითა.
- 30 თუცა მოვკვდე ნეტარ შენთგის, რა სახელში ჩამეგდება?  
ცეცხლი მწველი მედებოდეს, რად მეწყინოს მისი დება?  
სხვა სასჯელსა რად დავზარდე, უფრო გული დამედება?  
და შემემთხვიოს შენთა სხივთა სანახავად გარდ მოდება.

- 31 გულს მისცემს უცხოდ შვებასა, ოდეს ვისმე შეეყრების,  
თვალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების,  
სამუდამოდ ვერ მიმხდომთა ოვალთა ცრემლი შეეყრების,  
და ვინ არ მისდევს საღევარსა, მას ლახვარი შეეყრების.
- 32 თუცა არა ვარ საფერი შენისა ტროიალებისა,  
მონად მიყოლე ნაფრდილად, მღიდრობაზედან კლებისა,  
მომიტკები რაც რამ გაწყინე, მემწე რაც მომევლებისა,  
და ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლო ხლებისა.
- 33 სურვეილისა ზღვათა შიგან მან მომიღვა მასე, მასე,  
ესე მიყავ, შემომზღვდე გარეშემო მასე, მასე,  
• საბრხეები შისგან ჩემზე, რომ გახეთქო მას ემასე  
და შაქრისაგან უფრო ტკბილი მისი ეშეი მასე, მასე.
- 34 როს მეტროისა ტროიალება გულსა ჩემსა დამაჯერა,  
მჟღელი მიშლის უცხო რიგად, ლამის კიდეც დამაჯერა,  
მეუბნების: „ყმაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა.“  
და მაგრამ მისმა სიყვარულმა ისევ მასვე დამაჯერა.
- 35 გაბრწყინვებისთვის სანთელი ერთს ფერხზედა დგას, ტირისა,  
ცეცხლის წვით არის მიმღები საწალლის ვანაპირისა,  
შიხამს, მეც ვიდგე, ვიწოდე, დამბანი ცრემლით პირისა,  
და ეგებ რამ მნახოს, შემიტკბოს ტროიალმან გამძლე ჭირისა.
- 36 ნუ მიმცემ ცეცხლსა საწვავად, მაყავ აიისი ვსუბანი,  
შენს წინ მამყოფე ულირსი, რომ აღმისრულდეს ნებანი,  
შენის ქებითა ვიშვებდე, მქონდეს გულისა დებანი,  
და ნათლად გამოვჩნდე ნათლითა, მტერთ რა ყონ იშნის გებანი.
- 37 მისა სამსგავსოდ მაგ ქვებსა ცუდად აწითლებ იაშან,  
უამი გამოპხდეს მანამდის, იმას უდაროს ია მან,  
ზილფი ხუჭუჭად ნაგრუზი რით ნახოს ურცხვად ი ამან?  
და მისად შეყრამდი თუ დავრჩე, მოიწყენ, თუცა იაშან.
- 38 გულს მებალედ მიღამოსა ბალად ვამბობ ძველის-ძველად,  
ყინვას მისად გამამობდად და სიცხესა მისთვის მწველად,  
თუ წყალი სცემს, მშე დაატფობს, მებალეა ლხინთა მზმელად,  
და ჩემსა გულსა ორიველა საშოგარად მეტად ძნელად.

39. დავრჩი ასე, აღარ შშვენის, არცაღა მაქვს მოსაგონი,  
 - რათ ვიხმარო, აღარ ვიცი, მქონდეს კიდეც მოხაგონი,  
 გამიცუდდა ცოდვის ნაცვლად ყოვლი რამე მოსაგონი,  
 და მტერსა დარჩა, აღარა მაქვს ჩემი სრულად მოსაგონი.
- 40 გული სევდისა სალხენად განსა ვკარ ა ჭარხალითა,  
 გაველურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით ა ჭარ ხალითა,  
 მზევ, გული ჩემი ტკვექმნილი მისწიე, აჭარ ხალითა,  
 და საზღოდ ვიქმიო სიცოცხლე, ვატარო ა ჭარხ ალითა.
- 41 ვერგის გხედავ სოფლისაგან ჩემებრ რასმე წარმონარცხით,  
 ჩემი მათზე ავი რამე არ თუ კაცთა წარმონარცხით,  
 გარდამაგდო მართ ვითამცა საწუთრომან წარმონარცხით,  
 და ის დიდება პირგელ ჩემი აღარა მაქვს წარმონარცხით.
- 42 ჩემსა საქმესა უგბილი სანთლისა მსგავსად მოველი,  
 თავისა მტერსა ძალს აძლევს თავისა დამაწვეველი,  
 შენს წინაშე ვარ მცოდველი ცოდვისა ძალის მძლეველი,  
 და ვა, თუ დავიწვა, შევიქნა ზენგანცა დააწყიველი.
- 43 მან მიბრძანა: „რადგან მოხველ, ნუ სწუხარ და ნულარ ზარობ,  
 რაცა გამცნო, იმოქმედე, სხვათკენ გულსა ნულარ არობ,  
 წერთანი ჩემნი დაიმარხენ, უმეტრებით ნუ იმწარობ,  
 და მაშინ მიხვდე საწადელსა, თვალით ცრემლსა დააწყინარობ.“
- 44 „თუ დაიმარხავ შენ ჩემსა სიტყვასა, სწავლა-თქმულებსა,  
 საყურებრ ყურად გაიყრი და დაიმკიდრებ გულებსა,  
 დღეთა შეგძინებს ამ სოფელს, ზეცას აღაფრენს სულებსა,  
 და აქ მოგეცემა კეოილი, იქაც მორჩები წყლულებსა.“

### ათი მცნება

- 45 ცხოველი რასაც მოქმედობს, მოელის მოსავარგოსა,  
 მოქმედს ჩვენ-გამო რა ერგოს, ქმნულისგან დაენერგოსა;  
 გიყვარდეს, მისა სახელზე უქმად ნუ შესძრავ ბაგოსა,  
 და არ გეჯობინოს პირუტყვი საქმესა დასაღაგოსა.
- 46 მიწაც იხარებს უსეულო, რა დღე მოუვა ზმნისანი,  
 მფშოვნობით ყვავის, მწვანობით, რა სითბო ნახოს მზისანი;

შენცა იხარე მეტყველზა დლესასწაული ღვთისანი,  
და ყვავილის მსგავსად აჩვენე ღვაწობა კეთილისანი.

- 47 ჭია რა ბოქსა შემზადებს, მოუცავს მისა გარებსა,  
ქარი არ ეცეს საწყები, არ მიხვდეს გასამწარებსა,  
თუ ის მოქმედზე ამას იქმს, რა ეხელავთ შეუგვარებსა,  
და მისთა მშობელთა პატივის-ცემას რად დაიზარებსა?
- 48 ბრძენი მხეცისებრ რადა ზარ მესისხლე, კაცის მკვლელია,  
მამულად მრუში მუდამად, სხვისა სხვაზედა შვლელია,  
თაგვებრ მპარაობ, დასძრები სადა გზა გაუვლელია?  
და ცილსა ნურავის დასწამებ, კაცობაშია ძნელია.
- 49 გული ნუ გითქვანს ირმულად საამოდ ცოლსა სხვისასა,  
ნუ მონავებსა ჯიხვისებრ მოყვასთა სანახვისასა;  
სხეასაცა გამცნებ ახალსა თავისა შენახვისასა,  
და სასძლოს ტრფიალი არ დასცდე გზასა მას დაწახვისასა.

### შვიდი საიდუმდო

- 50 რაცა იშვების შობილი, მშობელსა შეემსგავსებით,  
უმართებს, იშვნენ სულისგან, სულითა მოისავსებით,  
დაიბეჭდენით ბეჭდითა, გიცნან ვისი ზარ დასებით,  
და ვეღარ გიბოოს მპარავმან მოცული ზეშთა ზეშებით.
- 51 ვინ ზიარდების ზიარსა, საქმეა განა ერთია!  
ზიარებისა მიღებით კაცი შეიქენ ღმერთია,  
მღვდელს ალუარე ნაქნარი, სწავლანი შეიერთია,  
დორჩილებითა მოარე, ნაბურდით გამოერთია.
- 52 წყლისგან მიეცეს ფერები, ნაყოფნი იქნას მთელია,  
ზეთის კურთხევა აგრევე ავისა დამანელია;  
წერომაც იცის წინმძლოლი, როს უსხენ გზანი გრძელია.  
და მღვდლის კურთხევისა პატივმან გაგიაღვილოს ძნელია.
- 53 ყოვლმან იცის მისი ჯუფთი, რომ მოშენდეს გვარის-გვარად,  
ჩვენცა გვმართებს ვიყოლებდეთ, სოფელს ვიყოთ შრავალ ჯარად,  
არ პირუტყვებრ უქორწინო კაცთა წესთა დასაზარად,  
და მღვდლის კურთხევის შენდობითა შევიერთნეთ გასახარად.

## სასიკვდინენი

- 54 შეიღნი მოგითხარ სჯულისგან საიდუმლოსა რიგები,  
 მან მოგცეს გზანი კეთილნი, ვის საბრძნის სახლად იგები,  
 აწ შვიდთა გეტყვი ცოდვათა, სწავლა სწავლასა მიგები,  
 და საზარო მომაკვდინენი, მის გამო ლაპეარ იგები.
- 55 ფარშამანგი ბოლოს გაშლის, გაიფურჩქენის, გადიდდების,  
 ეგონების, ჩემგან კიდე ქვეყნად კინდა იდიდების!  
 კატას თვალსა გარდაავლებს, მოდრკების და შეშინდების.  
 და ამპარტავნად ნასაქმარი ამის მსგავსად არ იქების.
- 56 ციცინათელა შაღლოინ უნდო შუქისა კრთოშითა  
 არვის იდარებს მის ტოლად, მის გულში მისაზოშითა;  
 ფრინველნი დახვდენ საწყალსა, ვერ გაესწოროს ომითა.  
 და აგრევ მოგვივა ჩვენ, კაცა, ამპარტავნობის ნდომითა.
- 57 არაწმიდება ძაღლსა გავს, ნაყროვანება ლორისა,  
 გასინჯე მათი საქმენი, ვინე რად მოიხმარისა?  
 შენ მცაონარება შატლთაებრ ცოტას მწვირესა არისა,  
 და უჟამოდ მრისხანებანი ყაპუზინათ ა გვარისა.
- 58 მეშურნე ბუზისა მიაგავს ყინვისგან ლონე-კლებითა,  
 ანუ შიმშილით მომყმარსა, მივარდნით, მირულებითა,  
 სახლსა გაუთბობ, შაქარსა რა უზამ მიახლებითა,  
 და მაშინ დაგასხამს ისარსა სამწაროდ დაწყლულებითა:
- 59 ანთრისთვის კაკალს გახვრეტენ, ხელ-შეჰყოფს. ნახა ზე სადა,  
 არ დასჯერდება ცოტასა, მჯილვა ალიესებს ძესადა;  
 ველარ დააძრობს, ამრიგად მტრისაგან გახდეს ცვნესადა.  
 და ანგარსა ბევრჯელ მოუვა ეს საქმე ამა წესადა.

## ნეტარება

- 60 ცხრას ნეტარებას მოვიღებ, მაღლის საქმესა დიდებით,  
 სასძლოს ხილვისა ტრუიალმან ქმნას ესე მონაზიდებით,  
 მისნი მოქმედნი ამაღლდენ სოფლისგან განაკიდებით,  
 და გაცულდეს ეშმა მოყვესითა ანგელოზთ მონაზიდებით.

- 61 ვნატრი გლახაკთა სულითა მე, მგლოვარესა გულითა,  
მშვიდისა, მშიერსა, მწყურვალსა სიმართლის განაგულითა,  
მოწყალეს, წმიდას გულითა, მშვიდობის მყოფთა. სულითა,  
და დეცნულსა სიმართლისათვის, ყველრებით გულსა წყლულითა.
- 62 მიკვირს, სოფელს რასთვის დავშვერ, რომ ვიცოდი მისი  
ზნენი? გაგემოვნე გული ჩემი, სულს არ ახლდა კეთილთ მნენი,  
ხორცი მწადდა უკვდავ მყოფად, ზრქელად უჩნდა მოსასმენი,  
და ახლა დარჩა საკიცხელად, სულისათვის გაუმხნენი.
- 63 სულს ეტყვის ხორცი: „ვერ ნახე ფრინველნი განაჯარები,  
ანუ პირუტყვთა სიმრავლე, ხეთა, მდელოთა არები,  
ქვედამძრომელთა მიწათა სულ წარმავალი ნარები,  
და რად მიმე ჭირსა უხსნელსა ბოლომდი გაუხარელი?“
- 64 მწადს ხანი დავყო მოკვდავმან, ვარ ამის მონამჭირნენი,  
ვიხარებ რასმე წამსვლელი ნივთისა შენამზირნენი.  
ბრძენო, უკვდავად შექნილო, მეფე ხარ ჩემზე ვინენი,  
და რასთვის მიმიშვი საწადასა, შემექენ მოსაწყირნენი!“
- 65 უთხრა სულმან: „რაღვანა ვარ პატრონი და შენი მეუე,  
ჩემი ხარო ჭური რაშე, სამყოფელი, გასასეფე,  
მოვდევ შენსა სანდომელსა, რაცა გწადდეს, გიიეცე,  
და ნივთთა შენთა შეერთვი, მე გავხდები მტერთ საყეცე.“
- 66 ძალსა ძვალთა მოხვრისაგან კბილსა სისხლი ედინება,  
ემლაშება, მეჭველეობს, გაუსრულდა მისი ნება;  
ძვალი დარჩა უვნებელი, გაუმრავლდა კბილთა ვნება.  
და სოულისაგან შემსჭვალულთა ასე მიხვდა შენანება.
- 67 რა მოუტევ ავაზასა, ვერ შეიძყრობს, ითაკილებს,  
მოამშვიდებს მეპატრონე, იგ დაიგდებს მისა კილებს:  
ავად რამე მოგიტივე, შენ გწამობენ ცუდსა ცილებს,  
და ჰგავს ქებისა მოყვარულნი თავისთავის გამაწბილებს.
- 68 ბლუნძველა ყაჯსა აკეთებს, ვერა-რად მოიხმარებსა,  
ცუდად ყოფნისა სანაცვლოდ დასაქსელავად არებსა.  
დავრჩა მისებრივ უსაქმო, მოვშორდი სპათა ჯარებსა,  
და ხან იმასა ვიქ, ხან იმას, ვატარებ სოფლის არებსა.

- 69 სჭირს სოფელსა, რა კარგს მოგცემს, ჭირიც თანვე მოაბეროს;  
ავსა კარგსა მოადევნებს, თუ გასინჯავ, დაგაჯეროს,  
შემოველი ივზე კარგსა, ღმერთმან ეგებ ამამლეროს,  
და ვა, თუ წუთმან საწუთომან ღლენაკლული მოაბეროს!
- 70 წყალი შეღმართსა ადგილსა რა შეხვდეს, დაწყნარდებისა,  
ნელ-ნელა მოსდევს უქმორე, შედგომით გადიდდებისა,  
შეიკრებს ძალსა, ან გახეთქს, ან თავსა გარდვარდებისა,  
და ასე ხამს, კაცმა სიწყნარით საქმე ქნას გულსადებისა.

### ტ ა ე პ ი

- 71 თუ შემოუცდი ისრიმსა სიტკბოსა მომცემელია.

### ღ ე ქ ს ი

- 72 რადგანა ხერ ორი სოფლის საშოფარად მონამჭირი,  
და ვით იქნება ორი ნესვი ერთის ხელით დანამჭირი!?
- 73 სკავი ქვალსა გამოიზომს, ჩაინთქმების, ანუ არა,  
რა გასინჯა, შეუძლია, ალარარად დაეზარა.  
გაისინჯე შენი საქმე, სამეტოა ან საკმარა,  
და შესაძლისსა აღმოსწიე, ნუ ეძიებ გარის-გარა!
- 74 ნახე, ფუტკარი ზამთრისოვის რამთონს შროშასა ნახავსა!  
საღა აქვს მისი სამყოფი, მრავალსა შეინახავსა;  
ვინ ამ სოფელსა დაშვრების, ზაფხულად გამოსახავსა,  
და შეიკრებს უტკიცრებასა, მუნ სხვასა რაღად ჩმახავსა?
- 75 ზამთარი ამად უქია, მიწას მიეცეს წყალია,  
ზაფხულის სიცხე დააღგეს, ამწვანდეს შესაწყალია,  
მლაშეს ქვიშასა არა აქვს სანაყოფონი ძალია,  
და მას მიებაძე, არ იქნა ის უნაყოფო მშრალია.
- 76 მიწისგან გამომავალი მიწადვე მიმქცეველია,  
ვერას ვერ იტყვის უარსა, სატკბოა დასაწველია,  
რაცა ვისგანვე გამოვა, მისდავნ შემთხვეველია.  
და ნუვის აბრალებ, შენვე ხარ თავისა გამრეველია.

- 77 მოწყალება კალატოზ[ს] გავს, თავის საქმეს მუშაობდეს,  
აგურს დასდებს ხელისაგან, სხვისაგანვე ევსებოდეს,  
რაც დახარჯო სიუხვითა, კვლავ უფროსი მოგხვდებოდეს.  
და რადღა ზოგავ სხვისა შენთვის, ცეცხლი აღარ გეგზებოდეს.
- 78 ძაფსა სჭირს, რაშიც ჩაგდებ, მის ფერს დაიჭირს ახავი,  
ილეკრო მისთვის მათა სჯობს, არის ამისი მსახავი;  
ფერისგან ფერი იცვალოს, არავინ არი მნახავი,  
და სასიკეთონი სისრულე პირია მართლის მზრახავი.
- 79 ნახე, ნარინჯის ფოთელი თუ ფერით როგორ მწვანობსა!  
სიცხეში მიგავს, სიცივე სუნ-ფერსა გაუკანობსა;  
აგრევ ყრმა გამოუყდელი სოფლად ამასვე ჰგვანობსა,  
და რა დაიცდება, ფერად და სურნელად შესაგვანობსა.
- 80 რაცა ვინ ქნა ამ სოფელსა, მასვე მიხვდა მისი წილი.  
ამაზე ბრუნავს მბრუნავი, სხვა რა აქვს რამცა გებული,  
და შექმნასცა ორი მოყვასი გაყრილი განთვისებული.
- 81 რაცა რამე ცარიელი ადვილია ასაღებლად,  
მძიმე რამე გაჭირდება აწევითა გასაღებლად,  
დაიმძიმე თავი შენი სიბრძნის ფერის გასაღებლად,  
და საალქატო გაგიხადოს მტრობის კლიტემ გასაღებლად.
2. მერცხალი სჯობს იადონსა, ის ფეროა ნაქებარი.  
შინ გვიზის და დაგვჭიკვიკობს იგ ძვირად რამ სახლებარი,  
ხმოვანების უსულითა ვინ თქვა რითმე ნაკლებ არი?  
და უსმენი და ბევრის მთქმელი შედარებით დამლებ არი.
- 83 მოინდომო, ოქრო იყო ურიოშო, ფეროვანი,  
გამრავლებით გარდააღნევ, წიდა ნახო დანაწვანი;  
მას კაცი სჯობს რამდონ რიგად, რამთონი აქვს შესაგვანი,  
და არ გადადნეს მრავალ-რიგად, არ იქნება კაცთა მგვანი..
- 84 ვაშლსა ხედავ, უნდო ხილსა, რა გვარი აქვს შვენებანი!  
თვალს ალხინებს, საყნოსელსა, პირის არის ა ნებანი.  
თვითონ კაცსა გონიერსა გჭირდეს რითმე ნაკლებანი,  
და ავი არის გასაგონად სამწუხარო, სავნებანი.

85. მიეგვანენით ეკალსა ყრმა ახალ-ნორჩი რეულებსა,  
ბერი—ბანბასა გაპქონდეს, გამოითბობდენ გულებსა,  
ნუ სატაცურსა გველსა გავს, იჩემებს მის უსულებსა,  
და ვერც ხუთოს მოგცემს, ვერც შხამსა, სარგოსა  
დასაწყლულებსა.
86. ნუ ჰბაძავ კაცსა უმღლოსა, განადიდარსა მთა ვითა,  
უმეცრებისა სისრულეს გონებს ყოვლისა დავითა,  
მიუშვებს ლერთი, გასინჯოს სიკეთით, განაო ავითა,  
და გაუცუდდების ბოლოუამ ნაქნარი დასანთქმავითა.
87. დასჯერდი, რაცა მოგეცეს ღეთისაგან მონანიჭარსა,  
მოთმინებითა დაუთმე მაღალსა გასაბიჭარსა,  
რა დაანახვებ უფალსა თვალითა დაუხუჭარსა,  
და დაგაგვირგვინებს საამოდ, შეგმოსავს გამოუჭარსა.
88. რა არის, თაგვებრ მსუნავობ, დასძერები კარის კარადო?  
ამას თაყვანსცემ და იმას შესტირი სულთქმით, მწარადო,  
ძალლებრ ლაქუცობ, მელისცებრ ატყუებ შეუგვარადო,  
და მომცემი სწვა გვყავს, ცუდია, დარჩები გარის-გარადო.
89. დამაკვირებს, სოფლისათვის კაცი ასე რად იჭირვის?  
ანუ ვინცა მოსახმარად, გამაფიქრებს, ვით იჭირვის!  
უხამსთ მისცემს სიმდიდრესა, ზოგნი ხამსნი მწვე იჭირვის,  
და საუკუნოდ შეიგვარლის დახვანჯული, დაიჭირვის.
90. რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,  
სახელისაგან უმჯობე რამცა პქენ, რამც იამე და?  
მოგიგონებენ ყოველნი ამითი უამით-უამედა,  
და მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამედა.
91. ტოლსა შინა გამოჩენით არა სადა დამედარა,  
მტერთა ზედა რას მარგებდა, თუცა სადმე დაშედარა!  
თუ დამაკლეს, რა დამაკლეს, საქმეშია დამედა რა?  
და მაგრამ ბოლოს ყველა ვინმე, რა გავსინჯე, დამედ არა.
92. ზღვაში ვნახე ღელვის შთები მომავალი თავს დაცემად,  
ერთსა წამსა ხუთჯერ უფრო სულს ველოდი გასაცემად,  
იგ ანაზღად გარდაპქარდა, ლხინს მივეცით ბუკსა ცემად,  
და რაღას ვსწუხვარ ჭირთა ჩემთა, სოფელია ასე მცემად!

- 93 ჩემებრ ცოდვილთა საქმენი პეპელიკისსა მისგავსა, რა გაანათებს სანთელი, ის მწუხარებას იგავსა, იშვებს, იხარებს, განსცხრების, ვერ ხედავს მისსა იგავსა, და ბოლოდ დაიწევის იმისგან და ჩავარდების იგ ავსა.

94 თუ თივა ცეცხლით გაზარდო, ცხვარს მისცე საჭმლად მჰველია, დათვი მაედანს აზურთო, ვირი ქნა კა მზმელია, ტვირთი პეპელის აპკილო, ჭრელი ფრთით გამფრენელია, და აღისირულდების მაშინდა, რაცა გაქვს საწალელია.

95 აბრამ შვილს ქლაგს, იეფთაცა მას უქეს და მას უგინეს, და ჭალგილოდ კარგიც რამე არად ვარგა, გიძეს წინ ეს. და არ იცი, თაფლი არა ლირს ფუტკრის კბენად და წყინებად!

96 ტურფად კეკლუცად ნაქმარო, მისო სანდომო არევ და, მიჯნურთა გულის მორევი უცხოდ რამ რიგად არევდა, მისი ნარნარად მიხედვა მისთანა მჯდომთა არევდა, და ტანს კვიპაროზის მემშურნეს იქით და აქათ არევდა.

97 ლაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირი შროშნად, ტუჩი ლალად, თვალნი შელნად, წარბი სათად, თმა სუნბულად, კბილი სრალად,

ყელი ვეცხლად, ძუძუ-მკერდი ბროლსა გვანდა განათალად, და ტანი ალვად, ხელ-მკლავები მოკრძე მშვილდებ მოსაკრძალად.

98 წავალ, მეცხვარეთ დავდგები, ვივლი მთებსა და ბარებსა, ნარვიზს თვალთ ნაცვლად უყურებ, თმისათვის სუმბულთ არებსა, ტანად საროსა მრხეველსა, ვარდსა ლაწვთ მაზიარებსა, და მოგრჩები, ზამბახს უმშერი, თეთრ პირით არამდარებსა.

99 შემოდგომა ხარ, წაართვამ ფერსა და სურნელებასა, ზამთრისა უფრო გაახმობ მინდორთ შვენების ხლებასა, დააღუხჭირებ მშვენვართა, მისცემ ხორცო ფერთა კლებასა, და ვეფხებრ კისკასად მქცეველსა საბანს ქვეშ მისცემ ძლებასა.

100 ვად, სიყრმისა ყვავილი რა ტურფა მოსახმარია, თვალი ბრწყინვალედ მხედველი, ყური სმინებად მხარია,

სხვადასხეა-რიგი ვარჯიში, რა შეება, გასახარია,  
და არც შევდარი, არცა ცოცხალი, ვაი სიბერე მწარია!

101 წადილი და ძალი, სიბრძნე მჭედლობად გაქვს შესადარი,  
მზე ალმასაღ, მთვარე ლალად, იაგუნდად ვარსკვლავთ ჯარი,  
ცა ოქროთ და მინაქარად ქვეყანაა მრავალ-გვარი,  
და ამით გიცნობთ, ამით გაქებთ, მექმენ სულის გამახარი.

102 ქალწულიბისა ვარდი ხარ, სიწმიდის ბალსა რგულია,  
ფერად გაქვს უძანქოება, უბიწოება სულ ია,  
რტიოდ გამოილე მოკედავთა იგ უკვედავება სრულია,  
და ფოთლად გასხია წყალობა, განჰკურნე ჩემი წყლულია!

103 ხეო უფოთლოვ, მოისხი შენ ფოთლად ქრისტეს წამება,  
მათ ცოდვის სიცხით მაშვრალთა იმ ჩრდილით მიეც ამება,  
მეურნალად ხილად სამსპეცალი, მიხარის, მტერი დამება,  
და პირველისებრივ დასთრგუნე, რომე მწამს წმიდა სამება.

104 სახლად გქონდა უდაბნო და სანოაგედ მქალი, თაფლი,  
ჩეილ-სამოსლად ტყავი მძაფრი, სარტყლად გერტყა არა  
მსწრაფლი.

შესაქცევად ქადაგება, ვინც გისმენდა, წყალში დაფლი,  
და სულსა ჩემსა შეეწიე, გაუხადე მტერი ლაფლი!

105 ბადედ სცვალე ენა შენი, კლდეზედ დადეგ უებ უძრავად,  
ზოგას ესროლი მღელვარესა, თევზთ იპყრობდი არა ივად,  
იმაზედა აღეშენა ეკლესია მტერთ სადავად.  
და მწყემსო, მიხენ, პირმეტყველთა არ შევიქნა დასაწვავად!

106 მის ნათლისა დანახვითა გული მისი გაუხურდა,  
სამხრეთისა ბეებნისგან მას იმისთვის უფრო სწყურდა,  
ტრთიალების შავარდენმა გული უცყრა, მას მოსურდა,  
და შევიდა და ნათელსილო, ანანიას შიაშურდა.

107 იგ გვრიტი ქალწულებისა ეცა შენს გულის ბადესა,  
სიწმიდის ტრედნი შენს გარე მახეს ხვდენ, არ იცადესა,  
სიკეთის ორბმა სრულ მოვლო ქვეყანა, ცად იცადესა.  
და პავლე ჭირთ მთმენო, სისხლ-მდენო, მტერთ ბრძოლით არ  
მაცადესა.

- 108 მამწყლეს საკვდავად, მცირე მიდგს სული საწყალად მდებარსა,  
წყლულის შემხვევი არვინ მყავს, არც სალბუნთ მდები  
ზებარსა,
- უფრო სწადს, რომე მამსკავსონ უმწარე ლახვრის მგებარსა,  
და მიშველე, სრულად არ მამკლან შენის ქრისტესა მგებარსა.
- 109 თევზთ ნადირობით მიგზიდა უდაბნოს გვრიტმა მხლებელად,  
შეუდეგ კრავსა, გასწავა, იზრდების, მე ვარ მკლებელად,  
ზაფხულის მზეებრ აღმოპხლი, ჩრდილოს მთბობ მანათებელად.  
და მეწიე მეცა, ანდრია, არ ვიქნა საბნელებელად!
- 110 რა გიწოდა, დაუტევე ნაგსა შინა ბადის მსმელი,  
მამისა წილ მამა პოვე სულისა და ხორცის შზდელი,  
მისითვის იყავ დღე-და-ლამზ სისხლ-დაქცევის მიწყივ მცდელი.  
და მიოხე რა, მიძაბუნა მტერმა, რომ ვარ დაუცდელი.
- 111 ქორწინება დაუტევე, მკერდს მიეყრდენ, საყვარელო,  
უნაყოფოვ, ხეო ტკბილო, ნაყოფისა მრავალ-მქნელო,  
ყვავილად გაქვს სახარება, კაცთა სულის დამტკბობელო.  
და მიშველე რა, იოანე საყვარელო, სამბობელო!
- 112 მამის კიოხვით გამოისხი შენ ყვავილი სუნთა მყნოსი;  
მის სუნისგან შენ შეექნ მხეცებრ გულთა ყრმათ უმხნოსი,  
პირ-მეტყველად გარდამცვლელი უსწავლის და მიუმგნოსი,  
და ჩემს სულს მიეც ჰე, ფილიპე, სმენა ტკბილთა სასმინოსი!
- 113 გული გექნა ანდამატის უმაგრე და გასადარი,  
უკვდავ ძალმა შენ შეგმოსა იგი სიმხნე შეუდარი,  
ბნელის ნისლით დაფარულთა გაუნათლე, მოუდარი.  
და შენ, ბართლომე, მიშველდ რა, ვარ ამისი მემუდარი!
- 114 ურწმუნოებით განპეინე სარწმუნოება სრულია,  
ინდოთა სიცხით დამწვართა შენ მოუგრილე გულია.  
უკვდავის სახლის შეიქენ ხურობის განმაგულია.  
და გვედრივარ, თომა, მიშველე, რომ არ წამიწყმდეს სულია!
- 115 უცხო რამ ზეერი აღიღე, აროდეს შემწიკვლდებისა,  
იგი ნათელი უსაზღვრო რაღათლა მოგაკლდებისა?

განუყავ სულსა მრავალსა, მსმენელი განახლდებისა.

და მათევ, მეც წილი დამიდევ, რომ სული მინათლდებისა!

116 წმიდავ იაკობ, ილფესი, შენ პპოე გულის ნებანი,  
ვისთვის გსუროდა სიკვდილი, ჭირი, ტანჯვა და უნებანი,  
თავს იდევ, აწ გაქვს მათებრივ პატივის დაუკლებანი,  
და მსწრაფლად მოიღებ, რასაც სოხოვ, მეც მომეც ცეცხლის  
ვსებანი!

117 ლებეოზ, მერმე გეწოდა თადეოზ მოციქულია,  
განხრწნადსა პირი აქციე, უხრწნელსა მიეც გულია,  
ისარი გესო ასეთი, ვერა სუან ისრის წყლულია,  
და ალმოფხვარ ჩემში, რაც იყოს ცოდვანი დანერგულია.

118 ორის ხითა ჟეცად ალხედ, წმიდავ სეიმონ კანანელო,  
ჯეარმა გიხსნა, ჯვარმა მოგწყულა, შენ ნათელო დაუნელო,  
გაანათლე ბევრი თემი, მათთვის იქმენ გამომხსნელო,  
და მამარჩინე, არა ვნახო სატანჯველი იქ საბნელო.

119 სიმყრალისთვის მოკვეთილზე შენ ალმოხეელ გია სხმული,  
მის გიისა სურნელებით გაუმთელე კაცთა წყლული,  
ქრისტეს იქმენ მეტრაპეზე, ილასრულე მისი თქმული.  
და მიშველე რა, არ შევიქნა შტერის მახით მე დანთქმული!

120 გემოვანთა სასმელთა წილ ცრემლის იყავ გამომხდელი,  
მარხვა უფრო გემოდ გიჩნდა, არა შჭამე ცხოვლად მზდელი,  
სამურკვნელო გჩად შეგაქნა, რისაც იყავ მიწყივ მცდელი.  
და ძმას უფლისას გევედრები, ცოდვათ ჩემთა მექმნა მხდელი!

121 მას მიჯნურად რად ჩააგდებ, ეის არ ჰქონდეს ესე გულად:  
მოყვესისათვის თავი თვისი არ დაედევას მონაკლულად,  
არ დაეთმოს სოფლის შვება და დიდება მისი სრულად,  
და ვისცა რასმე ეკრძალოდეს და არ ექნას მონაძულად?

122 უხამს მიჯნურს, თავის წინა იჯდეს, იყოს მისი მგონი,  
შეემსჭვალოს სული, გული, სხვა არ [ჰქ]ონდეს გასაგონი,  
დღე-და-დამე მას აშკობდეს, ნუმცა უნდა გასაგონი,  
და მან ამითი შეიწყალოს, მოლბეს, ექმნას ხვეწნის მგონი.

123 მიჯნურს მართებს გაუწყვეტლად სარჯელი და ჭირის ქონა,  
მწვე ელტოდეს სოფლის ლხინსა და არ იყოს ხორცთა მონა,

გრძლად იცოდეს სიყვარული, არ ანაზღად ცუდი კონა,  
და დაუთმოს და მოიჭირვოს, თუ რამ მიხვდეს მისთვის ღონა.

124 თუ მიჯნური კაცში დავა, ან სწალიან კარგის ნახეა,  
გაუგრილებს გულსა მისსა, აღარ ძალუც სულთქმა, ახვა,  
გარდაუქცევს გულსა მისსა, ვეღარ უთხროს სალბო ზრახვა,  
და აღარ ჰქონდეს გონებასა მისის სახის გამოსახვა.

125 თუ ტრფიალი მისსა სატრფოს ევლტის, შისგან ეშორება,  
ისიც მისგან უკურიდებს, არ ექნების ერთად ჩება,  
შტერი მოვა იმათ შუა, ღათერავის ძლიერება,  
და ჩხუბს დასთესავს ასე რიგსა, ძნელი იყოს მოგერება.

126 მეტრფე სატრფოსთვის ტიროდე, რომ გექმნას უფრო  
ლმობილი,  
შეფრფინვიდეს და შემზერდეს, გლახ, გული ლახვარ-სობილი,  
განავდოს ცუდი ლალობა, სიმდაბლით იყოს მკობილი,  
და სიყვარული და სიმშვიდე მან შექმნას თვისი დობილი.

127 ნუ გგონიათ მიჯნურობა დიალ ადვილ შესამართი!  
თუ არ დასცდი თავსა თვისისა, ვერას საქმით ვერ წარმართი,  
ნება სრულად მოიკვეთე, საქმენი ჰქმენ დაუმართი,  
და მაშინ მიხვდე საწადელსა, ვზა შეგვექმნას განამართი:

128 თუ ტრფიალებ, ყოვლთვის იყავ საბრძოლველად შეჭურვილი,  
მხნედ იყავ და განძლიერდი, მტერი გყვანდეს მწვე ურვილი,  
ნუ შედრები დაცემასა, მისი გქონდეს შენ სურვილი,  
და სიყვარულსა იგონებდი, ფარად გქონდეს დაბურვილი!

129 უგუნურსა სჭირს ფიქრითა სვე-სვიანობა, დიდება,  
მრავლის თემისა დაპყრობა და საუნჯისა მიღება,  
ჩაიტებოს გულსა, ახარებს, არ აქვს სელისა კიდება,  
და უანიფრთხობს ხახა მწყურვალი, მუცელი გაუციცლება.

130 კარგს მოლაშქრეს მონაზონჩე ნუ ჰგონია თავი მცირად,  
თუ ის სჯულსა აღასრულებს, შენ სჯულსა სცავ მონამჭირად;  
ცეცხლს თუ შეშა თან არ ახლავს, დაშრტების და იქმნას  
მწირად,  
და თუ ერთმანერთს არ უმწოდენ, ორნივ იქმნას კარგზე ძვირად.

- 131 ოქრო მიწაა მანამდინ, სანამ ცეცხლს არა ნახავსა,  
 პატივს, შუქს, ფერსა მიიღებს, ველარა ჰპოებ ნახავსა;  
 აგრევ სიკვდილი კაცთათვის წყალობით ამას სახავსა,  
 და უგუნურნი და უსწავლნი ამაზე ავსა ზრახავსა.
- 132 ნურც იმძიმებ, ნურც იხარებ, ან იშოო, ან დაპკარგო,  
 რაცა მოვა მოსავალი, სასიავო თუ საქარგო,  
 ბევრის ცდით და მოჭირეებით, დაიჯერე, ვერა არვო.  
 და ჩემი უველა გააცუდა, ბარგი იყო რაც საბარგო.
- 133 რა მოვა საქმე საზეო, ნახეთ, მის გამო ელისა,  
 ბევრსა ეცადა, იჭირვა, ვის ქართლში გამოელისა;  
 რალა ვიუმნა სოფლისა, ქალაქით გამო ელი სა?  
 და თუ კარგი თვითან არ არის, სხვისგან რას გამოელისა?
- 134 შენი ტრფიალნი შენს ნახეას სიზმარსა შინა ჯერანო,  
 თვალი იმისი შენს თვალსა აეუშუნებენ, ჯერანო;  
 ვერა მწერალმა ვერ აქოს, საფერად დაგსეას ჯერანო,  
 და მისი შუქისა საღარი, ვინ შეიქნები, ჯერანო.
- 135 დამრაველმა მისმა მოიმკოს დარგულთა მისთა ნაყოფი,  
 არცა წაუხდეს იმისგან, რაც ექნას მისგან ნაყოფი,  
 კარგი ზეცამდე ამაღლდეს, ავმა სახლში ქნას ნაყოფი,  
 და რაც რბილად ჰგონოს, უმაგრდეს, ვით ბასრი წყალსა ნაყოფი.
- 136 იოსებისიაეს განეგო ეგვიპტეს განმთავრებანი,  
 ძმათ სასიკვდილოთ იწალეს, მას დასცდეს ეს განგებანი,  
 მას მიხვდა ამით ის საქმე, არ თუ მიეცა ვნებანი,  
 და რად ეწუხვართ, რადგან არ არის განგების მოცაკლებანი.
- 137 ნუ გიკვირს მკვდართა აღდვომა, მკურნალნიც იქმან სახესა,  
 ცეცხლსა-წყალ-მიწა-ჰაერსა განყოფს ბალახსა და ხესა,  
 მღვრივით აწ წმინდას შერევენ, კვლავ ჰყოფენ მასვე სახესა.  
 და ლმერთიც ასე იქმს, რას სცობით, რად ებმით უხსნელს მახესა?
- 138 ეს სოფელი პგაცს ყვავილსა ტურფა კეკლუცად ქმნელებსა,  
 სიცხე წვით, ყინვა დაზრობით, სცემს. მზე-ლრუბელი  
 წყლულებსა,  
 წყალი წაახდენს და გვალვა მოუშლის მას უსულებსა,  
 და მოთმენის მეტი წამალი რა-გვოოთ ამ საკრულებსა?

- 139 ყვავილთა ტურფა ბიბინი, სანდომი არემარენი,  
 შწადს გაზაფხული, ტოლთ უთხრა: აღვიძრენეთ არე მარენი.  
 ვინც გაიკმარებს, რა არი, ვეჭ იყოს ა რემა რენი,  
 და ჩემი ნახული თუ ნახო, გაკვირვოს არემარ ენი.
- 140 ვნახე ბერი ყრმათა უყრმე და ყმაშვილი ბერთ უბერე.  
 ბერი ცუდათ შწვე აჩქარდა, ყრმა დაწყნარდა, რაც უბერე,  
 უხუცესი არას ნაღლობს, უმცირე სწუბს: ვარ უბერე.  
 ის უფროსი იბერება, ეს უმცობი არს უბერე.
- 141 თუ შენს ტვირთს შენ კი არა ზევ, ნუ ჰკიდებ სხვას, ვერ  
 აზევსა.
- 142 თუ სიტყვას კარგა არ კრძალავ, მზირნი სხედს, მოიტაცებენ.
- 143 ისარსა გავს, პირით სიტყვა რა გატყორცო, არ მობრუნდეს.
- 144 ბუზს მწვე მიჰვაეს, ამპარტავნად, ურიდობით მოარული,  
 და არ იციან ფთა თხელი აქვს, ვერას უზამს საქმე მტრული.
- 145 კაცს გულს აურევს, ავარა და ბუზი არ არის ფინთია.  
 და თუცა შენ ავი არა ხარ, არც კარგი გამოგინთია.
- 146 ცუდად ვიყავ სოფლისაგან, ესე რამე გავაუბნენ,  
 ვერა ვირგე ნაღველთაგან, სევდა უფრო გავაუბნენ;  
 დამცა ცოდვამ საკურველად, როს ხელთ ვიგდე, გავაუბნენ,  
 და ბრძენთა თქმულსა არ მივხედე, ზურგი მივეც, გავა უბნენ.

## მ ა ჯ ა მ ა

[შესავალი]

1 ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყო მაჯამა,  
ცრემლთა ნაკაღმა აავსო, ნახეთ, გაცნობოთ მაჯამა;

B<sub>5</sub> დამწვა სოფლისა სიცოურმან, ველარა სცემოს მაჯამა,  
და უკეთ არ მწამდეს იმისგან, მკითხოს მეჩიტმა, მაჯამა.

### I

2 კიკლუცთ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ  
მალამია,

B<sub>7</sub> მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით;  
სხვას ვისმცა ეძლოს კურნება, ცუდად შვრებიან მალამით,  
და მიჯნურნო, მოდით, ჩიტირეთ, ცრემლი მავასხეთ, მალამით.

3 გიშრისა მშვილდმა, მელნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,

B<sub>8</sub> ბროლმა და ლალმა გარევით ლამის დღეთ სიგძე მიწამა,  
ცრემლი მდის მიწყივ თვალთაგან, ვეჭვ, გულმა შენმცა მიწამა,  
და რად არ გეწყალვის მიჯნური, შესჭამოს უდროდ მიწამა?

4 ცეცხლს უგავს ლაწვი, ცეცხლისგან უფრო მწვავს, უფრო  
მედება,

B<sub>11</sub> რა ვნახე მიწყივ საჭიროდ, ფეხი მახესა მედება;  
მიმტაცა სული, დღეს იქით რას მარგებს გულის-მე-დება!  
და მიტირონ ძმათა საწყალი, ან და თუ ვინმე მედება.

5. რა მოვიღო, ეს არ ფიცი, შენთვის მსგაფსი იგავები,

B<sub>12</sub> გაგიძვია დიაღ მიღმარ სიგონჯე და იგ ავები;  
ტრფიალთ შენთა სალალობოდ იწმინდები, იგავები,  
და ჭირსა ძნელსა, გაუხსნელსა ამ საქმითა იგ ავები.

6 ლექსსა მოვყევ სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი განახელი,

B<sub>14</sub> დამიწუხა თვალნი სხივმან, ველარა ვქენ განახელი.

- გიშრის თხზულმა ტოილობა გული შეკრა, განა ხელი?  
 და შეყრასა პგავს მზის და მთვარის, თუცა თავი გან ახელი.
- 7 სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამელოს,  
 B<sub>20</sub> ან მაგალითი პლატონის, ან პითალორის დამელოს,  
 ვჯდე გულის მძრახად სამუდმოდ, თავი ქვე საღმე დამელოს,  
 და საკალრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამელოს.
- 8 თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ზანგუბრელს, სულო, და,  
 B<sub>22</sub> შენმა ბაგისა ციმციმმა ფერი ყაყაჩის სულ ოდა;  
 აღმასის პირსა საღარით ხამს მზისა სხივი სულოდა,  
 და საბრალოს შენთა ტრფიალთა, სიცოცხლევ, გული სუ[ლ] ლოდა.
- 9 გენახათ მისი სიტურფე, გული სხვა რიგად ქცეოდა,  
 ეტყოდა თავსა: „არ ვიცით, აწ რა ნუგეში ქცეო და“.  
 B<sub>33</sub> ხამს, ამ ჭირისთვის თუ გეძლოს, შეგიძყრათ სვეო, ქცეო, და.  
 და მართ მისწუროდათ მათ სული, გაცლოდა, გაცაჲქცეოდა.
- 10 თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახოს სული და გული,  
 B<sub>26</sub> ყვავილისებრივ გაშალოს მისგანვე გული დაგული,  
 გააღოს კარი ლშინისა, ჭირისა კარი დაგული,  
 და გაშალოს ვარდი კუკური, ჩემში ა მისი დარგული.

## II

- 11 რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,  
 B<sub>27</sub> მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა  
 თუ არ უშმაგი, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა?  
 და მე ასე მითქვამს: უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა.
- 12 ზარს ჩასაგდებსა ქორებსა აშურებდიან სატევად,  
 B<sub>33</sub> მოვიდენ, შექნან ნადიმი, სახლსა ჭარობდენ სატევად.  
 რა ბრალი არის, ეს უამი კაცსა შექქნოდეს სატევად?  
 და სისხლისა ცრემლსა გაეწია გუგა საბრალოდ სატევად.
- 13 რა იგნისში წყლებმა შტონი გაამრავლოს გარდადენით,  
 B<sub>34</sub> მის წყვეტისა შექცევისთვის მოარობდენ გარდადენით;  
 ბელტსა ჰყრიდენ, იძახოდენ: „ძელი ძელსა გარდადენით!“  
 და თევზსა ჰყრიდენ ნაპირზედა, არ ეტევის, „გარ დადენით“.

- 14 წყალსა ნაწყვეტსა მწვანეზე მჭერეტელნი მხერდენ ას ერით,  
 B<sub>37</sub> იჭერდენ მაშიგ კალმახსა, იძახდენ: „დაჭერ, ასერით!“  
 ქვლავ მოდიოდეს მინდორად არჩვი, ირემი ა სერით,  
 და მისმან მნახავმან ეს მითხრას: ეს ისე ვაქო ასე რით?
- 15 ჯერგის მფრთხალსა მონარბოლსა ხარსა შამბი ედებოდეს,  
 B<sub>40</sub> დამაშვრალთა წყაროთათვის გულსა ცეცხლი ედებოდეს,  
 ჩამოვიდენ, კარვად დასხდენ, წინა რქანი ედებოდეს.  
 და უგზავნიდენ დანიშნულთა თვისთა, გინდა ედებოდეს.
- 16 როჭოს ლაპი მოძავალთა შექნან ბევრი საგალია,  
 B<sub>41</sub> გნოლი წითლის დევნებითა ქვე მიწაზე საგალია.  
 კალმახისა გასაწყვეტლად დაუნაყონ საგალია.  
 და ვა, სოფელმან დღენი ჩემი აწე ცუდად სა გალია!

### III

- 17 რას ვარგა კარგი საჭმელი მარილზე მოუწონია?.  
 B<sub>47</sub> ვისამცა მძივი ალმასად ყირათით მოუწონია?  
 აწ ვხედავ კარგსა ნასეტყვად, ავია, მოუწონია.  
 და შალგსაც ყვავილი დაარქვეს, მას თავი მოუწონია.
- 18 ვიყავ მოყვისისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი,  
 B<sub>70</sub> ქმათ ჰატივისა მდებელი, მიმცემი, შიწყივ მხარავი;  
 სამლოცვ ვაცლი, საეროც, მექმენ აწ ზურგი მხარ ავი,  
 და დაუნაშავლად შემექნენ უწყალოდ ძვლისა მხარავი.
- 19 არ ვიშიშვი, რადგან რომე თაყვანსა ვსცემ ღვთისა კრავსა,  
 B<sub>76</sub> უსამართლოდ მტერთა ჩემთა საკვრელითა ისი კრავსა;  
 კიდევ ეტყვის წმიდას მერკვირს, ივლიანებრ მასცა კრავსა,  
 და აყარყუმებს ტყავსა ჩემსა, აწ ბოხოხსა რომე კრავსა.
- 20 მტილი ყვავილით აღესილი მე ნებით ჩემით ვინარე,  
 B<sub>78</sub> ჰირნი ეგზომნი ურიცხვი ჩემკენ, არ ვიცი, ვინ არე?  
 სულ გამიმტერდენ მოყვანი, აწ, მითხართ, კარგი ვინ არე?  
 და ძნელსა დავები, ოუ შენვე არ მიხსნი, შექენ ვინ არე..
- 21 ცრუმან სოფელმან სიმუხთლით, მწვე მიკვირს, ჩემთვის აგო რა,  
 B<sub>79</sub> მან კაეშანი უხსნელი შეყრით შეპყარა, აგორა,

- ვერ მომიძერია, არ ვიცი, გულსა ასეთი აგო რა?

და დღე ჩემი წინათ წარსრული ყრმათ ჩიკორისებრ აგორა.

22 საწუთოსა ცხენსა ვიჯექ, ლურსმანი ვქენ მონაწევი,  
B<sub>81</sub> მრავლად იდგა ბაღსა მისსა ხილი მწიფე, მონაწევი;  
რაცა მწადდა, მას ვიხმევდი, ხელით მქონდა მონაწევი,  
და ახლა ვქნილვარ მტერთ სახრალად, იქით-აქეთ მონაწევი.

23 აღმემართა კაეშანი, ეს არ ვიცი, როს იხაროს,  
B<sub>82</sub> ვინცა ღვთისა მიუნდობლად რამც იკეთოს, რამც იხაროს,  
ესე-გვარმან თავისი იპირუტყოს, ხამს იხაროს.  
და კაცი ცრუ და უგუნური მომერიდე, ნუ ი ხარ ოს!

24 გამიფრინდა სვისა ქორი, არ თუ არი განა ხადად,  
B<sub>83</sub> ბეღი, სვე და სპა-და-ჯარი ყველა მექნა განახადად;  
ცრემლი მიმდის უფრო მისგან, რა სეღი ქნან განახადად,  
და მწვე მიჯობდა სხვაგან მევლო, განა დვალად განა, ხადად.

25 ჰე, თაო, პირველ შვებულო, აწ უცხოს ჭირსა ვარდია,  
B<sub>84</sub> საკურელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოლრმოსა ვარდია;  
მკვიდრი უმკვიდროდ შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია,  
და ლაწვი შემქნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.

26 ვერ მივეც, რაცა მემართა, ხარკი სოფლისა მე ცადა,  
B<sub>85</sub> მოვიდა ქარი ხორშაკი, ანაზღად სამე მეცა და;  
ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხვებთანა მეცა და,  
და რა მწვე მიჯობდა, სიბრძნითა თავი სხვა რიგად მეცადა!

27 ის მოსავალი პირველი დასეტყვა, ასე მეხა რა,  
B<sub>86</sub> ზე აღმართული სვე-ბეღი ანაზღად, ვნახე, მეხარა;  
სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა.  
და არ გიკვირსთ, სოფლის სიმუხთლე, დემად შემქნია მე ხარა..

28 მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყვეტილო,  
B<sub>87</sub> სოფლის ნასთთა მსხვილად სთულთა უცხოდ რათმე  
დაწყვეტილო,  
რუო, ხარბად მომდინარო, მლაშისებრივ დაწყვეტილო,  
და სახელოვანთ ბიძა-ქმათა, მამით უწყლად დაწყვეტილო.

## IV

- 29 კაცს ვისმე სახლი სამყოფი, ზღუდე უყვარდეს ამბარით,  
 B<sub>95</sub> იგ ტყვიას როლის იქონებს, ამას უსუნებს ამბარით.  
 ვზარდო ფერადი ყვავილი, მოვილო მთით და ამ ბარით,  
 და მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ, ამან მისთანა ამბა რით?
- 30 კაცს შევხვდი ბრძენსა, ეს წიგნი მაზადაც უგემებია,  
 B<sub>99</sub> ვარქვი: „ამ ზღვაში ჩავარდნილს რა ხილი უგემებია?“  
 „რადგან გწადს სიტქბო—მან მითხა—ჯერ ნახე უგემებია,  
 და ქენარის თაფლი უეკლოდ არავის უგემებია“.
- 31 ყმაწვილს ატყუებ უცებსა, ყმას ამაყობით დარევ და,  
 A<sub>6</sub> შუაკაცს დაუცდელობით ხელსა სიჯაბნით დარევდა;  
 მაგრამ ბერკაცსა რაღა რჯის, ისიც იმათვე დარევდა!  
 და შენ გასცვდე, ჩვენ ქი ქვე დავრჩეთ, იქ თუმცა ჩეენთვის  
 დარევდა.
- 32 სიბრძნით აღაგო ყოველი, საქმით ა განასრულითა,  
 A<sub>10</sub> წესიერებით შეგამკო საზომი განა სრულითა,  
 უსხეულონი მსახურად, ზოგნი ჰყო განა სრულითა,  
 და არვინ დააგდო წყალობით კარითა განასრულითა.

## V

- 33 ეზომ ტურფა სასძლოსთანა მინდა, რომე ვიხარებდე,  
 C<sub>7</sub> საქორწინე არ მაცვია, რომ შემიშვან, ვიხარებდე;  
 ასე მიჯობს, დავგლახაკდე, სოფლის საქმით ვიხარებდე,  
 და ნუთუ მაშინ ლირსად ვიქნე, ლიას კარსა ვიხარებდე.
- 34 სატრფოს მეტრფე თუცა სძებნი, პირველ გიხამს, მო ნათელსა,  
 C<sub>18</sub> ბნელმან, ვიცი, დააბნელოს, ჭირით ბაძე მონათ ელსა;  
 შეყრას უნდა მწვე გამოცდა, მაშინ ჰპოებ მონათელსა.  
 და დაუცდელად, ეს იცოდე, ეშმაკისგან მო ნათელსა.
- 35 კეკლუცია ტურფა ჩამე უკაზმავი მოიბალით,  
 C<sub>25</sub> ვარდსა, ახალ გაფუჩქნილსა, სჯობს რა ნახოთ მო ი ბალით;  
 გულმან ჩემმან სიყვარული მისი უცხო მოიბალით,  
 და სიძულილი შენგან ჩემი მოიგლიჯე, მოიბალით.

- 36 მომწონს მისი სანდომობა ქებისათვის დაღალულად,  
 C<sub>26</sub> თვალნი სხივმან დამიხუჭა, კნინლა მექნა დაღალულად;  
 ასრე გავხე, ჩემი მნახი მეტყვის: ხარო დაღალულად.  
 და არ მიწამლებ, გამხდომია გული ჩემი დაღალულად.
- 37 ამით უთხარ წამწამითა შესამსგავსი შესხმანია,  
 C<sub>27</sub> ამით ფერით წამწამითა ესვის გულში შესხმანია,  
 ამით შექნა წამ-წამითა თვალ-მარგალიტთ შესხმანია,  
 და ამით მოვრჩეთ, წამ-წამითა მაღლი წყლულებრ შესხმანია.
- 38 მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,  
 C<sub>28</sub> სიყვარულითა მისითა გული-გონება კარითა,  
 მისისა მიახლებითა ეშყსა სურვილი კარითა,  
 და ეგება რომე გელირსოს შესვლა სამოთხის კარითა.
- 39 გულსა მისცემს უცხოდ შვებას, ოდეს ვისმე შეეყრების,  
 C<sub>29</sub> ოჯალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების;  
 ვერ მიმხდომთა წინ სამუდმოთ თვალთა ცრემლი შეეყრების,  
 და უჯობს კაცსა სოფლით გასვლა, თვარ ლაშვარი შეეყრების.
- 40 სურვილის ზღვათ უფსკრულშია მან შამიღა მასე, მასე,  
 C<sub>30</sub> ესე მიყავ: შემომხლუდე, გარეშემო მასე, მასე;  
 საბრხეები მისაგან ჩემზე რომ გავხეოქო, მას ემასე,  
 და შაქრისაგან უფრო ტკბილი მისი ეშყი მასე, მასე.
- 41 როს მეტრფისა ტრფიალება გულსა ჩემსა დამაჯერა,  
 C<sub>31</sub> მშლელი მიშლის უცხო რიგად, ლამის კიდეც დამაჯერა.  
 მეუბნების: „ყმაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა“.  
 და მაგრამ მისმა სიყვარულმა ისევ მასვე დამაჯერა.
- 42 მის დარად, მსგავსად მაგ ქვებსა ცუდათ აწითლებ იამან,  
 C<sub>32</sub> ხანი გამოვა, მანამდის იმას უდაროს იამან.  
 ზილფი ხუჭუჭად ნაგრუზი რით ნახოს ურცხვად ი ამან?  
 და მისად შეყრამდი თუ დარჩე, მოიწყენ, თუცა იამან.

## VI

- 43 დავრჩი ასე, აღარ მშვენის, არცალა მაქვს მოსაგონი,  
 C<sub>33</sub> რათ ვიხმარო, აღარ ვიცი, მეონდეს კიდეც მოსაგონი;

გამიცუდდა ცოდვის ნაცვლად ყოვლი რამე მოსაგონი,  
და მტერსა დარჩა, აღარა მაქვს ჩემი სრულად მოსაგონი.

- 44 გული სევდისა სალხენად განსავურა ა ჭარხელითა,  
C<sub>40</sub> მზევ, გული ჩემი, ტყვე-ქმნილი, მისწიე, აჭერ ხელითა;  
გაველურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით ა ჭარ ხელითა,  
და საზრდოდ ვიკმიო სიცოცხლე, ვატარო ა ჭარ-ხელითა.
- 45 ვერვის ვხედავ სოფლისაგან ჩემებრ რასმე წამონარცხით,  
C<sub>41</sub> გარდამაგდი მართ, ვითამცა საწუთომან წამონარცხით,  
ჩემი მთვარე ავი რამე, არ თუ კაცთა წამონ არც ხით,  
და ის დიდება პირველ ჩემი აღარა მაქვს, წამო ნარცხით.
- 46 შიკვირს, სოფლის გულისათვის კაცი ასე რად იჭირვის!  
C<sub>49</sub> ანუ ვინმც ა მისის ნდომით, ვფიქრობ, ვცვითრობ, ვით იჭირვის,  
უხამსთ მისცემს სიმდიდრესა, ზოგნი ხამსი მწვე იჭირვის,  
და საუკუნოდ ცოდვის გვარლით გარდახვანჯვით დაიჭირვის.

## VII

- 47 ტოლსა შინა გამოჩენით არა სადა დამედარა,  
C<sub>91</sub> მტერთა ზედა რას მარგებრა, თუცა სადმე და მედა რა!  
თუ დამაკლეს, რა დამაკლეს, საქმეშია დამედა რა?  
და მაგრამ ბოლოს ყველა ვინმე, რა გავსინჯე, დამედ არა.
- 48 ტურფად, კექლუცად ნაქმარო მისო სანდომო არევ, და,  
C<sub>96</sub> მიჯნურთა გულის მორევი უცხოდ რამ რიგად არევდა,  
მისი ნარნარად მიხედვა მისთანა მჯდომთა არევდა,  
და ტანს კვიპაროზის შემშურნეს იქით და აქათ არევდა.
- 49 დამრგველმა მისმა მოიმკოს დარგულთა მისთა ნაყოფი,  
C<sub>135</sub> არცა წაუხდეს იმისგან, არც ექნას მისგან ნაყოფი;  
კარგი ზეცამდე ამაღლდეს, აგმა სახლში ქნას ნაყოფი.  
და რაც რბილად გონის, უმაგრდეს, ვით ბასრი წყალსა ნაყოფი.
- 50 ყვავილთა ტურფა ბიბინი, სანდომი არე-მარენი,  
C<sub>139</sub> მწაღს გაზაფხული, ტოლთ უთხრა: აღვიძძენეთ არე მარენი;  
ვინც გაიქმარებს, რა არი, ვეჭვ, იყოს ა რემა რენი,  
და ჩემი ნახული თუ ნახო, გაკვირვოს არემ არ ენი.

- 51 ვნახე ბერი ყრმათა უყრმე და ყმაწვილი ბერთ უბერე.  
 C<sub>140</sub> ბერი ცუდათ მწვე აჩქარდა, ყრმა დაწყნარდა, რაც უბერე.  
 უხუცესი არას ნაღლობს, უმცირე სწუხს: ვარ უბერე,  
 და ის უფროსი იბერება, ეს უმციროსი არს უბერე.

### VIII

- 52 რა მოვა საქმე საზეო, ნახეთ, მის გამო ელისა,  
 C<sub>188</sub> ბევრსა ეცადა, აჭირვა, ვინც ქართლში გამოელ, ისა;  
 რაღა ვიუბნო სოფლისა, ქალაქით გამოელი სა?  
 და თუ კარგი თვითონ არ არის, სხვისგან რას გამოელისა?
- 53 ცუდად ვიყავ, სოფლისაგან ესე რამე გავაუბნენ,  
 C<sub>146</sub> ვერა ვირვე ნაღველთაგან, სევდა უფრო გავაუბნენ;  
 დამცა ცოდვამ საკურველად, როს ხელთ ვიგდე, გავაუბნენ.  
 და ბრძენთა თქმულსა არ მივხედე, ზურგი მივეც, გავა უბნენ.
- 54 შენი ტრფიალნი შენს ნახვას სიზმარსა შინა სჯერანო,  
 C<sub>154</sub> ვერა მწერალმა ვერ აქოს, საფერად დაგსვას, ჯერანო.  
 მელნის ტბა ტურფად შვენოდეს, ვერ ედარების ჯერანო,  
 და მისი შუქისა საღარი ვინ შეიქნება ჯერანო?

### IX

- 55 მიკვირს, თავი ,ტანი, ფეხი ესრეთ ვითა ელამაზნეს?  
 ზორ-ტანისა უსულითა ესაროვნეს, არ ევაზნეს;  
 ქარვის გარე გიშრის ბანდნი პირ-ნაკუფრად დაებანდნეს,  
 და საუბრისა საკრძალავად ლალის კარნი დაეზარნეს.
- 56 უსუფეობ შენ ლამაზი, მზე მგონიხარ, დგახარ რაზი,  
 ვინათგან ხარ ეგრე ნაზი, მნათობები იქით გაზი;  
 ხარ ფილთაფელთ დანახაზი, არგისგან ხარ მონაკმაზი,  
 და რად დაგიხშავს ლალთა რაზი; მარგარიტა ბუდე აზი.
- 57 ამართა ბროლისა სვეტნი, რა მზემან ნახა, იამა,  
 უფრჭევნელი ვარდი კოკობი მიზიდვით მიიზია მა;  
 სამთავე ერთად იდინეს—ბროლმან, ლალმან და იამა,  
 და იტვირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმან ლიამა.
- 58 ორნივ ერთად ვთამაშობდით:—შენ ქურციკი, მე ავაზი,  
 მე ულვაზი სუმბულითა, შენთან თმითა მუშკ-ავაზი,  
 შენ ვარდი და მე ბულბული, შენ კაკაბი, მე გავაზი.  
 და შეგეყრები, პირს გაკოცებ, მომეწყინა მე თავაზი,

## ქილოლა და ლამანა

\* \*

- 1 შეც მიძუყევ სპარსთა ზლაპრისა თარგმანებისა მგებართა,  
არავინ მიშვებს გარეგან მთათა და ვინა მე ბართა;  
არ ვგავარ არას საქმითა ვარდოთა კოკობთა მკრებართა,  
და ჩა უყო, გაბჭეთ, სამუდმოდ სახმილსა მძაფრად მგზებართა.
- 2 უერ ვიტყვი ღირსად საფერად წმიდის სამების ქებასა,  
მოსეც შლის ამოებაზე ღვთის სახელისა ხმობასა.  
ზლაპარი მეთქვა ისიცა ვაკმარე ამა მბობასა,  
და ამისთვის აღარ მივხედე უშესავლობის გმობასა.

ანდერძი ღიძს ჭირსა შინა მყოფის.  
მეფის ვახტანგისა

უამსა მას პატიოსნისა და ამალლებულისა, და დიდებულისა, დედათ  
შვენიერებისა, თეითმპყრობელისა და ღვთივ გვირგვინოსნისა მე-  
ფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი „ცხოვრებასა  
ქართლისასაც“ წერილ არს. ამითაც საცნაურ არს: რაოდენსაცასაქარ-  
თველოში ანუ არავსა და ანუ იგავსა, ანუ ჟეპირს მუნასიბსა ლექსია  
აზლა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია. მაშინდელი ნათარგმნი  
უამთა ვითარებით დაკარგულიყო და შემდგომად ბატონს და-  
ვითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის  
ეთარგმნა. მაგრამ არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო,  
და არც გასრულება დასცალებოდა. მე ის წიგნი ხელად შემომი-  
ვარდა, ვნახე, რომ იყო სიტყბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი  
ზლაპრის წიგნია, და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარ-  
გო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა. ერთს სპარსსა, რომ მცირედ  
ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან  
თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უკოდინარობით ვერც კარგა გამოიღო,  
და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ

ჩაველ, მუნ ერთს სომებს უთხარ (რომ სპარსული ესწავლა) ნაკლების შესრულება, და შან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი დაკლდა. არა თუ ჩემის რისმე დანაშაულისათვის, არამედ სული უჯობოა საზრდელისა და გვამი—სამოსლისა. ამისთვის მომიძულეს მე უსამართლოდ. და შემდგომად იმისსა თვისთაცა ჩემთა ნაცვლად კეთილისა მომავას ბოროტი, და აღმიღეს შურად, და ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს. და შემდგიმად ამისსა ქირმანს წარმომგზავნეს.

### ღ ე ქ ს ო

მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს ჭირი, ჭმუნვა და წყინება? ქუჩუქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება! ახლა ჭირმანსაც დამკარგეს, დამვიწყდა ამას წინება. და არ ვეჭობ, შერჩეს ღვთისაგან; ვინც ჩემთვის ასე ინება.

რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა. და ცუდათ ყოფნა სულისაც მაზიანებელად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდე.

### ღ ე ქ ს ო

ცუდად ყოფნისა წამალად ვსვი ცუდი შარბათებია; მზე აღმოვიდა, მიაღვა, ბარი იყო თუ მთებია, მაგრამ მე მისი მწერვალი არსით არ მომნათებია, და ამისთვის სევდა-ნაღველი, გლახ, გულსა გამერთებია.

კიდეც ვნახე, რომ კაცისათვის მრავალი სარგებელი ჰქონდა, სასმენელადაც მწვე-ტკბილი და საამო იყო. და გარჯას აღარ ვრიდე ამის მიზეზისათვის.

### ღ ე ქ ს ო

ეს ობოლი მარგალიტი დავაცვი და დავაშადე, ჭირნი ჩემნი უსაზომო ამ საქმითა გავაშადე, სიბრძნე ჩემი, რიტორება, მოვაწვივე, მოცავხადე, და მაგრამ ჩემთვის ამართული ვერ დავშალე ვერსით ბაღე. თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა,

დაღნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აასებდა. და თუცა ვინმე უკეთ იტყვით, არ გიშლი, და კარგსა იქთ.

### ღ ე ქ ს ო

ვინც უკეთ იტყვით, არ გიშლი, არც არას მეწყინებისა.  
მე ჩემმა ბედმა არ მომცა ჟამი ჩემისა ნებისა.

რაც ჯავრისაგან შევიძელ, ვთქვი რამე მე ლხინებისა,  
და სხვა მეტი ვერა გავაწყევ თქმა ქების, გინდ გინებისა.

მე კაცის შეუტყობრობისა და მოუსაგებლობის გულისათვის აღვჩ-  
ლისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულ-  
ვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს.

### ღ ე ქ ს ო

არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები,  
მეტითხა წიგნი საღვთო და საერო ამას წინები;  
ვთქვი ენით მეტად აღვილით, რომ იყოს მოუწყინები,  
და არვინ გამხადოთ ამისთვის საკიცხარ-მოსაყინები.

არვის გმართებსთ, ვისცა ხელად შემოგივარდესთ, ამის ამბის შე-  
უტყობარი დარჩეთ, და ან მე რა ჭირი მინახავს ამის თარგმანზე,  
ისიც არ შეიტყოთ და არ გასინჯოთ.

### ღ ე ქ ს ო

კაცი გემოს მაშინ იცნობს, ოდეს ენა დააწოსა.  
ლამესა ვარ უნათლოსა, მივემსგავსე მე მას წოსა.  
ალსა ვზიგარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა.  
და კაცეა ბედი ვერას არგებს, თუცა ღმერთი არ ემწოსა.

სპარსთენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ,  
ლექსი ლექსად გარდმოგისთქვი უკლებრად, რომელი ოთხ-მუხლი იყო,  
ანუ ორ-მუხლი, ანუ ერთ-მუხლი, ანუ ათ-მუხლი, მეტი თუ ნაკლები,  
და ამბავი ამბვად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ  
ითარგმანება, ამბად მოვა. და მე იმავე ამბის გალექსვა მოვინდომე. და  
ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ; რომ სხვის კაცისაგან

ნათქვამს ამბავს მეორე ისე ველარ იტყვის. სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში დიალ გაწყობილია.

### ღ ე ქ ს ო

ეს ქილილა და დამანა ბრძენთაგან გამოთქმულები,  
სპარსთა ენისა სიტქბოთი დაშაქრულ-დაამბრულები,  
ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი ყვავილი ტურფად რვულები,  
და ლექსი ლექსად და ამბავი არც ერთი დაკლებულები.

როგორც მათში იყო, ამბავი თავის ადგილს, და ლექსი თავის ადგილს დავსწერე. ამთონის ჩემის ჭირის ხელფასად ლოცვა და შენდობა რომ წესია, ავ-ენობის პირს მაინც ნურვინ გახსნით.

### ღ ე ქ ს ო

ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,  
ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,  
მკითხველთა სარგო მრავალი, არათი არა ზიანი,  
და ვსწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი.

\* \*

მას უამსა, ოდეს ბრძენთაგან სამეცნიეროდ ამაღლებული სწავლანი სპარსულის ენისაგან ქართულს ენაზედ გარდმოვსთარგმნეთ, ისრევე სპარსულის ლექსის კვალად გალექსვა ამ წიგნისა ერთის რიგით მოვინდომეთ, რომე ლექსის გაწყობის რიგები ისრევ სპარსული მიგვეცა. ჩვენ უამთა ვითარებისაგან და ერთა მოუცლელობით ველარ შევასრულეთ. და მდივანს ონანას უბძანეთ, რომე ამ ტურფას წალკოტის ყვავილი ფეროვანებით შეჰქრას და ხელოვანთ გახალა-სებული დრაჟეანი კავშირით შეასრულოს.

### ღ ე ქ ს ო

მერმე უბძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასა,  
სპარსულის რიგით გალექსვა; მანცა არ ცუდად მონასა,  
შეჰქრავს და ტურფად შეაწყობს წალკოტის ვარდის კონასა,  
და გააკავშირებს ხელოვანთ შექმნულსა ოქროს წონასა.

## კელავ მიხმას ისევ ისაანს

- 1 კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები. მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები! მან თავის ტოლად მაღიდა, არ შეჩენა უფლისწულები.
- და წარმავალია ყველა, უამი მიც გარდასრულები.
- 2 არ ღამცალდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარიად, ხორცისათვის საპატიოდ, სხვას ბევრზე იგად დასაზარად. რა ვენა, არვინ არ გამოჩნდა არასფერში მოსახმარიალ?
- და მოუძლურდა ხორცი სუსტი, რაღა მეოქვა მსმენთვის მწარად?
- 3 არ იცოდით, არ გმართებდათ ჩემი ასე გარდაგდება? სამთავსა და კვერსა შუა ჭიქა როგორ გამაგრდება?
- ტალსა კვექსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება,
- და ცეცხლსა შეაფრსა ნავთს დაასხამ, მითხარ, როგორ დანელდება?
- 4 თვითვე ნანობენ უგბილნი, თუცა ბევრს ჭირსა მახესა, ლომი დაბმული იეხსნას, ვაცსა გააბამს მახესა;
- რაღასლა ვეძებ სახვეწრად ქლდესა, ტყესა და მა ხესა,
- და რაც ერგოთ ჩემის აშ საქმით, აწა თვითანცა ნახესა.
- 5 ჩემნო გულის შემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ, ჭირნი ჩემნი სხვათა ჭირთა მიამსგავსეთ, მიასახეთ; სოფლის საქმეს ყური უგდეთ, ან იტირეთ, ანუ ვახეთ.
- და აბედინას-შეილის ამარ დავრჩიმილვარ, აწ ეს ნახეთ!

\* \*

ვით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან გალექსა, ყაფლანისშეილმან, რომელი ბოლოდ მონოზონ იქმნა და ეწოდა საბა.

## ა ნ ბ ა ნ თ - ქ ე ბ ა

ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს,  
ამკობდესცა, ადიდებდეს, ამისთვისვე აქა ქებდეს.  
ამზრზენელსა, აღმშუოთველსა ანაცრებდეს, აქა ქებდეს.  
და არმურისკენ აშწეველსა აღმასს აფთსა აქა ქებდეს.

ბრწყინვალედ ბარუქ ბრძანებდა ბადვისთვის ბრძნულის  
ბაგითა,  
ბრძათ ბრწყინვალება ბეერობდეს ბეთლემურისა ბაგითა,  
ბიწოვნებასა ბანევდეს ბერთ ბიჭთა ბრძნულად ბაგითა,  
და ბორგნილნი ბილწნი ბაალნი ბორგევდენ ბუგა ბაგითა.

გწერს გვდეონ, გულლრტუთაგან განიქიქა, განებასრა,  
გვლარძნილთ გუნდთა გული გლუნი გაეფიცხა, განებასრა,  
გვისამს გმონოთ განკიცხულსა, გაეწყობის გან ებას რა,  
და გარდიკარგნენ გვარნო გივნი, გაადიდე განებ ას რა.

დიდმა დიდებამ დიდისამ დიდებულები ღარია,  
დაბნელდენ, დაბრძოდენ, დაცვივდენ და დაუბნელდათ დარია,  
დაკეფამ, დაჭრამ, დაპობამ დიადობანი ღარია,  
და დიდებულისა დედისთვის დაიჭრა დედა დარია.

ესრეთ ექნათ, ებრაელი ეუბნების ესაია,  
ევმანოელს ერი ესე ესადავა, ესაია;  
ექიცხოდა ეროდია, ეჭობ ესხა ესა ია,  
და ეხმაროდა ეგვიპტედა ენერწყვიან ეს აი ი.

ვისთვისცა ვლექსობ; ვით ვლირსვარ, ვით ვამბობ, ვინა ვარ დია!  
ვიწროს ვრცლად ვლასა ვინ ვბედავ, ვახტანგ ვით ვკონო  
ვარდია:  
ვერა ვასრულო, ვით ვეჭობ, ვალსა ვახშურსა ვარდია.  
და ვინ ვაძო, ვისა ვბაძევდე, ვინ ვისთვის ვითა ვარდ ია!

ზრზოლასა ზარსა ზიზინზე ზღაპრობაებით ზეზითა,  
ზეიმით, ზარით, ზოგზოგნო, ზარობდეთ, ზრზოდეთ ზეზითა,

ზორვიდეთ ზირაქისეებრ ზეციფრებსა ზე ზითა,  
და ზელფასათვისცა ზარქაშსა ზომდენ ზონარსა ზეზითა.

ცლენნი, ცლამიტელნი ცენათესაცა ცესავის,  
ცბგურნო ცეშმაკისანო, ცვლტით ცედემსა ცეს აის,  
ცმამნენ, ცეძნენ, ცეშვილნენ, ცეგვარებიან ცესა ეის?  
და ცეშცირებოდა ცე პირმშო ცებირებიან ცესავ ის..

თაბორზედა თოვლისებრი თავადია თვად თვითო,  
თუ თხრობასა თხრობულობდე თქვით თაყვანი თვითო-თვითო,  
თხოვეთ ცმობა თბურის თქმისა თებარეალით თიბათვითო.  
და თანის-თანას თხოვნისათვის თხრობილიცა თქმულა თვითო.

იწყლა იესო ისრაილ, ინაფირებდა, იქოსა.  
იხარებდიან, იშვნიან, იმით იტყვიან „იქოსა“  
იზმდიან, იხმოებნობდიან, იმღერებდიან „იქოსა“.  
და იგი იმითი იდიდოს, იპატიოსნოს, იქოსა.

კაცი კვალსა კომსისასა კიცვად კადრებ კარაულო,  
კართ კრებულნი კადნიერი კრომით კვალად კარაულო,  
კოცნა კადრე კატაბანათ, კარიოტელ კარაულო,  
და კონა კლერტთა კანაფთაგან კალათურად კარაულო.

ლოგინებრივ ლარქანშია ლაზარეა ლილებრ ლულად,  
ლოყა ლურჯი ლაქვარდისფერ ლამაზობდენ ლმობით, ლულად,  
ლხინისაგან ლოდაკითა ლია ლამაგს ლულა-ლულად,  
და ლექსობამა ლექსი ლია, ლაპლაპობსლა ლაშის ლულად.

მოკლა მალალი მეუფე, მიკვირს, მოკვდაემან მონამა,  
მშობელმან მისმან მასზედა მტირალმან მიწა მონამა,  
მითქვამს მართალი, მიჯერეთ, მაშ, მეც მიესწერო მონამა.  
და მუნ მომცეს მკვიდრი მამული მე მუდაშ მისმან მგონამა.

ნებთა ნაკრაეთა, ნალურსმთა ნაწვეთნი ნიუვენ ნაგებით,  
ნახეო, ნეტარი, ნათელი, ნაშენო ნებსით, ნაგებით.  
ნათამამებნო, ნაგვემსა ნუ ნერწყვავთ ნეტა-ნაგებით,  
და ნურც ნებას ნახავთ ნობათად, ნაზორნო, ნაჭეთ ნაგებით.

ოდეს ოხრასა ოხვანზე ოხრიდენ ოხა ოხითა,  
ოსანაებსა ორობდენ ორლანოებით ოხითა,

ორესტოს ონისიმესთან ონოფრეც, ორობს ოხითა,  
და ოხრება ოცი, ორმოცი, ოთხმოცი ოხრად ოხითა.

პასუხი პატიოსანი, პირო, პოეცა პარითა,  
პირმშოსა პირველისასა პყრობას პირობდენ პარითა,  
პატიოსნისა პარიკთა ბრწყინვალებანი პარითა,  
და პალამინი პავასაკითა პარპანჯობდიან პარითა.

უღველიმოს ულლეტამა, უიუინმა, ურუოლამან უამი უირადო,  
უეუა, ულუტუნი, ულივილი, უონევდეს უირში უირადო,  
უანგმან უამისამ უიუინი, უარო, უოლაებრ უირადო,  
და უალეთელთათვის უინუილად უოლისა უვერი უინადო.

რადგან როტევდა როსკიპი რეგვნობას რწყვიდა რულადა,  
რეტოვანთ როკვით როგორი რეცა როდიამ რულადა,  
რამეთუ რისთვის როხევდა, რობდეს რადღამცა რულადა;  
და რკინევდა რისთვის რიოში რობუამთანა რგულადა!

სცდებით, სოფლისა საშვებლად სვამთ საკრავითა სამებით,  
საუკუნოსა საქებსა სიტყვასა სულსა სამებით,  
სერაბინთაებრ სწირევდეთ საქებსა საქმეს სამებით  
და სიმაღლე სთხოვეთ სიმდაბლით სილრმესა სულით სამებით..

ტანჯვიდენ ტაძრეულები, ტომი ტომჩედა ტანებით,  
ტყველვიდენ ტაშსა ტკაცითა, ტერფებსა ტატსა ტანებით,  
ტიროლა ტკბილი ტევანი, ტომისთვის ტკრცოლა ტანებით,  
და ტანჯულმან ტანჯოს ტეტერნი ტარტაროჩებში ტანებით.

უწინდელები უფალი უფალმან უფსკრულს ურია,  
ურჩეულესად უყვარდა, უდაბნოს უძღვა, ურია;  
უმაღლეს უფლებათასა უგმერდენ უღმრთო ურია,  
და უპატიურნი, უსწავლნი, უგვანნი, უსუსურია.

ფრიადობდიან ფუტკარებრ ფერად ფინთისა ფარებით,  
ფაფარუჯობდენ, ფრთხილობდენ ფაკელებისა ფარებით,  
ფიცხელობდიან ფლობილნი ფასალანოსა ფარებით,  
და ფიცხელნო, ფილასოფურად ფონებსა ფონავთ ფარებით.

ქერაბინთაგან ქებული ქრისტე ქმნულებამ ქორითა,  
ქარნი, ქვეყანა, ქვემთრევნი, ქმნა ქურციკები ქორითა,

ქებულო ქადაგთ ქვა: ქმენითო ქაბარწოვანი ქორითა,  
და ქორებს ქმნულისა ქებისა ქორს ქება ქადაგო რითა.

ლვარბასობითა ლმერთისა ლლიანი ლრმათა ლებულა,  
ლმრთაების ლირსსა ლვარულად ლუღლუდი ლაწვი ლებულა,  
ლალადებითა, ლრიალით ლვედი ლვედეცი ლებულა,  
და ლონობა, ლონვა ლავლავით ლრუბელი ლალადებულა.

ყურთ ყოფადთა ყაყანისა, ყრიალისა ყეფა-ყოფა,  
ყადავახად ყოვლად ყოფილს ყაეთ ყობულში ყოფილ ყოფა,  
ყმებრივ ყიფნო, ყოველთავე ყრისაცავე ყავით ყოფა.  
და ყოფილისა ყივილისა ყონ ყოველთა ყოვლად ყოფა..

შეთნო, შემცდარნო, შეშლილნო, შლუჯბნო, შმაგო, შენაო,  
შემოქმედისა შენისა შებმა შეჰქენით, შენაო,  
შავის შლამისგან შეგაგბო, შეგამკო შექნით შენაო,  
და შარასა შესცდი შურითა, შავმცა არს შენი შეენაო.

ჩვენი ჩვევა ჩაგარდნისა ჩვენსა ჩვილსაც ჩაეხსენა,  
ჩაჩვეოდენ ჩაგმობასა, ჩაეტებილა, ჩაეხსენა,  
ჩამოვიდა ჩვენთვის, ჩვენო, ჩვეულებას ჩაეხსენა,  
და ჩხუბიანთა, ჩასაქვავთა ჩაეშურაო, ჩაეხსენა.

ცნობა ცხოვლისა ცხადობით ცნას ცქაფმან, ცრუმან, ცანითა,  
ცხებულისათვის ცემანი, ცხარობაები ცანითა,  
ცრცვის ცრუობისთვის ცხადობით, ცეცხლიმცა ცვარობს  
ცანითა,  
და ცბიერობაცა, ცანცალი, ცოდვა, ცაქცაქი ცარითა.

ძარცვეთ, ძრახეთ, ძმად ძრახულნო, ძლიერებით ძველნო,  
ძირად,  
ძესა ძველსა ძეგლისაგან ძვიდით, ძაგდით ძირად-ძირად,  
ძენი ძაგნი ძლვენსა ძლვნიდენ ძნეულებად ძირაქს ძირად,  
და ძრახულნებო, ძალლებრ ძვინად, ძლარბებ ძილად, ძუნწად  
ძეირად.

წყლეს წმინდა წბილთა, წყეულთა, წარმართულისა წამებით,  
წარბ-წამწამითა, წვერითა, წელითა წათლენ წამებით,  
წელიწდეული წულები წარწყმედულთ წყევლას წამებით,  
და წარსქდა წყარონი წყლისანი წანწყარით წინ წამწამებით.

კამოთ ჭირისთვის კმუნვანი, ჭრიკინაებრივ კავანი,  
ჭრის კუილებსა კამანი, კეშმარიტისა კაჭანი,  
პეშმარიტისა კვრეტითა კყრტიალებს, ჭრტინავს კაჭანი,  
და ჭაკს ჭაბუკურად ჭურვილთა ჭირან ჭიმანი, ჭმაჭანი.

ხან ხორიცო, ხელო ხვებულო, ხან ხმელო ხოლმე ხანითა,  
ხშირად ხიშერთა ხებულო, ხან ხმიანობცა ხანითა,  
ხადუმთ, ხოჯათა ხროშია ხარხარებ, ხარბო, ხანითა,  
და ხან ხბორებთანაც ხადილობ, ხმობ ხარით ხნული ხანითა.

კარის კმელისა კშირ კმევით კაკანი კორკი კაკულა,  
კაშები კშირად კელდაკელ კოკბისა კარშოც კაკულა,  
კვნეშა კამს, კოკობთ კმეულნო, კატი კდებიან კაკულა,  
და კდალთა კოკელთა კმოქნობით კალიჩის კაო კაკულა.

ჯარში, ჯაბანო, ჯლომასა ჯერჩინება-ყაჟ ჯერითა,  
ჯაგლაგს ჯლანითა ჯავრითა, ჯომარდო, ჯოჯოს ჯერითა,  
ჯადვარ, ჯავნ ჯორით, ჯანასლან ჯამასპზე ჯავრობს ჯერითა,  
და ჯავახეთს ჯარჩი ჯახველის ჯალჯი ჯურუმათ ჯერითა.

ჰავნი ჰასპიტებრ ჰარულნი ჰავში ჰატარონ, ჰარონა,  
ჰალიარებდა ჰარსებას, ჰამბობენ ჰასე ჰარონა,  
ჰამასაებრად ჰალმკული ჰალძრებისთვის ჰაბა ჰარონა,  
და ჰაქონ ჰავი და ჰავთ ჰალძრება ჰალეტოლების ჰამონა.

ჭეს სხვა სიტყვა არა აქვს, თუარ ჰაი და ჭები,  
ჭი, შენ ცოდვის მიმყოლო, სულო, სანამდის ჭ ები?  
ჭი, კაცთ საქმის არქმნულსა, ხარებრ გიძახონ „ჭები“.  
და ჭი, რასაც იქ ბოროტსა, მასშიგვ მოიპო ჭები.

\* \*

ჯუფთ არს არა ვის, ეთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს,  
ვეჭვ, არს შემდგომი.  
ვმონე ქრისტესა, მას ჩემსა მწესა, უნდო, არ კეთილთ ფრიალ  
შემდგომი,  
ამის ლექსვაში ვიყავ მწვე ვაში, ნუ ეჭვთ შყოლოდეს შემწე,  
შემდგომი,  
და ბრძენთ დაფაბრალო, უცებთ ვერ მრავლო, ხომ ხარ რიტორთა  
გზაზე შემდგომი.

## ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა

(ეს ერთი ლექსი არის, ყოველს სიტყვას თავბოლოს ანბანი უნის)

არა ბრძანებ გიორვ დედად, ესე ვიყავ ზეზ ცოერტად,  
თმით იკარი, კუკ, ლალ, მომცემ, ნებვენ ოსობროკო უვერად,  
როგორ საამს ტახტ უკეთუ, ვეფ, ქექ, ლორდ, ყუყ, შიშ  
ჩამჩქერად,  
ცივიც, ძეძ, წეწ, ჭმუჭ, ხეხ, კოკ, ჯორჯ, ჰაიმისჭ ჭიერად.

\* \*

ცუდად ვიყავ და მომაგონდა, მთელი ანბანია სიავეს გარდა

ძოწ ტურფით ხშირ გჯპებნ ქმილდს უამზეც კი სპუვა  
სიავესა.

## სულხან-სახა ორბელიანზე

- 1 რაღგან დაშვრა ასე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,  
შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა;  
სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მევლო, გინდა მეცა,  
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღვლი, კიდეც მეცა.
- 2 სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,  
სამოცდაექვს წელს იკითხა, სთქვა: ვერასი ჭარ [მ]მარხველი.  
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი.  
და ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი.

## ყველის ქაბა

თოვლებრ სპეტაკი დაარღოს, ღვთისებრივ თვალებრ ბეჭრია,  
მათუსალასებრ დღეგძელი, მაგდანლებ მტილად მშერია,  
გლახაკ ლაზარებრ სნეული, ესავებ ფაჩენიერია,  
ყველად ნუ აგდებ, თუ ეს ჭირს, ლათინთა დაუწერია.

## ე პ ტ ა ფ ი ა

- 1 მე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად, ვქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი საღვურ-კამარა გებულად, ტფილისს სიონი ხელახლა შევძერძე ქანდაკებულად.  
ლა ჩემთვისცა სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად.
- 2 სტამბა მოვიდე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი, ქციის რუ ჩუნანს წავილე, გაღმითად მოვრწყე ველანი, შაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავსხი ყველანი, ესე მთა მოვინადირე, ვხოცე ირემი, შეელანი.
- 3 „სამართლის წიგნი“ დავსწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა, „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა, ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა. ბოლოს მიმილო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ-შვილობა.

## ჩერხებრ მგრენევი ლექსი

იმატა ასვათ ასეთი, ითესა თავსა ატამი.

\* \*

აბანა ერსა მოშიშთა: ათშიშომ ასრე ანაბა.  
აბანა დარად იღება: აბედი დარად ანაბა.  
აბანა იშიშ რამეთუ: უთემარ შიში ანაბა.  
აბანა არად აზედა: აღეზბა დარა ანაბა.

## ՅԱՅԻՆՅԱՀՈ

որո մօսօ տցալո—որո չերանո, ծոլոս մէյրելո,  
զիշլուպոծօս ժալոտ կացօս մ՛կանելո, ջուլչէ թ՛յերելո,  
վնաեց, մոյցասնո, սապարելո, հյօմօ տցալոս մյերելո,  
օմօս յշեռոտ Ֆշազս օս Ծյուրդա Հա՛յշերելո,  
արա, արա, օս ար արօս, մյ սապարելս ցունօծ մօսօ մներելո.

## პეტრ-ნასარისი

1. ვინ შექმნა არსი ყოველი, ნივთი და უნივთელები,  
სიუხვითა გვზდის წყალობით, არა აქვს გასაძნელები,  
რა არს ქარხანა ექვთი საცვიფრო, მიუგნელუბი,  
და ურწმუნოსა და მორწმუნეს როჭიკი უცდენელები.
2. თუ იწვრონი, მითქვამი ნათქვამი ფილასოფოსთა ბრძნობანი,  
სულისა შვების მიმცემი, ხორცისა გასამხნობანი,  
ბეღისა არად სახმარი, ცდისა და საქმის ნობანი,  
და ყრმათა და გამოუცდელთა ბრძმედულად გარდადნობანი.
3. სიბრძნემ მიმზიდა საამბოდ ამბავი საამბელადო,  
მინდა, რომ იყვნეთ შოყვასნი ურთიერთ უგმობელადო,  
შექმზადე რამე საზრდელი, არ სულა უგმობელადო,  
და თქმა ადვილია, მოყვასო, ყურთ თუ ხარ მომგდებელადო.
4. გილანის თემთა არეთა თვით მეფე იყო მჯდომარელი,  
ვითა წესია სოფლისა, დაბერდა არად მდომარელი,  
შვილს მისცა თავის მეფობა, განაგდო დაუდგომელი,  
და უბძანა ესე ანდერძი, რაცა აში ითქმის რომელი.
5. პირველ მისმინე ნათქვამი უჭირო, გაუძნელები,  
რაც რამ გინდოდეს სათქმელად, ანუ თუ იყო მქნელები,  
მისსა სახელსა ხალოდე, ვინც არის გამაგნელები,  
და არ დააცდინო მაღლობა, დღენი მოგხვდეს თუ ბნელები.
6. გინდა სიმაღლე აღსავლად ხარისხსა გასაღიდებსა,  
იცან საჭიროდ საცნობი, ესევდე დაურიდებსა,  
მონასა მისცა მცოდველთა, მსწრაფლ დღესა დაუბინდებსა,  
და ის უფრო მისცემს სასწორით დამშავეთ გასაქირდებსა.
7. სიკეთის ნდომას სიმდაბლე უცხოთ რამ გააძალებსა,  
ლვთისმოყვარენი ამითი გასტეხს ბასრსა და სალებსა,  
გული მდაბალი ცეცხლსა გაეს; ამპარტავანი—წყალებსა,  
და ზე სწევ, ქვე მოდის; ქვე დასწევ, ზეითვე მიდის ალებსა.

- 8 სოფელსა კაცი ამით იქს თავისა გამოჩენასა,  
 თავი არ რიღოს გარჯასა, სწავლისა აღმოცენასა,  
 ენა და ყური აცალე, კარგის თქმასა და სმენასა,  
 და თვარემ მიგზიდავს ბუნება, სათქმელად კაცის წყენასა.
- 9 ადგილს თქვი სიტყვა, ნუმცა ხარ უუამოვ რისმე მბოსანი,  
 უგემო იყოს, კარგიც თქვი წყენისა მიმცემოსანი,  
 იცი სამსალის უმწარე ენა ტკბილი და მგოსანი.  
 და წამლად უს უთქვამთ: რადა ხარ, რაცა არ გეითხონ ხშოსანი?
- 10 ხამსცა კაცსა ავ-სიტყვაზე, ყური ჰქონდეს ნარიდალი,  
 რაცა ჰყითხონ, კარგი უთხრას, არა რამე ნაცუდალი,  
 ლალობა და სალალობო, საამბობლად დასაცდალი,  
 და სასიბრძნო და სარჩეველი, არც მალალი, არცა მხდალი.
- 11 რა საშურია კაცისა სიკეთე, კარგ კაცობანი!  
 შენც შეეცადე, მისებრივ გქონდესცა მონაცობანი.  
 რამცა გამოვა შურისგან? მოწყენა, გაოცობანი.  
 და გაავდევ ცული წადილი, დაუყავ გამხოცობანი.
- 12 რა ნახო კაცი მდიდარი, მალალი, მალლა მყოფელი,  
 ნუ ბორგავ, ნუ გშურს, ხომ იცი, წარმავალია სოფელი.  
 რა მიუღია შენგამო, რადა ხარ გამაცოფელი?  
 და საჭვრეტთა ავად მჭვრეტელი თვალია დასაყოფელი.
- 13 თუ ენა კაცსა ატყუებს და გულსა დააჯერებსა,  
 მისაცემელი უფროსად აცდენს და გააჯერებსა;  
 მიკვირს, სოფლისა სიცრუვე ვით მისწევს, დანაბერებსა.  
 და რა მოსავალი მოვიდეს, ბრძენს უფრო გააშტერებსა.
- 14 რა კარგი ქნას უმეცარმა, მასვე წამსა დაინანებს,  
 არ იციან კარგი კარგს შობს, ავი ავსა მოიყვანებს,  
 მაგრამ ბრძენი ერთს არ სჯერა, ცდილობს მრავალს  
 მოსამგვანებს,  
 აქვს დაცდილი, წინ დახვდება, ერიდების შეუგვანებს.
- 15 ლხინსა და კირზე ორზედვე იპოვე კაცი მგნებელი,  
 მოგცეს წამალი, რომ უთხრა გულისა მოსანებელი,  
 ცულია ცულის მითხრობა, ქვენა საქმე გაუცნებელი.  
 და ლხენას ვერ მისცემს სნეულსა მკურნალი შეუგნებელი.

- 16 აფხა და კარგზე ნუ სწრაფობ მარტვილთა მიმდგომელისა,  
რად ხარ ამყოლი კაცისა საშულრად მომდომელისა?  
— მალ გაუზდების სანანად მას მისის სანდომელისა.  
და რა გაეწყობის აფხ სიტყვას?—მოთმენა მომთმენელისა.
- 17 გიყოსმცა კაცმა სიკეთე, ანუ ბოროტის წილები,  
აცალე ბევრხან, სიავეს შეექმენ დანარბილები,  
მალ მიეც კარგი, სიკეთეს არ გეჭნას დანაცილები;  
და ნაცვალი მიხვდა მრავალთა, ვინ ნახა დანაბილები.
- 18 ბრძენს უთქვამს: არა სიმდიდრე, არა სიკეთის ქონანი  
არ შეედრების სახელსა მისი, ეისა აქვს გონანი.  
მსხემნი ნატრობენ მნახავა, სწადან, რომ იყვნენ მონანი,  
და ქება დარჩების ბოლომდი არასი შესაწონანი.
- 19 ვერ იცნობ კაცსა, არ იცი ამბავი ნაუბარისა,  
მიეცე, რასთვის ენდობი საქმესა დასაბარისა?  
ენა თავსაცა არიდე, თუ ნახვა გინდა დარისა.  
და ენა უბრალოდ შეტყველი კაცს მისცემს დასაბარისა.
- 20 სიკეთესა და ნამუსსა ვერა სჯობს ტანსაცმელია.  
უგვანთა მორთვა, შემკობა უნათლოა და ბნელია,  
აფგულობისა სანაცლო სხვა მტერი რა სათქმელია?  
და მოყვარეც მტერად გაუდგეს, ეს მიკვირს, რა საქელია!
- 21 ქებნა არ უნდა სწავლისა დღესა, დროსა და უაშებსა,  
კვლავ შევეცდები, რად უბრობ, გულისა დასაამებსა?  
არ დაისწავლოს ერთიცა, ნუ გამოუშვებ წამებსა.  
და რა სახმარია, სოფელში, კაცი გიძახდეს ხამებსა?
- 22 თუ არ ახლავხარ ბრძენსა და კარგს ვისმე გონიერებსა,  
ხელთაგანც ბევრსა ისწავლი, რა ექმნა შესამზერებსა:  
რასაცა ავსა იქმოდეს, შენ ნუ იქ მის უშვერებსა.  
და ავსა არა იქ, კარგის მეტს ვერას იქ ვერას ვერებსა.
- 23 მტრისგან უფრო დავისწავლე, მეფე ბძანებს მაკიდონის,  
მით მოყვასნი მიფარევდენ, მტერნი მზრახდენ მაკიდონ ის.  
შე ნაძრახსა დავერიდი, უფრო ვმწვანდი მაკიდონის,  
და მტრობის იშნმა კარგი მომცა, ავი ჩემი მაკიდონ ის.

- 24 რა შეიქნები მოყვსისგან უფრო სიკეთის მდომელი,  
მეტად იწამებ სხვისასა, იქნა უმჯობედ მდგომელი,  
ცდისგან იქნების ყოველი, ვინც კარგზედ არის მშრომელი.  
და არა ჰქნა შენი სოფელი უშვერად გარდამხდომელი.
- 25 გარჯისა დარიდებისგან, ნეტარ, რა არი უარე?  
საქმეს და შრომას ეცადე, თავსა ამითი უარე.  
სიკეთის სწავლას წაუხდენს, ვინც არი ცუდად მოარე,  
და სახელის ვარდი კოკობი ვერ პჰოს მოსაპოვარე.
- 26 ურცხვი დაპკარგავს ურცხობით ორსავე საქებელებსა,  
მორცხვი მორცხვობით წაახდენს სახელსა საამბელებსა,  
თავთავის დროსა მოიშვის ორივე მოსამკელებსა.  
და ვაქებ სიავის მორცხვესა და სიკეთის ურცხვენელებსა.
- 27 შენს უკეთესსა გაეწყევ, იყავ მასთანა მხლებელი,  
ხარ რაცა მისგან უკეთე, მალ შეიქნები მგებელი,  
ეს ორი არი კაცისა საქმე რამ შეუქებელი:  
და სირბილე ყველას საბრიყო, სიძვირე არვის მრგებელი.
- 28 ბრძენს ვისმე უთქვაშს: დამძრახვენ, თვარაშ ჩალმიძეს  
თხრობანი,  
არა არის რა ქვეყანად, რომ არ ვიცოდე ხრობანი;  
ნუ მოჰკვებ, ნუცა გონია, სხვას ჰქონდეს შენზე მხრობანი,  
და დაგძრახავს მისი გამგონი, არა აქვე მოსახმრობანი.
- 29 კეისრის ელჩისა ხოსრო-შამ ვეზირის უთხრა ქებანი,  
ეგონა, ისიც იტყოდა: „სულ ქვეყნისა ვაქვს გებანი.“  
ელჩის უქან უთხრა: „რად არ სთქვი «მაქვს ყოვლის ცოდნის  
ბრძნებანიზ»  
და „ქვეყანად არვინ შობილა, ვით მეძლო თქვენს წინ გნებანი.“
- 30 მართალს იტყოდე, ნუ უბნობ ტყუილსა წესად უდებსა.  
სულ ტყუილი სჯობს საუბრად, მართალი გვანდეს მრუდებსა,  
ვის შეემცნევის მსმენელსა, გულსა ვერათი უდებსა.  
და ბევრს მართალს ერთის ტყუილის გარევა გააცუდებსა.
- 31 მეფე ვინმე ჯდა შექცევად, ბრძენი ჰყვა გვერთა მხლებელი,  
სიტყვას უგებდენ ერთმანერთს სიტყვისა გამახლებელი;

- ბრძენი ჰყადრებდა მეფესა: „დღემცა გაქვს დაუკლებელი,  
და ქარქანსა ვიყავ, მუნ ვნახე ამბავი უცილებელი..
- 32 სოფელი არის მთის ძირად თვალის სიწმიდის მძლეველი,  
წყალი გამოდის მის მთილამ ახლის სულისა მძლეველი;  
რა ქალნი წავლენ მოლებად, წინ უძღვის გზისა მკვლევილ,  
და პიაა შწეანე, რა ნახავს, გარდაგდებს გზიდამ მლეველი.
- 33 თუ დარჩა გზაზე, უწადად ვინც არის მაზე მარენი,  
ვინც ფეხს დაადგამს, მოკულება, წყალი გახდება მწარენი;  
წყალი ქვე უნდა დასსან, რა ნახონ შესაზარენი,  
და ჭურჭლები სრულად დარეცხონ; აისონ, ვლონ იგივ არენი.“
- 34 რა ესმა მეფეს, უწყინა, მან ბრძენმა გავლო კარები.  
ბრძანა: „რასათვის იყადრა ეს სიტყვა დასაზარები?“  
მან განჯით წიგნი მისწერა იმ სოფელთ სიტყვა მდარები:  
და „მომწერეთ ამის სიმართლე, ვინც იყოთ მანდა ჯარები..“
- 35 რა მოუვიდა, მოართვა, რაც მათვან. მოეწეროდეს.  
ჰყადრა: „თქვენს წინა ტყუილსა როგორ ვიტყოდი შე როდეს?“  
უბრძანა: „ტყუილს არ იტყვი, მაგრამ ზე შეემზეროდეს.  
და ასეთს მართალსა რას აქნევ, უმოწმოდ არვინ სჯეროდეს?“
- 36 ენისგან არის ორივე: სიტყვა. ტკბილი და მწარენი,  
მტერს გაამოყვრებს, მოყვარეს გაამტრობს დასაზარენი,  
გვიმოვა მცირე წინწეალი, სულ დასწევს არე-მარენი.  
და პირმანვე წართქვას სულისა და ხორცის მოსახმარენი:
- 36 კბილი ჩასცვივდა სიზმარში, ხალიფა სჭერეტდა მძინარი,  
ბრძენი მოიხმო ამხსნელი, მას უბრძანებდა მწყინარი.  
„შენს უწინ ამოგიწყდება—ჰყადრა—მოყვასი ვინ არი.“  
და არგნით გალახა, გააგდო, დაჭმუნდა გაუცინარი.
- 38 კვლავ სხვა მოიხმო, უბრძანა, იგივე განსახმობარე.  
ჰყადრა: „მეფეა მოყვასთვან დლეგძელობითა მჯობარე.“  
ასი უბოძა წითელი. ბრძანებს პირველის მგმობარე.  
და თუცა თუ ორთავ ერთი თქვეს, ეს უკეთ იყო მბობარე.
- 39 სარჯლის მომცემსა განუდევ, სანანსა წარსათქმელებსა,  
რა საწყენია უბნობა, რად გულსა გაგიცხელებსა?

- არას გაწყენს და ბევრს გარებს შით ნახავ დასაცდელებსა, და დაისწავლიდე სიტყვებსა თავისა დამაცველებსა.
- 40 კაცს რის დატევა შეეძლოს აგებულების წესითა  
იმგვარი უთხარ, აამე ქვენათი, გინა ზესითა.  
გასინჯე სიტყვა, ისე თქვი, არ მოგხვდეს დასაკვნესითა.  
და სიტყვა წაახდენს და სიტყვით გახდება მზე უმშესითა.
- 41 ვერ დაისწავლის მის მეტსა, რასაც არ გაიგონებსა,  
ჩეილი აღზარდო ერთ სახლში, რომ გვანდეს ვარდის კონებსა,,  
ვერ ნახო, ვერცა ისმინო, უტყვად გაუხდის გონებსა.  
და გამოუცდელი გონება თავს მტერსა დაამონებსა.
- 42 მეფეთგან კარგის ბრძანება გააყრმობს კაცსა ბერებსა,  
გულსა ვარდულად გაუშლის, მუსიკებრ აამლერებსა,  
თვალს მისცემს მზეებრ ნათელსა, მხედველთა გააშტერებსა.  
და სიტყვისგან ბუკრი გამოვა, ქვენას იტყვი, თუ ზენებსა.
- 43 ნოეშირვან იყო პირველად, სპარსთა თემისა მპყრობელი,  
საფლავი იყო იმისი ყოველგან გასახმობელი,  
ნახვა იწადა ხალიფამ, იყო ბალდიდის მფლობელი,  
და ცხენი ქოხოვა, მოართუეს, მიგა ხოფლისა მგმობელი.
- 44 მივიდა, ნახა ერთის მხრით კელელზე მინაწერენი,  
ბრძენი იახლენ მრავალნი, იგ მისი შენამზერენი;  
თარგმანი ბრძანა, უთარგმნეს, მიართმენ ფეხთა მტევრენი.  
და ეწერა რამე ანდერძი საამბოდ გასაშტერენი:
- 45 ჩემს სამართალსა აქებდენ, სანამდი ვიყავ, ყოველი,  
მალ იყვნენ სამსახურისა, უხვად მიზდისა მპოველი;  
დავსწერე ესე, რა მოდგა ჩემზედა ყოვლთა მძოველი,  
და ვინცა მნახვდენ, სანაცლოდ ეს ჰქონდეს მოსაშოველი.
- 46 ცხოველსა მყვანდენ მორჩილნი, მაღრიელ, მაქებარენი,  
აწცა მწადს იყვნენ ჩემისა კარგისა მოამბარენი;  
მაშინლა ვიყავ უნჯითა გულისა მომგებარენი,  
და აწ სწავლითა მწადს, ისმინეთ, ამბავი მოამბარენი.
- 47 ზედან ეწერა პირველად საფლავსა, მისსა ვანებსა:  
კვლავ რატომლა იქს, ვინცა იქს, ერთს რასმე დასანანებსა.

- მეფეთ წინაშე მდგომელსა და ახლო მინაყვანებსა  
 და სიუთხილე უხამს დიადი, არ დასცდეს შეუგვანებსა.
- 48 მოყვასს ნუ ეტყვი, რაც გწადდეს, მტრისათვის დასაფარავსა,  
 ავს ჰყიდი, ავსა იყიდი, მოსავლად დაუზარავსა,  
 სიკვდილი უჯობს ავ კაცთა, პურის ჭამითა მხარ ავსა.  
 და ნულარ შეხედავ იმ თვალით გლახაკს სვისაგან მხარავსა.
- 49 ნუ გინდა ავი ჩაცისა, თუ გწადს მოყვასთა ჯარები,  
 აცისთვის ავსა რად უზამ, გინდა მტრის მოსახარები?  
 თუ სხვის ფარდასა არ დახევ, არც შენზე გაიმწარები.  
 და რადგან შენ შიში არ გინდა, უწყინად იყავ მარები.
- 50 სინანულს რიდობ, გააგდე გულის ჯავრისა ნებანი,  
 შენ გასტეხ შენსა ნათქვამსა, სხვამც უყოს გაცულებანი;  
 ულხენსა ჭირსა შემოგურის, უმეცრის ბაასებანი.  
 და სასჩენად საწყინარია უგვანთა სიტყვის გებანი.
- 51 უხვად მისცემდე, რადგან გწადს მყოფობა კაცის გულებსა,  
 ნამუსი შორად დარჩება ენაგძელს და უსულებსა.“  
 გათავდა მისი ანდერძი, რაც ეთქვა ნაუსულებსა.  
 და შენდობა გმართებს შსმენცლსა, თუ მიხვდა მისსა სულებსა.
- 52 სიყრმეს ისწავლე, ხელთ დაგრჩეს, რა წავლო ერთ ხანები,  
 ყრმათ უარესად გამოჩნდეს ბერი უსწავლთა მგვანები;  
 ლხინსა და ჭირსა უზარო, ბრძოლასა მბრძოლი ყრმანები,  
 და უხვი სამღოთო და ზნესრული, სიკეთით მონავანები.
- 53 ბერთა და ყრმათა ეს არი განყოფა, განთვისებანი:  
 ბერთა ყრმის საქმე არ ძალუც, სჭირს სოფლით დაკვნესებანი,  
 ყრმათ მხცოვანთ დაცდა არა აქვს, საწუთოს ესე ებანი.  
 და გულსა ამაყად გაშლილსა, სილალით მიხედეს ესებანი.
- 54 ყრმა სძრახავს ბერსა სისუსტეს და მისი მონატრელია,  
 მისწვდა ის მისსა საწადსა, შენა გწადს საყვარელია.  
 ნულარ ნუ აწყენ საწყენსა, სოფელი არი ტრელია,  
 და მოვა შენზედაც, თუ გასძელ, ფერი თეორი და ჭრელია.
- 55 ბერსა ასის წლის მოხრილსა ყრმა სკვრეტდა მოცინარენი:  
 „ვინ შოგუა მშვილდი—ეტყოდა—მაგ რიგად მონახარენი?

შეცა ვიყიდო, მასწვალე, საჩემოდ მოსახმარენი.“

და თქვა: „ჰქუით იქეც, ვინც მომცა, შენც მოგცეს გასახარენი.“

56 ბერს-კაცს ერიდე უცებსა სახლებად, საამბელადო,  
ბევრით სჯობს მოყმე ამისთვის, საქმე აქვს გასაძნელადო.

რაცა არ იცის, მის შეტი არ ძალუცს სხვა სათქმელადო.

და ყრმა სწავლის ელდს, თუ რამ სკირს სიყრმით და დაუცდელადო.

57 ორმოცის წლისა გამოსელა საწყენსა გაამრავლებსა,  
ორმოცდათი, სამოცი, კაცს გამნიდის შესაბრალებსა;

რა ოთხმოცისა შეიქნას, გზას ვეღარ გაიკვალებსა,

და გაეს პირალმართზე ასულსა, თავდალმართ ჩამავალებსა.

58 თუ მეფე იყო, იყავმცა მეფობის შემაფერები,  
თვალი და ხელი დაკრძალე, სიავის მოსაგერები;  
გულად არჩიო სიკეთე, მერმელა სცნობენ ერები.

და განაგდე უქმი სათქმელი, არაში დასცერები.

59 მოკლე და კარგად ნათქვამი გულს გაახარება, გონებსა,  
კარგს ყური უგდე, აესიტყვას ერიდე მოუწონებსა,  
გლახაკს და მდაბალს პატივეც, მისცემდე შესაწონებსა.

და რად უგვიანებ წყალობას სამსახურისა მქონებსა?

60 ნუ ხარ სიმართლის მოზარე, ნურცა სულ მარტო მჯდომარე,  
მას მეფესავით არ მოგხვდეს, ვინც იყო ამის მდობარე:  
ჯდა მეფე ვინმე უშაულო, ყოველგან ხელის მწდომარე,  
და სამუდმოდ იჯდა მხეველთან ფეხისა გაუდგომარე.

61 მოხელეთაგან შესჩივლა ქალმა ქვრივობით მყოფელმან,  
ბრძანება მისცა, უსაჯონ სამსჯავროშია მფლობელმან.  
კვლავე შესჩივლა მეორედ ბედისა დამაგმობელმან,  
და უბრძანა კიდევ ბრძანების მიცემა გაუგნებელმან.

62 ჰკადრა: „ძოლანცა მიბოძე, არა ქნეს გასაგონელად.“  
„მეტი რა გიყო მაგისგან უმჯობე მოსაგონელად?“  
წამალს გასწავლი—შეჰკადრა—არ მექვნა გასაწყრომელად,  
და რა ერთის მოვლა შეგეძლოს, იმთენს თემს ექმენ მქონელად.“

63 რა მეფეს ესმა, ვანითოხო ვითა მქინარმა ძილადო,  
იგ მოხელენი დახოცა, მისცა მათ მათსა წილადო;

- ქვეყანა სრულად დაწყნარდა, აღარვინ იყო მცილადო.  
 და ამად არა ხამს მინდობა ვეზირთა დაუცილადო.
- 64 მეფეთა ცოტა გაცემა უკადრად დასამშერია,  
 არ უნდა ბძანონ სიტყვითა ცოტა რამ დასაჯერია.  
 რა ღვარი აღტყდეს, სულ მორწყოს ტყე, მინდორი და სერია.  
 და ასე ხამს მათი სიუხვე, ყოველგან დასაწერია.
- 65 ერთს მეფეს ვახლდი რვას წელსა, სამი რამ სჭირდა სრულადო:  
 ორას ფლურს ქვეით არ გასცის რაც რამე გამოქრულადო;  
 კბილს არ იჩენდის სიცილში, ეთქვათ რამ საცრულადო;  
 და ვერც ვნახე გაჯავრებული გინების აღმასრულადო.
66. არ არი წესი მეფისა, ყმით იყოს დანამთვრალები,  
 მტერს დაფარულად მტერობდეს, ჰქონდესცა დიდი ბრალები.  
 პირისპირ ძალუც საქნელად საქმენი დაუმცრალები,  
 და უკადრისია დიადად ქურდობით განამწყრალები.

### თქმა ხელმწიფეთა სამსახურისათვის

- 67 ხედავთ, ტრფიალნო, გამოდით გაზაფხულისა არესო,  
 ვარდსა ლახერისა მსობელსა, რომელს მიჯნერსა არ ესო;  
 ყვავილსა ფერად-ფერებში ეს-თუ არავინ არესო,  
 და იმას უამოდ რას ვაქნევ, სამსალის უფრო მწარესო?
- 68 აშ გაგიცხადო მსახურთა, მეფეთა სამსახურისა,  
 რაზომ მიგწიოს, შორ დადეგ სასურსა მოსასურისა;  
 იყავ ბრძანების მორჩილი მძლავრისა, უსუსურისა,  
 და სიფთხილით მონე დღითი-დღე, მატებდე დასაშურისა.
- 69 ხელმწიფეთაგან რა მოგხედეს პატივი განალიდები,  
 მაშინ ეკრძალე უფროსად, შიშობდე მონარიდები,  
 თუ ავი რამე ურჩივე, შენც შალე ჩამომცირდები.  
 და მტრის მორევისა არმდომი სიცრუვეს გაუფთხილდები.
- 70 არად ვარგა კაცი იყოს მეორისა ვისმე მძრახლად,  
 სხეისა ვისმე საქონელი ნამალევად მისდეას სახლად,  
 უთხრას რამე ავი სიტყვა ნაძველევი განაახლად,  
 და მოგაშორებეს ამგვარები, ვეღარი ჰქნა დასამძხლად.

- 71 ბრძნოთა სიტყვა, მეფეთ წყრომა ნუ გვინია სალალობი,  
ცოდნა კაცსა გაათარხნებს, ზღუდე არის მოსალობი.  
ზუთი უნდა თარხანს სკირდეს შათის გულის დასალობი:  
პირველ ესე — თვალი, ყური, გულიც მათგან მოულობი.
- 72 ეს სამი პქონდეს მუდამად ხელმწიფეზედა მზერელი,  
ამ წამ რა ბრძანოს, რა სწადდეს, რისაცა იყოს მჟერელი;  
შეორედ — იყოს შვენებით მხატვართა დასაწერელი,  
რომ არ შესძულდეს ნახვაზე, არ ექნას შიწყივ მზვერელი:
- 73 მესამედ — მეფეთ წინაშე საჩენი ყველა რამენი,  
წიგნი, შაირი, კაი ხმა, ხუმრობა სასიამენი;  
ვარსკლავთორიცხვა და გამოთქმა მისი რამ შესაწამენი.  
და წადილისებრივ იქმოდეს, როს იყოს მისი უამენი.
- 74 მხედრად ვარგიყოს, სამხედრო იცოდეს ყოვლი ზნენია,  
ლაშქრობის დროსა სალაშქრო, რაც მისი გასაგნებია,  
ნაღირობისა რაც არი წესი და შესამცნენია,  
და არ დარჩეს უკან საქმეში უცოდნი, უამენია.
- 75 რა ხელმწიფე ლავის წინა იჯდეს, ახლდეს არავინ და,  
მას შეეძლოს გარიგება, წესი ნუმცა დაუცვინდა,  
რჩევა ჰქადროს, რა უბძანოს: „ესე საქმე ასე გვინდა.“  
და კარგი პქონდეს სამუდამოდ, არაოდეს შეუძვინდა.
- 76 უნდა იცოდეს მეჯლიშის წესი და მართებულები,  
იმ ვეზირსავით არ მიხვდეს სიქმენი დაკარგულები:  
იჯდა ხელმწიფე, გვერთ ახლდა ვეზირი მიაბლულები,  
და შეღვინები გაასხა, მით გაიხაროს გულები.
- 77 ვეზირმა მთვრალმა რა ნახა, თვალს უხამს, შენამზერობსა,  
მეფემ რქვა: „თვალსა რა გიჭირს, რომ აგრე განაჩერობსა?“  
„მეცა არ ვიცი — შეჰქადრა — რას მივხვდი გასაშტეროსა.“  
და აქვს თვალი მრუდად მზერელი თავის თავისა მტეროსა.
- 78 სიკვდილამდე ეგრე პქონდა მას უცებსა თვალი მზერად,  
ვერ მოშლიდის კაცთა წინა, მდგომი იყო ანუ მწერად,  
ამით მორჩია რისხვისაგან, სასიკვდილოდ დასაჭერად.  
და კაცს გაუხდის აჩქარება დღესა მისსა დაუბერად.

## თქმა მღიერანთათვის

- 79 ძმასა რა არგო, სად ემწო, ანუ თუ დასცა დარია, ანუ სოფლისა სიმდიდრე, ბევრს ვისმე დასცა, დარია, უნ მორჩა სიმუხთლისაგან, არავინ დასცა დარია.  
 და ბოლოს ყოველი მუხთალმან ანაზღად დასცა და რია.
- 80 მდიერანს მართებს ყოველი ენა საცოდნელად, დასაწერად, სიტყვა პერნდეს საქელმწიფო შესაკადრი შესაფერად, ცოდნა სრული უნაკლულო სასაქმოში დასაჯერად, და მეჯლიშსა და ლალობაში მშვენიერი სამზერელად.
- 81 ჯდომა, დგომა და წადგომა, თავაზია საქებელები, ტურქე მწერალი, წერილი საამოდ სასმენელები, რა წიგნის თავი ამოსცნოს, ბოლოც სცნას საამბელები, და მალ პოოს მისი პასუხი საქირო, გასაძნელები.
- 82 მეფემ მისწერა ერთს მეფეს ამბავი შეუგებელი: „პაერზე სახლი-სამყოფი ჩემთვის ქენ ასაგებელი, ვერა ქნა, თემი მიბოძე ჩემის თემისა მხლებელი, თვარემ გაახლო ლაშეარი საბრძოლად შეუძლებელი.“
- 83 რა მივიდენ მოციქულნი, მეფეს პკადრეს დანაპირი, თავდახრილი იგონებდა, ვეღარ გახსნა სათქმლად პირი; პკავა მდივანი სიბრძნით სავსე უკიდური, უნაპირი, და პკადრა: „ხანი დამაცალე, მასვე მივსცე მისი ჭირი.“
- 84 კელავ გააბრუნეს დესპანი, შესთვალეს, მიუწერესა: კალატოზებსა გაახლებ ხანს უკან დასაჯერესა.“ რა ის წავიდა, მდივანი შეუდგა მას სამტერესა, და გასწვართა ოთხი არწივი ზესთა ამსვლელად ჰერესა,
- 85 სამი ზედ შესხა ყმაწვილი, ამა სიტყვისა მხმობელად: „მოშეც კირი და აგური ჩქარ-ჩქარად დაუკლებელად.“ რა გასწვერთა, თვითცა წავიდა, იგიც თანა პკვის მხლებელად მივიდა მათსა ადგილსა, პირობას უცილებელად.
- 86 პკადრა: „გაახლოთ მეფემა პაერზე სახლის მგებელი, ხვალ ხელსა მივყოფ აგებად, თუ მეფე აჩი მნებელი.“

- უბრძანა: „კარგი იქნება.“ ჰკვირობდენ გაუგნებელი.  
 და ჩა მზე აღმოპხდა, მეიდანს გავიდა უყენებელი.
- 87 აუშეა იგი არწივნი, ყრმანი ზედ იყვნენ. მჯდომელი,  
 ჰაერთ სიმაღლედ ავიდენ, ჰკვირობდენ მუნა მდგომელი.  
 ყრმანი მას სიტყვას იძახდენ, რაცა ესწავლა რომელი;  
 და გაცუდდენ, რადგან უერ მისცეს მას მისი მოსანდომელი.
- 88 ჰკადრა მდივანმა: „უბოძეთ, მასაღა მოსახმარენი.“  
 მათ ვერაფერი ვერა ქნეს მისაწდომ, მისაკარენი;  
 გაშველდენ, დადგენ თავისთვის, გული დაუტკბათ ჩწარენი,  
 და მდივანს მრავალი უბოძეს, მან წავლო მისვე მხარენი.

### თხრობა ვეზირთათვის

- 89 თუ აქვს სოფელსა სიმაღლე ზეცამდი მისაწრომელად,  
 ბოლოს დაუშვებს ძლიერად ქვესკნელაუ ჩასახდომელად,  
 საჭვრეტლად გახდის საბრალოდ და არარისა მდომელად,  
 და თორი გაწყდება რჩევისა, მისაწდომ, მისახდომელად.
- 90 ჩა როგორ ღირს, რიცხვთა ცოდნა ვეზირთა მოსახმარი,  
 ხელმწიფეთა ქვეყა-წესი არა მართებს განამხმარი,  
 ქვეყნის მოვლა, გარიგება, რაც უჯობდეს მოსაქმარი,  
 და მეფეთ წინა მართლის მთქმელი, უტყუარი, უუქმარი.
- 91 შეშას არ გამოიმეტებ, მწვადი დარჩების უმაღო,  
 კარისკაცს ხელს ნუ შეუკრავ ცხადად და დასაჩუმიდო.  
 თუ რასმე სქამუეს საჭმელსა საჯაროდ, ანუ მდუმაღო,  
 და ორის თითოთა იხმიოს, არ დარჩეს გასამგუმაღო.
- 92 ვით იშცუოდეს მეფესთან, ჯარში ხამს აგრე ქცევანი,  
 ნუ ეძებს ცოტას საძებასა, უფრო მიხვდება ჩევანი.  
 ქბილს დანარჩომშა საჭმელმა მუცელს ვერ მისცეს წევანი.  
 და სარგებელს ექნას სასწორით ზიანი, დაშაძლევანი.
- 93 გწადს რადგან მეფეთ მოსავლის სიმრავლე, შემატებანი,  
 რუ გამოიღევ უშენთა, უყავ ზე აშენებანი;  
 მეფისგან საზღოს ნუ უჭრი, რაზომცა გქონდეს ნებანი,  
 და ლმეროს შესტირებენ, არ არი ერთგულობისა მცნებანი.

- 94 ხელმწიფებ ვინებე წაართვა ვეზირსა ვეზირობანი,  
უბრძანა: „მთხოვე ადგილი, გქონდეს ნებისად პყრობანი.“  
ჰკადრა: „ნასოფლის ადგილის მიბოჭეთ საურობანი.“  
ბრძანა: „მოსძებნეთ, მიეცით, იწალა უფერობანი“.
- 95 სძებნეს და ვერსად იპოვეს მას თემსა ნასოფლარები.  
„სამეფოშია არ არი—ჰკადრეს—მაგეარი არები“,  
უთხრა ვეზირმა: „არც მე მწადს სანაცვლოდ მაგის გვარები,  
და ასეთს კაცს მიეცით ქნას მანცა მონაბარები.“
- 96 რა ეს ცნა მეფემ, ვეზირთან ბოლიშის მომთხოველობდა,  
ვეზირობაზე სხვაც ბევრი მისცა და მიამთვლელობდა.  
სჯობს საჭმის სწორად დაჭერა, სიმრუდით რათა მელელობდა?  
და სჯიდე წყალობით, გასინჯვით, ნურავის გულსა მწველობდა.
- 97 მშვიდობა გინდა მეფისა, შიში გქონდეს და რიღები,  
რა გინდ რომ იყოს ყმაწვილი, დამდაბლდი, ნუ ედიდები.  
იხეის ბარტყს სწავლა არ უნდა ცურვისა, არცა ხიდები.  
და აგრეთვე მეფეთა ნაშობმა იკიდოს ასაკიდები.
- 98 რადგან ასეა, შეგიტყობს როსცაა კარგს და ავებსა,  
მოგავებს შენსა პასუხსა, ნაქნარსა, ნასაღავებსა;  
სადაც წავიდენ მეფენი, ნუ შორავ მოსაღავებსა,  
და თვარემე მტერი გიპოვნის დროს რასმე გასათავებსა.
- 99 კაცს რომ შის სარგოდ უნდოდეს ჭაქმეში განარეობა,  
სხევა არვინ უნდეს სამყოფად, რომ ეძლოს გასამხრეობა,  
იპარევდეს და სხეისა რამ თავისად ჰქონდეს მრეობა,  
და მეფეთ სახელსა წაახდენს, თემს მისცეს ჭირის მდრეობა.
- 100 ამგვარნი გვანან, უდენს რუს წყალი ჩაუგდო მდენადო,  
თვითონ შეისვამს, არ უშვებს ცოტა ჩავიდეს ქვენადო,  
ნადენს რუს მალე გაივლის, ჩქარა და მოუწყენადო,  
და მით მაძლარია სისველით ძირსა, ბოლოს და ზენადო.
- 101 სპარსთ მეფემ ერთს კაცს უბოძა სამთავროდ სამარყანდია,  
რა მუხლს აკოცა მან კაცმა, ჰკადრა ეს შეუგვანდია:  
„რაც სამსახური მიბრძანო, დანიშნე, გავიყვან დია.“  
და უბრძანა: „პასუხს გიბრძანებ, აცადე, აქა მყვანდია.“

- 102 პასუხად გამოუვიდა: „სახლს იყავ ერთხელ მჯდომარე.“  
 მისი სახელო სხვას მისცეს, ის დარჩა განამწყრომარე.  
 რა წელი წარხდა, მოიხმო, წარდგა წინაშე მდგომარე,  
 და უბრძანა: „პასუხს აწ გეტყვი, რისაცა იყავ მდომარე.“
- 103 არ მართებს მეფეს, რომ იყოს მტკუანი, შეუძლებარი,  
 ხმლით აძლევს მტერსა პასუხსა, ყმათაა ურცხვად მგებარი,  
 შენ რატომ მკადრე ეს სიტყვა უკადრი, შეუქებარი?  
 და აწე სცნა, რომე არა ვარ ულონო, შეუგებარი.“
- თქმა სპასაღართათვის:
- 104 რა ხანი წარვლის, გარდავა სახელიც სახელოვანი,  
 იგივ უფროა სიგძითა სხვისაგან გასაძლოვანი;  
 რადგან არა რა დაგვრჩება, ესევ სჯობს ძალგულოვანი,  
 და მიკლევდეთ მასვე სახელსა, შევიქნათ დასავლოვანი.
- 105 ზემრძოლს მართებს ქალწულება, არ შეუშვას სიძვა გულად,  
 არ უნდოდეს მოსვენება, გარჯით იყოს დადაგულად,  
 გართ აგრძევე მორჩილება არ მიაჩნდეს მისა წყლულად,  
 ნუ იქადი მამაცობას, თუ არა გვირს ესე სრულად.
- 106 თუ გწადს, რომ იყო სპასპეტი, იყავ უხვი და მძლეველი,  
 მოლაპქრენია საშენოდ სულისა დამალეველი,  
 შენ რატომე გშურს წყალობა, რად არ ხარ ამის მკვლეველი?  
 და რაც არ დასთესო სათესში, ვერ ჰპოო მოსაძლეველი.
- 107 რა საქმე აღარ მოგეშვას, უკან ნუ სდგები მშიშარი,  
 აღრე სჯობს მტრისა დასწრება ყოველი შესამუშარი,  
 რომ გომზადებდეს ვახშამსა, სადილად შექენ მქუშარი..  
 ცდითა და მოქირვებითა მოგეცეს დასაშუშარი.
- 108 ომსა სისუსტე არ უნდა, თავისა დამზოგაობა,  
 არ მოგხვდეს საფლავის მეტად მოსვენებისა მგაობა,  
 ნუ მოისცენებ ცოცხალი, ნუ შეგდგამს არამგაობა.  
 და ან სახელი ჰქენ, ან მოკვდი, ცუდია სხვა იგაობა,

## თქმა სტუმართათვის

109 ყვავილს სიცხე ააყვავებს, ყინვა დასძრავს, დაამჭვნარებს,  
აგრევ კაცსა ეს სოფელი ბოლოდ ჭირად დაამთქნარებს,  
ვერ გაიტანს მოსახმარსა, თუ არ კარგის ნასაქმნარებს.

და პატივი და სიყვარული სულ აღმოფხვრის ეკალ-ნარებს.

110 დია ხაშს სტუმრის თავაზა დახდომა, გულის ჩვენება,  
ყმა იყოს, გინა უმცროსი, პატივით მართებს სსენება,  
ზვედრება არის, თუ უთხრა ეგეთი გასაწყენება:  
და „უკაცრავად ვარ, ვერ დაგხვდი, ვითა მწადდა და მენება.“

111 შესწრაფება ლხინს ვერ ნახავს ამგვარის სიტყვის სმენითა.  
მასპინძელს მართებს სტუმარზე საქმით, სიტყვით და ენითა—  
მდაბალი მალლა ასწიოს სიტყვითა მოუწყენითა,  
და უშურვლად მისცეს, რაც სწადდეს, საქმითა შეუქენითა.

112 ბასრა უბოძა ერთს კაცსა მეფებ არაბთა მფლობელმან,  
მრავალი მეფეთ ხაზინა შევამა დასაგმობელმან,  
რა სცნეს, მოიხმეს, უბრძანეს: „რასთვის ჰქენ მიუნდობელმან?“  
და „ანგარიშშია დატყუდა“—თქვა მწუხრად გაუგებელმან.

113 ოვე ერთი სთხოვა, მაცადეთ, თქვენსა მოგარომევ სრულადო,  
მათ მოუსმინეს, გაგზავნეს თვით სახლსა შენახულადო;  
რა თვე გათავდა, მოიხმეს, სთხოვდენ სულ უნაკლულადო.  
და თქვა: „სრულად მომიროვევია, რაც იყო ჩემზე თქმულადო.

114 თეთრი არ მოგეც, თვე არის ვარ სახლსა შენსა მჯდომელი,  
პურის ცოხნამა შემიქნა კბილები დაუდგომელი.“  
რა მეფეს ესმა, იამა, სტუმრად ყოფილა მცხრომელი.  
და სტუმარს. სხვა მეტი რა ვკადროთ, მივართოთ მოსანდომელი!

115 მით აპატივა ყოველი, სტუმრად რომა თქვა თავია,  
ჩაროვინა ერთპირად, რაც ჰქონდა დასადავია,  
წავიდა სახლსა მშვიდობით მაღლობის გამათავია.  
და ვინც მასპინძლობა არ იცის, რისაც თქვათ შესართავია?

## თქმა სიყვარულისათვის

116 მღეთით, სვემან და მოქირვებამ წარიმართ ამა სამა,  
ერთმა სოფლის მოსავალმა ცუდათ რამე ამასამა,

აწ გამხადა სოფლის მგმობლად. ჭირმა ჩემა ამ ასამა.  
და ვერეინ ჰპოოს სოფელშია სამბობლად ამას ამა.

117 ნახეთ, მოციქულთ წერილი სიყვარულს როგორ ზრახებსა!  
თეით მას მოქმედს და უქმედსა სიყვარულს დაასახებსა,  
ამით გვაქადის მოჩჩენას მას ძნელსა დასახებსა,  
და თავსა დაგურავს გვირგვინსა თვალთაგან დაუნახებსა.

118 გიყვარდეს ასე მოყვასი, რაცა გწადს შენ საქნელადო,  
მტერი იყოს; თუ მოყვარე, მეტი ნუ გინდა ძნელადო;  
ნუ საქმით, ნურცა რჩევითა, ნურც სიტყვის გამომთქმელადო  
და სხვისგან შენ ავი, სხვამ შენგან ვერ ჰპოოთ მოსასვლელადო.

### თქმა საქონდის შეკრებისათვის.

119 ბევრი დავთესე ყვავილი სურნელებისა ფშოვანი;  
გაყმარგლე, მოვრწყე, გავაწყევ, კართ არ უყავ მხშოვანი  
უურისა ხარბად სასმენი, გულისა შესაშოვანი.

და შარე ნუ უვლით, შიგ შედით, მიიღეთ მოსაშოვანი.

120 ნუ აგროვებ საქონელსა, ნურც გაუშვებ, გახდე გლახად,  
ლარიბს მიეც, დაურდომილსა, ნურას აძლევ მდიდარს ნახად.  
რად დახარჯავ ცუდად რასმე, უსარგავოს გამოსახად?  
და გარჯას თავსა ნუ არიდებ, ვერ აღრაცხო განძი სახად.

121 ნუ სჭმუნავ, გამხიარულდი, თეთრი მალ მოიგებისა,  
თეთრი წვედ საყვარელია და გული მიეგებისა;  
გლახა უფროსად გიყვარდეს, სხვა რამე მოგეგუბისა.  
და არეის შერჩება სიმდიდრე, გარდივლის, არ დადგებისა.

122 რაცა მოვეცეს განგებით, დასჯერდი დასაჯერებსა,  
ადგილს დახარჯე სახარჯი, ნუ ასწევ მეტსა ზერებსა;  
გარიგდებოდეს უქრთამოდ, ნუ აძლევ ცუდად მწერებსა.  
და დახარჯე, სადაც გმართებდეს, არ მიხვდე დასაჯერებსა.

123 ნუ ეწყოში მდიდარს, იყოს უამებლად, კაცთა შურად.  
ერთი თავის სიღარიბით გავეჩვენოს სამსახურად,  
მალე მიეც, ნუ შეირჩენ, მაგიერი დასაშურად.  
და გული ასე აღუსრულე, არა თქვას რა უხამსურად.

- 124 ძეირი იეფად იყიდოს, კაცსა მწვე იამებისა,  
სასულეველი იყიდე ალსასრულებად ნებისა;  
ნაკლები არის ნაკლები, მეტი მიმცემი ვნებისა,  
და შუას გზაზედა მავალსა გზა მიხვდა გასაგნებისა.
- 125 ნათელს ჭრაქსა ბევრი ზეთი ვერ ანათებს, დააბნელებს,  
ხარბათ წყალი საჩწყავს მისცე, მოსავალსა დაანელებს;  
არგებს ყველას ზომიერზ, საქმეს არას გააძნელებს,  
და შუა გზა და შუა საქმე ავს არ მოგვრის მისა მქნელებს.
- თქმა ანაბრის შენახვისათვის
- 126 ბრილი არის წასახლენად მაღლა სარო ანაზარდი,  
ქვე ზურმუხტად გამწვანული, დაცვარული გარე ვარდი,  
ჩრდილი მისთ მონაძული, გაგდებული, განავარდი,  
და არვინ ჰყანდეს ხელის მყრელი, შესახვევი, შესაყვარდი.
- 127 ნუ მიიბარებ ანაბარს თუ არ დიდისა ძნელობით,  
თუ მიიბარო ნუ აკლებ, იყავ ამისა მცდელობით.  
ცოდვა არ არის ღვთის წინა უდიდეს შინა მვლელობით,  
და ასე ძნელია ღალატი, სახლი შეგიქნას მცლელობით.
- 128 კაცი წავა დილა ბნელსა, აბანოსა საბანელად,  
მოყვას[ს] უთხრა: „თან წამამყევ შენცა ამის გასაგნელად.“  
„გიახლები კარამდისი—უთხრა—სევდის დასანელად.“  
და მიჰყვა, უკან უკმობრუნდა გზასა მისსა მეტად ნელად.
- 129 აბანოს კარსა მივიდა ის კაცი შემაგალები,  
მოყვსის ეგონა იქ ყოფნა, ქმნა საქმე შენაცეალები,  
ჯიბილამ თეთრი მოილო უნახად დაუთვალები:  
„ღვთის ანაბარი მიიღე“—უბნობს ეს დასავალები.
- 130 მუნ ქურდი იდგა, მოულო, დაჯდა, მუნ კართა მცეელობსა,  
რა გამოვიდა ის კაცი, მასცე მას გზასა მვლელობსა,  
ქურდმან უყივლა: „მობრუნდი, თეთრი წაიღე მთვლელობსა,  
და დღეს მოვსცდი ამა საქმითა, საქმესა ჩემს საცდელობსა.“
- 131 ჰკითხეს: „ვინა ხარ?“ „ის კაცი ვარ—უთხრა—ქურდი  
შპარავი.“  
„რად არ წაიღე ეს თეთრი, საშოვრად იყო არ ავი?“

„ლეთის ანაბარზე სიმუხთლე ვით მექნა გასამწარავი!  
და თუ ჩემით იხლად მეშოვნა, მქონოდა გასახარავი.“

132 ქურდიც ევლტვის, რომე გესმას, საქმეს რასმე დასაბარსა-  
არ იმუხთლო ანაბარზე, არეის მიჰყვე საუბარსა,  
არეინა იქს ბრძენთავანი, თავსა მისცემს დასაბარსა.  
და თქმულა: მგელიც შეინახავს ცხვარსა მისსა მინაბარსა.

### თქმა მემშურნობისათვის

133 გემუდარები, ნუ მიჩხეკ ლექსისა სიგძე-განებსა,  
ნურცა რუსთველსა შადარებ; ნურცა-ლა ლექსთა სხვანებსა;  
ზარდაშანშია დასპვრიტე თეთრსა, წითელსა, მწვანებსა;  
და აღიღე, რაცა გეწალოს, ნუ ეძებ შეუგვანებსა.

134 შურით კაცისა წახლენა ვისგან რა საუბნარია?  
შიტეჭება და დაზმობა კარგი რამ საცოდნარია.  
პირუტყვის მეტი ვინ არი, არ იყოს ამის მქნარია,  
და არ გაურიოს საქმეში უკალი ანუ ნარია.

135 ადამი არ დარჩა უცოდი, პირეჭელი კაცი ბრძენია,  
სხვა ვინ დარჩების სამს გარდა ნაშობი მისი ძენია?,  
რა ვცოდოს კაცმან საცოდი მოსაძულ გასაძენია,  
და შოიქცეს, მალ მიუტევე, მცნებისა შესაძენია.

136 ჰყვა ხელმწიფესა სამართლით ქვეყანა მომადლებული,  
სიმშვიდითა და წყალობით გზისა მის დაუკლებული,  
მოართვეს ბევრი შემცოდე, სწყრებოდა გაალებული,  
და ბრძანა და ზოგი დახოცეს სოფლისგან დანაკლებული.

